ეროვნული ბიბლიოთეკა


# ლელო

№123 (12 193)

28 მაისი ორშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი


ყაზბეგი

## ოპტიმიზმი არის, საბაბი არა



# არველაძე: მორჩა, წავედი!

# კალაძე: მუხლმა შემაწუხა

ბოლო უქმეები შესარჩევ მატჩებამდე. ნაკრებში გამოძახებული 24 ფეხბურთელიდან, შაბათ-კვირას მხოლოდ ექვსმა (!!!) ითამაშა. აქედან, ერთი არის ეროვნული გუნდის მესამე მეკარე. ერთი შოთა არველაძეა, რომელიც ნაკრებში თამაშს აღარ აპირებს. მილანის ძირითადში იყო კახა კალაძე, მაგრამ კაპიტანს მუხლი გაუსივდა და შეცვალეს. დარჩა სამი: სალუქვაძე, რომელსაც ერთთვიანი პაუზა ჰქონდა და მხოლოდ გუშინ გამოჩნდა, ასევე კანკავა და მუჯირი. რას მოვასწრებთ 5 დღეში?



## კლაუს ტოპმიოლერი: მჭედლიძე? კარგი ბიჭია. შეიძლება, სასტარტოშიც დავაყენო

ინტერვიუ 4

# 1 ამერმა იმერს თასი არ გაატანა 0

## გატეხილი თასი, დამსხვრეული იმედები, დამტვრეული სკამები





გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის ყაზბეგის გათამაშება

# ამერი 1:0 ზესტაფონი

ფინალი. 26 მაისი. ეროვნული სტადიონი. 20 000 მაყურებელი

**1:0 ტატანაშვილი (60. დავითაშვილის პასით).**
ამერი: ქვაჩახია — დიდავა, ხვადაგიანი, დავითნიძე, ჩიკვილაძე — დოლიძე (86. კაკაშვილი), დობროვოლსკი, ბოლქვაძე (68. მესხი), დეკანოსიძე — დავითაშვილი, ტატანაშვილი (72. ჩიმაკაძე).
*სათადარიგოები:* ნადირაშვილი, ელბაქიძე, გაბისკირია, ჯელაძე.
ზესტაფონი: ჭანტურია — საჯაია, ლონლაძე, რ. ონიანი, კ. ჩხეტიანი (71. გ. ჩხეტიანი) — თოდუა (65. ფიფია), კესანი, ჟონათასი, ვიეირა — ჭელიძე, იონანიძე.
*სათადარიგოები:* რ. კვასხვაძე, ბ. ნოზაძე, სანტოსი, ლეანდრო, ძარია.
გაფრთხილებები: დავითნიძე (6), ჩიკვილაძე (43), კესანი (55), მესხი (79), საჯაია (84), ქვაჩახია (85), რ. ონიანი (87).
არბიტრი: ქიუნეთ ჩაქირი (თურქეთი).

# თასი მეთასეს ჩაბარდა

მოლოდინი დიდი იყო. შარშანდელი თასის ფინალის შემდეგ, ყველა მსგავს საოცრებას ელოდა. რალაცით, "ლივერპული"-"მილანის" ფინალი გამახსენდა. ქართული გუნდებიც თასისთვის მეორედ დაეჯახნენ ერთმანეთს. აქაც იგივე - წინა ფინალი დაუვიწყარი სანახაობა აღმოჩნდა, ლამაზი თამაშით, ბოლო წუთზე გატანილი გოლით, არაპროგნოზირებადი მატჩის მსვლელობით, პენალტების სერიით.

მეორე ფინალი არც ათენში აღმოჩნდა წინასავით ლამაზი და არც ეროვნულზე, მაგრამ წმინდა სპორტული თვალსაზრისით, მეორე შეხვედრა უფრო მაღალი დონის იყო. და აქაც ყველაფერი მწვრთნელმა გადაწყვიტა. აქაც იმ გუნდმა მოიგო, რომელიც დასაწყისში არ ჰგავდა მომგებს.

...თამაშამდე მაყურებლის გახურება **გიორგი ნიკოლაძემ** და **ნიკა ქავთარაძემ** მოახერხეს და მაყურებლის მონატრებული გუგუნი ნელ-ნელა მძლავრობდა. მაყურებელი სტადიონის მისადგომებთან მრავლად იყო, მაგრამ სტადიონის შევსების იმედი არ გამართლდა. მართალია, შარშანდელზე ცოტა მეტი, დაახლოებით 25 ათასი მაყურებელი, მოვიდა, მაგრამ ეროვნულზე ეს რაოდენობა ისე შთამბეჭდავად არ გამოიყურებოდა, როგორც 28-ათასიან "ლოკომოტივზე" შარშანდელი 20 ათასი გულშემატკივარი.

თუმცა ეს უკვე პროგრესია - თასის ფინალზე წლიდან წლამდე გულშემატკივართა რაოდენობა მატულობს და სწორედ გულშემატკივარი ქმნის იმ განწყობას, რომელიც ფეხბურთელებზე დოპინგივით მოქმედებს და გრძნობს, რომ მისი თამაში ხალხსაც აინტერესებს.

**თემურ მახარაძე** და "ზესტაფონი" **ექტორ კუპერს** და "ვალენსიას" გვახსენებენ. მახარაძის გუნდიც მესამედ გავიდა ფინალში და მესამედ დამარცხდა - ერთხელ "სიონი", ორჯერ კი "ზესტაფონი". ასევე შეემთხვა "ზესტაფონს" - ზედიზედ მესამე ფინალის წაგება აშკარად უიღბლობაზე მეტყველებს. თუმცა მახარაძე კიდევ უფრო უიღბლო ჩანს, თუკი იმას გავითვალისწინებთ, რომ შარშანდელ "ზესტაფონს" ფინალში **კობა ჟორჟიკაშვილი** ხელმძღვანელობდა, მახარაძე ფინალამდე მცირე ხნით ადრე გაათავისუფლეს.

არადა, ახლა ყველაფერი იმერელთათვის სასურველი კალაპოტით მიმდინარეობდა. თავად ამერელებიც აღიარებდნენ, რომ პირველ ტაიმში მეტოქემ აშკარად დაჩაგრა. ბრაზილიელი ლეგიონერი **ჟონატას ტორესი** თბილისელი პუბლიკისთვის აღმოჩენა გახლდათ. 23 წლის ცენტრალური ნახევარმცველი "ზესტაფონის" თამაშს ალაგებდა, მწვავე შეტევებს იწყებდა და მეტოქის ნახევარმცველებს გასაქანს არ აძლევდა. მასში ჩვენი ნახევარმცველებისთვის უცხო თვისებებია შეზავებული - ფლეიმეიკერისა და საყრდენის.

საერთოდაც, პირველ ტაიმში "ზესტაფონის" ნახევარდაცვა გააზრებულად და სწორად თამაშობდა. ამან განაპირობა იმერელთა აგრესიული ფეხბურთი. "ზესტაფონმა" მეტოქეს სათამაშო სივრცე წაართვა, შეტევებზე სწრაფად გადადიოდა, მოთამაშეები დროულად იხსნებოდნენ და "ამერს" ერთ-ერთი უმთავრესი კოზირი - ფლანგები კარგად ჩაუკეტეს.

მათი განლაგება კლასიკურ ჩარჩოში არ ჯდებოდა: დაცვის მარჯვენა ფლანგს **ედიკ საჯაია** აკონტროლებდა, **შალვა ლონლაძე** და **როინ ონიანი** - ცენტრს. **კახა ჩხეტიანი** დაცვის მარცხენა ფლანგზე თამაშობდა და შეტევებში ხშირად ერთვებოდა. **სევასტი თოდუა** მარჯვენა ფლანგზე განთავსდა, ნახევარდაცვის ცენტრში მუშაობდნენ **კესანი და** ჟონატასი, **ვიეირა** კი ჩხეტიანთან ერთად, მარცხენა ფლანგს აკონტროლებდა. არ გადავაჭარბებთ, თუკი ვიტყვით, რომ ბრაზილიელი მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი იყო. მან უდიდესი სამუშაო გასწია და შეტევებში ძალიან კარგად ერთვებოდა. აქვე თემას გადავუხვევთ და თუკი საფრანგეთში არ ჰყოფნით საკუთარი რესურსი და ნაკრებში უცხოტომელთა ნატურალიზაცია არ ეთაკილებათ, ჩვენც არ გვაწყენდა ვიეირასა და ჟონატასის საქართველოს ეროვნულ გუნდში დამატებაზე ფიქრი.

"ამერი" კლასიკური 4-4-2 თამაშობდა. დაცვაში მარჯვნიდან მარცხნივ განლაგდნენ **დიდავა, ხვადაგიანი, დავითნიძე, ჩიკვილაძე**, ნახევარდაცვაში - **დოლიძე, დობროვოლსკი, ბოლქვაძე, დეკანოსიძე, დავითაშვილი** მოხეტიალე ფორვარდი იყო, **ტატანაშვილი** კი - ცენტრალური თავდამსხმელი.

"ზესტაფონმა" პირველ ტაიმში მეტოქე დაბომბა და რამდენჯერმე შეეძლო ანგარიშის გახსნა. უკვე მეოთხე წუთზე **ჭელიძე** მეკარის საჯარიმოსთან ახლოს უმეთვალყურეოდ დარჩა და მახვილი კუთხიდან უძლიერესად დაარტყა. "ამერი" **ქვაჩახიას** საოცარმა რეაქციამ გადაარჩინა - მან ბურთი კუთხურზე მოიგერია.




ტატანაშვილის გამარჯვების მომტანი დარტყმა

"ამერის" მეკარეს შაბათს პენალტები არ აულია, მაგრამ თბილისელთა გამარჯვებაში ამჯერადაც უდიდესი წვლილი შეიტანა.

მეშვიდე წუთზე ის უკვე ვიეირას უძლიერეს დარტყმას გადაელობა, მეჩვიდმეტეზე - ჟონატასმა სცადა ბედი და კვლავ მეკარემ იმარჯვა. 29-ე წუთზე ჩხეტიანმა გააგრძელა კონტრშეტევა, ისევ დარტყმა და ისევ ქვაჩახიასადმი მიძღვნილი მაყურებლის ოვაცია.

იყო კიდევ ორი მომენტი. პირველად **იონანიძე** შეიჭრა საჯარიმოში, მაგრამ ბურთი კარგად ვერ ჩაახვია. ტაიმის დასასრულს კი ჭელიძის თავური ასცდა კარს.

"ამერს" პირველ ტაიმში ხეირიანი მომენტი არც შეუქმნია. მეორე ტაიმის დასაწყისში თბილისელები გამოცოცხლდნენ და ეს უმთავრესად მათი მწვრთნელის, **გიორგი ჩიხრაძის** დამსახურებაა. აშკარაა, იგი წლიდან წლამდე იხვეწება და იზრდება, მასთან ერთად კი, "ამერიც".

თბილისური გუნდი უფრო იტალიურ სტილს იძენს. "ამერი" უმძიმესი ვითარებიდან გამოსავალს პოულობს, რაც გუნდურ კლასზე მიუთითებს. ამასთანავე, მეტოქეს ფიზიკურადაც აჯობეს, რაც ბოლოს გამოჩნდა.

შესაძლოა, "ამერის" ფლანგების პასიურობა მწვრთნელის დავალებით აიხსნება - მან დოლიძეს და დეკანოსიძეს უპირველესად დაცვის გაძლიერება დაავალა და შემდეგ უკვე, კონტრშეტევებში ჩართვა. ჩიხრაძის ტაქტიკამ ნაყოფი მეორე ტაიმში გამოიღო და "ზესტაფონის"ფლანგები ძველებურად ეფექტურად ველარ გამოიყურებოდა.

"ამერის" მწვრთნელმა პირველი ტაიმი კოლეგაზე უკეთ გააანალიზა და თამაშის შემოტრიალება მოახერხა. მართალია, პირველი ტაიმის ინერციით, იმერლები შეტევებს აგრძელებდნენ, მაგრამ სიმწვავე დააკლდათ. თამაშის ტემპმაც შედარებით იკლო, რადგან "ამერმა" მეტოქეს ზონები ჩაუკეტა. ამასობაში, თბილისელთა თამაში დალაგდა და "ზესტაფონის" კართან ვითარება ნელ-ნელა დაიძაბა. პირველი საგანგაშო სიგნალი 59-ე წუთზე დობროვოლსკის არაზუსტად გასროლა იყო, რასაც მალე გოლიც მოჰყვა.

მოწმენდილ ცაზე მეხი გავარდა: "ამერმა" ძალიან სწრაფად წამოიწყო კონტრშეტევა, დავითაშვილმა **ლონლაძე** მოძრაობაზე დაიჭირა, შესანიშნავი პასით ტატანაშვილი მეკარესთან პირისპირ დატოვა და "ამერის" თავდამსხმელსაც მეტი რა უნდოდა - 1:0.

აქ კი გამოცოცხლდა "ამერი" და სამიოდე წუთში კინალამ მეორედ იხეირა. ამჯერად ტატანაშვილი ასისტენტობდა, რომელმაც საჯარიმოში დოლიძე გაიყვანა, მაგრამ თანაგუნდელები ვერ შენიშნა და თავად დაარტყა - ჭანტურიამ ბურთი დაამიწა.

თემურ მახარაძე ვაბანკზე წავიდა და შეტევების გასაძლიერებლად მოედანზე **გოგი ფიფია** და **გაგა ჩხეტიანი** შეუშვა. ამის შემდეგ, ფაქტობრივად, "ამერს" ოთხი თავდამხსმელი უტევდა. მართალია, გაგა ჩხეტიანი მარცხენა ფლანგზე დააყენა და შეცვლილი თოდუას ნაცვლად თავდამსხმელი ჭელიძე მარჯვენა ფლანგზე დახია, მაგრამ ფაქტია - "ზესტაფონის" შემტევი პოტენციალი გაიზარდა.

ორივე ახალშესულმა თამაში უდავოდ გაამწვავა, მცველებს სიქა გააცალეს და რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს. თუმცა ჩიხრაძემ დაცვა გააძლიერა. ლამის მთელი გუნდით საკუთარ საჯარიმოსთან ჩაკეტილი "ამერი" კონტრშეტევებსაც ახერხებდა.

"ზესტაფონმა" ბოლო წუთებზე შტურმი მოაწყო, საიდანაც ახერხებდნენ, ფეხბურთელები კარისკენ ხშირად არტყამდნენ. ბოლო იმედი დამატებულ დროში საჯაიას თაური აღმოჩნდა, მაგრამ ქვაჩახიამ ბურთი ცხრიანიდან ჩამოხსნა.

ქვაჩახია ამჯერადაც კოლეგაზე იღბლიანი აღმოჩნდა. საინტერესოა, რომ ორივე 1973 წლის 25 სექტემბერსაა დაბადებული. ზოდიაქოს ნიშნით, ერთნაირი განცდები ელოდათ. არადა, ერთმა გაიხარა, მეორემ კი სტადიონი მწუხარემ დატოვა.

... თურქმა არბიტრმა ჩასტვინა, ამერელები მოედანზე გავარდნენ და ემოციებმაც ამოხეთქა. მახარაძისა და "ზესტაფონის" უიღბლობამ ყველას გული დაწყვიტა, მაგრამ თასი ღირსეულ პატრონს ჩაბარდა და ეს საკამათო არაა.

**მერაბ მამულაშვილი**




ზესტაფონის ბოლო იმედი ქვაჩახიამ მოკლა

## P.S.

**მატჩის ორგანიზატორები ძალიან განიცდიდნენ, რომ თასი გატყდა. როდესაც "ამერი" თასით უნდა გადაელოთ, ხელში შემოეფშვნათ.** სულაც არაა გასაკვირი, ხუთი წლის ფაიფურის თასი რომ გატყდა. 2000 წელს ევროპის თასის ძირი მოზეიმე ფრანგებს გაუფუჭდა, 2003 წელს კი თბილისის "დინამომ" მოსკოვიდან დამტვრეული თანამეგობრობის თასი ჩამოიტანა.

უფრო საყურადღებო თასის მაღალ დონეზე ორგანიზებაა, რაც უკვე ტრადიციად იქცა. თასის ფინალი ბოლო ოთხი წელიაწადია ნაღდი ფეხბურთის ოაზისად იქცა.

და კიდევ - რატომ არ გამართლდა ორგანიზატორთა იმედი და რატომ არ შეივსო ტრიბუნები? ვფიქრობთ, დროა, ფედერაცია და პროფლიგა ფინალის დღის შეცვლაზე დაფიქრდნენ. 26 მაისი დამოუკიდებლობის დღეა და მთავარი ყურადღება საზეიმო ღონისძიებებზეა გადატანილი. თასის გადაცემას არც პრეზიდენტი დაესწრო და არც სხვა მნიშვნელოვანი პერსონა, რაც თასის პრესტიჟზე მოქმედებს.

ტრიბუნები იმიტომაც არ შეივსო, რომ ტოტო კუტუნიოს კონცერტს 100 ათასი ადამიანი დაესწრო, ანუ გართობის მსურველები ფეხბურთსა და კონცერტზე განაწილდა. რომ არ ყოფილიყო კონცერტი, მასის მეათედი მაინც მივიდოდა ფინალზე და სტადიონიც შეივსებოდა.

ქართული ფეხბურთის დღედ 13 მაისი ოფიციალურად გამოცხადდა. თასის ფინალის ამ დღეს ჩატარება გაცილებით აჯობებს, რადგან მთელი ყურადღება - მთავრობის, ტელევიზიების, გართობის მსურველთა - ფეხბურთზე იქნება კონცენტრირებული და იქნებ ტრიბუნები მაშინ მაინც შეივსოს.

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ფინალის შემდეგ

## პრესკონფერენცია

**თემურ მახარაძის შეუძლოდ ყოფნის გამო, "ზესტაფონიდან" მედიას ავთო ნარიაშვილი წარუდგა.**

ავთო ნარიაშვილი: ორივე გუნდმა ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ კარგი ფინალი ყოფილიყო. ვფიქრობ, ცუდი თამაში არ ყოფილა. "ამერმა" თავისი წილი შანსი გამოიყენა და მოიგო კიდეც.

გიორგი ჩიხრაძე: მძიმე პირველი ტაიმი გვქონდა. საწყისმა 45-მა წუთმა "ზესტაფონის" სრული უპირატესობით ჩაიარა. ჩვენ საგოლე მომენტი ვერ შევქმენით. შესვენებაზე ფეხბურთელებს ვესაუბრე. მათ მეტი მობილიზება მოვთხოვე. გატანილი გოლის შემდეგ, უკვე ანგარიშის შენარჩუნებაზე ვზრუნავდით. საბოლოოდ ეს შევძელით და ზედიზედ მეორედ მოვიგეთ თასის ფინალი.

სანახაობრივად თამაში კარგი არ ყოფილა, მაგრამ ფეხბურთში მთავარი შედეგია... მადლობა ჩვენს ქომაგებს, ყველას, ვინც ამ მატჩის ორგანიზებაში მონაწილეობა მიიღო, ფედერაცია იქნება, პროფლიგა თუ მასმედია.

**- თასის ფინალურ მატჩს პირველად ემსახურებოდნენ უცხოელი მსაჯები. მათზე რას იტყოდით და საერთოდ, რამდენად კანონზომიერად მიგაჩნიათ უცხოელი არბიტრების მოწვევა ასეთ თამაშებზე?**

გ. ჩ. - დღევანდელ მატჩში ცუდი მსაჯობა არ იყო, მაგრამ ვერაფრით ავხსენი პირველ ტაიმში თუ რატომ მისცა გაფრთხილება მთავარმა მსაჯმა ჩვენს კაპიტანს? რაც შეეხება კითხვის მეორე ნაწილს, ვერ ვიტყოდი, რომ ხელაღებით მომხრე ვარ ასეთი დონის მატჩებს უცხოელი არბიტრები რომ მოემსახურონ. როგორც მწვრთნელი, ქართველ მსაჯებს ვენდობი. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ასეთ პრინციპულ თამაშებზე უცხოელი არბიტრების მოწვევა მიღებული პრაქტიკაა.

**- ზოგჯერ ცხელ გულზე ხდება ხოლმე გადაწყვეტილებების მიღება. თემურ მახარაძე თუ გააგრძელებს მუშაობას "ზესტაფონში" და საერთოდ, ისევ ამბიციური გუნდი გეყოლებათ თუ არა?**

ა. ნ. – მახარაძე შეუძლოდ გახდა და მეც ამიტომ გამოვცხადდი პრესკონფერენციაზე. მატჩის შემდეგ, გასახდელში კლუბის ხელმძღვანელობა გვესაუბრა და გაორმაგებული ენერგიით გავაგრძელებთ მუშაობას.

**- ითამაშებს თუ არა "ზესტაფონი" ინტერტოტოზე?**

ა. ნ. – დიახ, ჩვენ ამ გათამაშებაზე ვიასპარეზებთ.

**- თასი გატყდა... მსგავსი რამ სხვაგანაც მომხდარა...**

გ. ჩ. - ჩვენ ამ თასს აუცილებლად აღვადგენთ. საერთოდ კი, რადგან ზედიზედ მეორედ მოვიგეთ თასი, გეგმაში გვქონდა ფედერაციისთვის გვეთხოვა, რომ ის ჩვენს კლუბში სამუდამოდ დარჩენილიყო და სანაცვლოდ ყველაფერს გავაკეთებდით. იმედია, ფედერაცია და პროფლიგა ამაზე უარს არ გვეტყვის.

**პაატა ბურჯალიანი** – მინდა ყველას გითხრათ, რომ ახალი თასი უკვე მზადდება და მისი პრეზენტაციაც მალე შედგება. ასე რომ, გაისად ფინალს უკვე ახალი თასი დაამშვენებს.

## კომენტარები

***ვახტანგ ხვადაგიანი:*** საინტერესო თამაში იყო, მაგრამ ისეთი დაძაბული ნამდვილად არ ყოფილა, როგორც შარშანდელი. ბედნიერი ვარ, რომ ფინალი მოვიგეთ, თანაც 90 წუთში და თასი შევინარჩუნეთ. უშუალოდ თამაში სანახაობრივი ნამდვილად არ ყოფილა, მაგრამ ჩვენ შედეგზე ვითამაშეთ და ჩანაფიქრიც განვახორციელეთ

**- პირადად შენთვის მერამდენე თასი იყო?**

- მეოთხედ მოვიგე თასის ფინალი. ორჯერ "ტორპედოსთან" და ორჯერაც "ამერთან" ერთად.

***დიმიტრი ტატანაშვილი:*** რაღა თქმა უნდა, სასიხარულოა... თასის ფინალი ზედიზედ მეორედ მოვიგეთ და ეს ტიტული შევინარჩუნეთ. ამ გამარჯვებას "ამერის" ყველა ქომაგს ვულოცავ. მადლობა "ზესტაფონს" კარგი თამაშისთვის.

**- ერთადერთი გოლის ავტორობა შენ გერგო...**

- უმთავრესად დავითაშვილის იშვიათ პასს გამოვარჩევდი. მოხარული ვარ, რომ ერთადერთი გოლის ავტორობა მერგო... ჩვენი მთავარი მიზანი მოგება იყო და მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუ ვინ გაიტანდა გოლს

***დავით ბოლქვაძე:*** შეიძლება "ზესტაფონს" ვერ ვაჯობეთ და საერთოდ, სანახაობრივად იმ დონის თამაში არ გამოვიდა, ფინალს რომ ეკადრება, მაგრამ მთავარია, მოვიგეთ. უზომოდ გახარებული და ბედნიერი ვარ.

***სულიკო დავითაშვილი:*** ჩემთვის ეს მესამე ფინალი იყო. ერთხელ თასი თბილისის "ლოკომოტივში" თამაშისას მოვიგე. იგივე ტიტული უკვე ორჯერ მოვიპოვე "ამერში". უზომოდ გახარებული ვარ. სანახაობრივად მდიდარი თამაში არ იყო, მაგრამ ჩვენი შანსი გამოვიყენეთ და სწორედ ესაა ფეხბურთი.

***ზურაბ ფოცხვერია:*** უდიდეს სიხარულს განვიცდი. ჩემში ახლა ემოცია სჭარბობს, ზედიზედ მეორედ თასი მოვიპოვეთ... შარშანდელი ფინალი უფრო თვალსასეირო გამოდგა ვიდრე წლევანდელი. თუმცა ალბათ, პირველიდან ბოლო წუთამდე ყველა გულშემატკივარი გრძნობდა დაძაბულობას, 90 წუთის განმავლობაში ბრძოლა მიდიოდა მოედნის ყველა მონაკვეთში. ვფიქრობ, ეს მუხტი მაყურებელსაც გადაეცემოდა.

**დავით ცაბაძე**

თბილისის "ამერმა" ზედიზედ მეორედ მოიგო საქართველოს თასი, ორივეჯერ გიორგი ჩიხრაძეს მწვრთნელობით.

ჩიხრაძე უკვე თვითმყოფად მწვრთნელად ჩამოყალიბდა. მისი გუნდი თასზე უკეთესად თამაშობს, ვიდრე ჩემპიონატში, "ამერს" უკვე მკვეთრი სტილი აქვს - გადამწყვეტ მატჩებში ზედმიწევნით ფრთხილ, რაციონალურ და ურისკო ფეხბურთს თამაშობს.

"ამერი" შეკრული, კარგად შეთამაშებული, თუმცა არცთუ სტაბილური გუნდია - ხანდახან გაუთვალისწინებელ ქულებს კარგავს ჩემპიონატში იმ მეტოქეებთან, მისი უშუალო კონკურენტები რომ არ არიან.

როგორც უნდა იყოს, ჩიხრაძის ხელში "ამერი" მზარდი გუნდია. ამერელთა თამაშის სტილი კი მხოლოდ გემოვნების საკითხი არ უნდა იყოს - რა პერსპექტივა აქვთ ფრთხილი ტაქტიკით მოთამაშე ქართულ გუნდებს ევროფრონტზე? ალბათ, საკამათო საკითხია იქამდე, სანამ "ამერი" წლევანდელი უეფას თასის გათამაშებაში წარმოაჩენს თავს. მანამდე კი "ლელოს" კითხვებს გიორგი ჩიხრაძე პასუხობს.



ჩიხრაძემ და ამერმა თასი მეორედ მოიგეს

ინტერვიუ გიორგი ჩიხრაძესთან

# შესრულება ფრთხილ თამაშსაც უნდა

**- რაც "ამერმა" წლევადელ თასის ფინალში ითამაშა, ეს მწვრთნელ გიორგი ჩიხრაძის კრედოა?**

- მძიმე თამაში იყო. პირველ ტაიმში "ზესტაფონმა" აიღო ინიციატივა, ჩვენ კი საგოლე მომენტებს ვერ ვქმნიდით, უნდა შეგვეტია, მაგრამ, უბრალოდ, ეს ვერ მოვახერხეთ. ვიცოდი, რომ პირველ ტაიმში "ზესტაფონი" შეტევაში იაქტიურებდა, რითაც მის სწრაფ ფეხბურთელებს მეორე ტაიმში ძალა მოაკლდებოდათ და "ზესტაფონის" შეტევებიც ისე მწვავე აღარ იქნებოდა. "ზესტაფონი" ასე თამაშობს ხოლმე. ამიტომაც, ჩვენი მთავარი ამოცანა იყო, პირველ ტაიმში გოლი არ გაგვეშვა. რაც შეეხება მეორე ტაიმს, ბურთი სწრაფად უნდა ამოგვეტანა ჩვენი ნახევრიდან და სწრაფად უნდა გადავსულიყავით შეტევაში, მეტოქე დაღლილობის ფონზე დაცვაში შეცდომას დაუშვებდა და ეს უნდა გამოგვეყენებინა - ყველაფერი ასე მოხდა და გოლის შემდეგ უკვე ანგარიშის შენარჩუნებაზე ვთამაშობდით.

**- ანუ ყველაფერი გეგმის მიხედვით მოხდა...**

- მასეა. გოლი არ უნდა გაგვეშვა, მწვავე კონტრშეტევებით გვეთამაშა და მეორე ტაიმში უფრო მეტი შანსი გვექნებოდა გოლის გასატანად.

**- "ამერი" ჯერჯერობით, თასზე უფრო წარმატებულად თამაშობს, ვიდრე ჩემპიონატში. მაინც რა არის თასზე თამაშის სპეციფიკა?**

- ეს ორრაუნდიანი ბრძოლაა, სადაც ყველაფერი ზუსტად უნდა გათვალო - როგორ ითამაშო შინ და როგორ - სტუმრად. როცა სტუმრად თამაშობ, მთავარია, გოლის გატანა მოახერხო, როცა შინ - არ გაუშვა. ყველაფერი ორ თამაშში წყდება და მეტი ყურადღებით ეკიდები ყველა დეტალს, კონცენტრაცია მეტია.

**- და, როგორც ჩანს, სათასო ბატალიებში ძალიან მნიშვნელოვანია ფრთხილი თამაშიც...**

- ფრთხილ თამაშს შესრულება უნდა. რასაც ისახავ, იმის გაკეთება უნდა შეგეძლოს. ჩვენ ამაზე ვმუშაობთ.

**- რისკიანი, ასე ვთქვათ, რომანტიკოსი მწვრთნელები ცოტანი შემორჩნენ. თუნდაც წლევანდელ ჩემპიონთა ლიგის ფინალი ავიღოთ - გაიმარჯვა იმან, ვინც მეტოქეზე ნაკლებს უტევდა და ძალიან სწორად თამაშობდა. როგორ ფიქრობთ, რისკიან, შემტევ ფეხბურთს მწვრთნელის ფაქტორი უფრო განაპირობებს თუ მოთამაშეთა კონტინგენტი?**

- როცა ეს ორივე ფაქტორი ერთმანეთს ემთხვევა, შედეგიც არის და სანახაობრივი თამაშიც. ჩემპიონთა ლიგის წლევანდელ ფინალში მთავარი ფაქტორი კარლო ანჩელოტი იყო - "მილანმა", როგორც ჩანს, კარგად გააანალიზა შარშანწინ წაგებული ფინალი "ლივერპულთან".

**- მიგაჩნიათ, რომ ევროტურნირებზე ფრთხილად მოთამაშე ქართულ გუნდს წარმატების მეტი შანსი აქვს?**

- ევროტურნირის პირველ ეტაპზე ქართული გუნდი ისეთ მეტოქეს ხვდება, რომელსაც კარგად არ იცნობს. ასეთ შემთხვევაში გახსნილი თამაში სასურველი არ არის, მერე კი უკვე შესაძლებელია, კორექტივების შეტანა. აქტიურ, რისკიან თამაშს მაინც უფრო ფეხბურთელთა კონტინგენტი განაპირობებს, ვიდრე მწვრთნელი.

**- დამდეგი სეზონისთვის "ამერის" სატრანსფერო პოლიტიკა როგორი იქნება?**

- აუცილებლად დავიმატებთ 3-4 ფეხბურთელს. წინასწარი მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია.

**- ზოგი მწვრთნელი მიიჩნევს, რომ სათამაშო სტილის არჩევისას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს გამოკვეთილი ფორვარდების რაოდენობას. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

- ჩემი აზრით, თუ აქცენტს შეტევაზე აკეთებ, ორი ფორვარდით თამაში უფრო მიზანშეწონილია.

**- ბოლო წლების მიხედვით, ვის მიიჩნევთ საქართველოში ყველაზე საინტერესო ახალგზარდა მწვრთნელად? გარდა თეორიული განათლებისა, რა უნდა ჰქონდეს წარმატებულ მწვრთნელს?**

- გიორგი დევდარიანი, კახა ცხადაძე, გია გეგუჩაძე, გიორგი კიკნაძე - მათ კარგად იმუშავეს. მწვრთნელს უნდა ჰქონდეს ცოდნის მიღების, შეცდომის დაშვებისა და საკუთარი შეცდომის გამოსწორების საშუალება. როცა საკუთარ შეცდომებზე სწავლობს, ეს უფრო ნაყოფიერია.

**დავით თავართქილაძე**





ამერელებს თასი გაუტყდათ, ზესტაფონელებს ხასიათი

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge



ლეგიონერები

# შოთა ნაკრებიდან თხოვნით წავიდა

ყოყმანსა და გაურკვევლობას წერტილი დაესვა - 34 წლის **შოთა არველაძე** 2 და 6 ივნისს ლიტვასა და საფრანგეთთან არ ითამაშებს, მან სანაკრებო კარიერის დასრულება გადაწყვიტა.

- უკვე შოტლანდიასთან მატჩის შემდეგ ვუთხარი კლაუს ტოპმიოლერს, ნაკრებში თამაშს აღარ ვაპირებ-მეთქი. ასე რომ, ეს მისთვის და ქართველი გულშემატკივრებისთვის ახალი ამბავი არ უნდა იყოს - პრესაშიც არაერთხელ მითქვამს, რომ მალე სანაკრებო კარიერას დავასრულებდი. მუხლის ქრონიკული ტრავმა მაქვს და ასაკიც თავისას შვრება - დროულად წასვლა უნდა იცოდე. თუმც, თუ საშუალება მომეცა, ნაკრებში კიდევ ერთ, ბოლო თამაშს ვითამაშებ. და მინდა, რომ ეს თბილისში მოხდეს. ეს ჩემი თხოვნაა, დანარჩენი მწვრთნელის გადასაწყვეტია - გვითხრა გუშინ არველაძემ, ვისაც ეროვნულ ნაკრებში ყველაზე მეტი, 26 გოლი გაუტანია.

**დავით თავართქილაძე**



შოთა არველაძე

ინტერვიუ კლაუს ტოპმიოლერთან

# ადრე თუ გვიან, შოთა მაინც წავიდოდა...

## ტოპი არველაძის ნაცვლად არავის უხმობს და მჭედლიძის სასტარტოში გამწესებას არ გამორიცხავს...

მაშ ასე, დავით სირაძის შემდეგ, რომლის ნაცვლად კლაუს ტოპმიოლერმა ლევან მჭედლიძეს უხმო, ნაკრებს ლიტვასა და საფრანგეთთან მატჩებში შოთა არველაძეც გამოაკლდება. მეტიც, ეროვნული გუნდის ბომბარდირმა სანაკრებო კარიერა ფაქტობრივად, დასრულებულად გამოაცხადა. შოთას ნაცვლად ტოპი არავის უხმობს. ჰერ კლაუსს გუშინ გვიან შევეხმიანეთ და პირველ რიგში, მჭედლიძის დახასიათება ვთხოვეთ.

- როცა დათო სირაძის თამაში გამოირიცხა, დიდხანს არ მიფიქრია, მაშინვე მჭედლიძის გამოძახება გადავწყვიტე. ლევანი ძალიან ნიჭიერი და პერსპექტიული ფეხბურთელია, რომელსაც აქვს იმის პოტენციალი, რომ დიდი ფეხბურთი ითამაშოს. მჭედლიძეს ყველაფერი აქვს, რაც თავდამსხმელს სჭირდება: მაღალია, ბურთს კარგად ფლობს, აქვს საგოლე ალღო და მოხდენილი დარტყმა. ამიტომაც ვუხმე ეროვნულ გუნდში, თანაც ისეთი მნიშვნელოვანი შეხვედრებისთვის, როგორიც ლიტვასა და საფრანგეთთან მატჩებია.

**- ლევანი ძალიან ახალგაზრდაა და ასეთ შეხვედრებში თამაშის გამოცდილება არ აქვს. ფიქრობთ, რომ მჭედლიძეს ლიტვასა და საფრანგეთთან 90 წუთი თამაში შეუძლია?**

- აბსოლუტურად! ასე რომ არ ვფიქრობდე, ოფიციალურ და თანაც ასეთ მნიშვნელოვან შეხვედრებში არ გამოვიძახებდი.

**- ანუ, შესაძლოა მჭედლიძე ლიტვასთან ძირითად შემადგენლობაში ვიხილოთ?**

- გამორიცხული არ არის, რომ სასტარტოში გავამწესო. ამას ამ კვირაში გადავწყვეტ.

**- მჭედლიძის გამოძახება სპონტანურად, სირაძის ტრავმის გამო გადაწყვიტეთ, თუ ლევანზე, როგორც ეროვნული ნაკრების თავდამსხმელზე, ადრეც ფიქრობდით?**

- ნაკრებში ფეხბურთელს სპონტანურად არასდროს ვიძახებ. მე მას ყოველთვის მოვიაზრებდი პირველი ნაკრების გაფართოებულ სიაში.

**- შოთა არველაძეც გამოგვაკლდა და საერთოდ, სანაკრებო კარიერის დასრულების შესახებ გააკეთა განცხადება...**

- ძალიან სამწუხაროა. შოთას მუხლი აწუხებს. სანაკრებო კარიერის დასრულების შესახებ შოტლანდიასთან მატჩის შემდეგაც ისაუბრა, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ ჰქონდა - წასვლას მაინც ყოყმანობდა. ახლა კი, საბოლოოდ ცნობილია, რომ მიდის. არველაძის წასვლა საქართველოს ნაკრებისთვის უდიდესი დანაკლისია. იმედი მქონდა, რომ ამ ორ უაღრესად მნიშვნელოვან მატჩებში თამაშს მოახერხებდა. რას ვიზამთ - ადრე, თუ გვიან, შოთა მაინც წავიდოდა.

**- მის ნაცვლად კიდევ ვინმეს ხომ არ გამოიძახებთ?**

- არა. მიმაჩნია, რომ ეს საჭირო არ არის.

**- კახა კალაძე "რეჯინასთან" მატჩისშემდგომ კომენტარში ამბობს, რომ მცირე ტრავმა მიიღო. კაპიტანს ხომ არ ესაუბრეთ?**

- მართლა? კახასთან ჯერ არ მილაპარაკია. რამე სერიოზულია?

**- ამბობს, მუხლი გამისივდა, მაგრამ სერიოზული არაფერიაო.**

- კიდევ კარგი! იმედია, რომ არ გამოგვაკლდება. კახას ახლავე შევეხმიანებით...

**გოტფრიდ ლენცი**

**P.S.** მოგვიანებით ნაკრების მენეჯერმა თამაზ ბოკერიამ გვითხრა, რომ კალაძის ტრავმა სერიოზული არაა და კაპიტანი ლიტვასა და საფრანგეთთან აუცილებლად ითამაშებს.

საქართველოს ჩემპიონატი. ფლეი ოფი

# ჩიხურა და სამი პრეტენდენტი

**ჩიხურა-გაგრა 1:1 დ.დ. 2:1**

27 მაისი. თბილისი. ამერი. 700 მაყურებელი

1:0 დვალი (28. ბუცხრიკიძის პასით), 1:1 ბარამიძე (90. ს. კ.), 2:1 გიგაური (92)

ჩიხურა: სტურუა, გვეტაძე, ქემოკლიძე, გიგაური, ბარამიძე, ბუცხრიკიძე, ი. ზაბახიძე (46. თავბერიძე), მახარაძე, ვაშაკიძე, გ. მიქაძე (58. მ. მიქაძე), დვალი (80. ქუხილავა)

სათადარიგოები: მწყერაშვილი, როგავა, ჩარგეიშვილი

გაგრა: ტალახაძე, მგალობლიშვილი, ახობაძე, თოთაძე, მგელაძე, აფრიამაშვილი (46. ცხადაია), შარიქაძე (89. სუხიაშვილი), დათუნაშვილი, ტყეშელაშვილი, მამუკაშვილი (52. ძაგანია), მეტრეველი

სათადარიგოები: ხომერიკი, ქვრივიშვილი, კვანტალიანი, მესხი

გაფრთხილება: ქემოკლიძე (11), გ. მიქაძე (17), მგალობლიშვილი (91), მგელაძე (101), ახობაძე (105)

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

ძალიან მძიმე გადასატანია, როცა ზედიზედ ორჯერ უმაღლეს ლიგამდე ერთი ნაბიჯილა გაშორებს და მიზანს ვერ აღწევ. "გაგრას" გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმის საშუალება შარშან "ცხინვალმა" არ მისცა, გუშინ კი "ჩიხურამ". თუმცა "გაგრის" სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მის ხელმძღვანელობას ერთწლიანი გეგმები არ აქვს დასახული და მიზანმიმართულ მუშაობას ნებისმიერ შემთხვევაში განაგრძობს. მით უფრო, რომ ჭაბუკებით დაკომპლექტებულ გუნდს ყველაფერი წინ აქვს. ასეთი ახალგაზრდული და გამოუცდელი შემადგენლობით მოთამაშე გუნდისთვის, ვინძლო პირველ ლიგაში კიდევ ერთი წლით დარჩენა უპრიანიც იყოს.

"ჩიხურამ" კი, დიდია იმის ალბათობა, ფლეი ოფში გამარჯვების მიუხედავად, უმაღლესში ასპარეზობაზე უარი თქვას. ყველაფერი უახლოეს დღეებში გაირკვევა, საჩხერელთა ადგილის დაკავების მსურველი კი შეგახსენებთ, სამია – "ცხინვალი", "კოლხეთი" და "დილა".

ქართული საზომით, მატჩი საკმაოდ ტემპიანი იყო. დებიუტი "გაგრას" უპირატესობით წარიმართა. **ზვიად სტურუა** თამაშში რამდენჯერმე ჩაერთო. "ჩიხურას" გამოცდილმა გოლკიპერმა თამაში ფაქტობრივად, უშეცდომოდ ჩაატარა. მან ორი "მკვდარი" ბურთი მოიგერია, ჯერ **თოთაძის** ჯარიმაზე მოახდინა რეაგირება, პირველი ტაიმის ბოლოს კი თავისი გუნდი **მეტრეველის** ძლიერი დარტყმისგან გადაარჩინა.

ამ ორიდან ერთი ბურთი მაინც რომ გასულიყო, შედეგი ალბათ, სულ სხვაგვარი იქნებოდა, მაგრამ არც ისეა საქმე, რომ "ჩიხურამ" მხოლოდ ბრწყინვალედ მოთამაშე სტურუას წყალობით მოიგო. გადამწყვეტი სიტყვა გამარჯვებული გუნდის წევრთა გამოცდილებამ თქვა, საბოლოო ჯამში, "ჩიხურამ" უფრო პრაგმატულად იმოქმედა და ვერავინ იტყვის, რომ დაუმსახურებლად მოიგო.

**ვახტანგ თურმანიძის** შეგირდებმა პირველი ოცი წუთის შემდეგ თამაში დაალაგეს და ამის შემდეგ შეტევებში მეტოქეზე არანაკლებ დროს ატარებდნენ. "ჩიხურას" განსაკუთრებით რიგიანად კონტრიერიშები გამოსდიოდა.

საჩხერელთა პირველი საგოლე შანსი **გიორგი მიქაძემ** გაუშვა ხელიდან. საჯარიმოში შესულმა ფორვარდმა **ჯაბა დვალს** პასი არ მისცა, თავად სცადა მომენტის დაგვირგვინება და მოწინააღმდეგის მცველთან ბრძოლაში დაეცა. მსაჯის სასტვენი დუმდა. ძნელი სათქმელია, იყო თუ არა პენალტი, ისე კი, ამ სადავო სიტუაციას თუ არ გავითვალისწინებთ, **ლევან კვარაცხელიამ** შეხვედრას თავი მაღალ დონეზე გაართვა.

გოლი **ბუცხრიკიძის** შესანიშნავ პასს მოჰყვა. "ჩიხურას" ახალგაზრდა ნახევარმცველმა მოედნის ცენტრალური ნაწილიდან შორეული გადაცემით დვალი მოძებნა, ჯაბამ ბურთი იოლად დაიმორჩილა, ერთი მეურვეც ჩამოიცილა და ახლო მანძილიდან მეტოქის კარის აღება აღარ გასჭირვებია.

მეორე ნახევარი ბევრად მოსაწყენი იყო. "ჩიხურას" არსად ეჩქარებოდა და გონივრულად იცავდა თავს, "გაგრა" კი, დიდი შემართების მიუხედავად, საგოლე მომენტს ვერა და ვერ ქმნიდა.

ასე მიილია ოთხმოცდაათი და არბიტრის მიერ კომპენსირებული კიდევ სამი წუთი. მიმდინარეობდა ბოლო, მეოთხე დამატებული წუთი, როცა საჩხერელთა საჯარიმოში შექმნილ არეულობას მუხრანელთა გამჭოლი გადაცემა და **ბარამიძის** ავტოგოლი მოჰყვა. ბუნებრივია, მოვლენათა ამგვარ განვითარებას გაგრელთა უზომო სიხარული და საჩხერელთა გაოგნება მოჰყვა. თუმცა, დაიწყო დამატებითი დრო და ორიოდე წუთში განწყობა კვლავ დიამეტრალურად შეიცვალა. **გიგაურის** დარტყმა არ ყოფილა მთლად სახიფათო, მაგრამ "გაგრას" მეკარე **ტალახაძემ** უპატიებელი შეცდომა დაუშვა – ბურთი ფეხებსშუა გაუძვრა. დარჩენილ დროზე საუბარი აღარ ღირს. ფეხბურთელები დაიღალნენ, ტემპი დაეცა, "გაგრამ" წინ ველარ ივარგა, "ჩიხურას" კი სულ ბოლოს კონტრშეტევაზე კიდევ ერთის გატანა შეეძლო - **მირიან მიქაძეს** მეკარემ აუღო.

ბოლოსკენ იყო მცირე შეხლა-შემოხლა, მაგრამ ყველაფერი მალევე ჩაცხრა და საბედნიეროდ, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა.

მოკლედ, ქართული სეზონის გუშინ დასრულდა, მაგრამ ყველაფერი მაინც არ გარკვეულა. ვნახოთ, რა ბედი ენევა "ჩიხურას", ვიხილავთ მომავალ სეზონში უმაღლესში თუ როგორც უფრო მეტადაა სავარაუდო, ზემოთ ჩამოთვლილი სამი კლუბიდან რომელიმე ჩაანაცვლებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ბარამიძის (17) ავტოგოლმა გაგრას შანსი გაუჩინა

ნუგზარ სუარიძის ფოტო

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

## სანდრო იაშვილი ფრაიბურგში?

თბილისის "დინამოსა" და ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა **სანდრო იაშვილმა**, შესაძლოა, მალე გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში ითამაშოს. ჩვენი ინფორმაციით, სანდროს ტრანსფერით მეორე ბუნდესლიგაში ჩვენთვის კარგად ნაცნობი "ფრაიბურგია" დაინტერესებული.

გერმანელებს ერთი იაშვილის ნაცვლად მეორე იაშვილი სურთ. სხვა ინფორმაციით, სანდროთი ჯერ კიდევ შემოდგომიდან ბელგიის ყველაზე ცნობილი კლუბი, "ანდერლეხტია" დაინტერესებული.

ალდგომა და ხვალეო. სამწუხაროდ, იაშვილს მობილური გათიშული ჰქონდა და ინფორმაციის გადამოწმება ვერ მოხერხდა, ვერც ფრაიბურგელმა იაშვილმა დაგვიდასტურა ამბავი, არაფერი ვიცით. თუმცა პირველწყარო საკმაოდ სანდოდ გვეჩვენა.

## გოგუა დაელოდება...

ყველასთვის მოულოდნელად, შაბათს საქართველოს თასის ფინალს თბილისში, ეროვნულ სტადიონზე **გოგიტა გოგუა** უყურებდა.

არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა - **კლაუს ტოპმიოლერს** რამენსკოეს "სატურნის" ნახევარმცველისადმი დამოკიდებულება არ შეუცვლია და გოგიტას თბილისში ჩამოსვლა ლიტვასა და საფრანგეთთან მატჩებზე გამოძახებას არ უკავშირდებოდა.

გოგიტამ საუბრის დიდი სურვილი არ გამოამჟღავნა. მხოლოდ მცირე კომენტარით შემოიფარგლა:

*"საწყენია, როდესაც მწვრთნელი გსჯის. ნაკრებში უთამაშებლობა გუნდშიც მიკლავს სტიმულს. თუმცა სხვა რა გზაა. დაველოდები, როდის შემობრუნდება ტოპმიოლერი ჩემსკენ. თუ არადა, იქნებ, მის შემდეგ მოსულმა მაინც გამიხსენოს. ჯერ კარიერის დამთავრებას არ ვაპირებ და დავამტკიცებ, რომ ნაკრებში თამაშს ვიმსახურებ. თუმცა ორი თამაშით არ მიმინჯია და იმედია, ნაკრებს შემოდგომაზე მაინც შევუერთდები."*

რაც შეეხება გავრცელებულ ხმებს იმის შესახებ, რომ გოგიტას ნაკრების წევრებთან შოტლანდიაში კონფლიქტი მოუვიდა, ამის შესახებ საუბარი არ ისურვა: *"არ ვიცი, განსაკუთრებული რა მოხდა. არანაირი კონფლიქტი არ ყოფილა. თუკი ვინმეს სურს, რომ ჩემი მიუწვევლობის მიზეზად ეს დაასახელოს, მისი საქმეა."*

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონის მიმოხილვა საგრძნობლად შეგვითხელდა, წინა კვირაში სეზონი დასრულდა გერმანიაში, ინგლისსა და საბერძნეთში. ახლა ამ სიას იტალია, ჰოლანდია და დანიაც შეემატა. მალე ჩემპიონატი უკრაინაშიც დასრულდება და ორი თვით მხოლოდ რუსული პრემიერლიგის მიმოხილვის ამარაღა დავრჩებით. კვირის გოლეადორიც ერთი გვყავს - ლაშა ჯაკობია.

### ახალი პრობლემა? გასიებული მუხლი

სერია A დასრულდა, ბოლო ტურში "მილანმა" "რეჯინასთან" სტუმრად 0:2 წააგო და ჩემპიონატი 61 ქულით მეოთხე ადგილზე დაასრულა. ეს მატჩი ჩემპიონთა თასის მფლობელისთვის არაფერს წყვეტდა, ხოლო მისი მეტოქისთვის ყოფნა-არყოფნის საკითხი იყო. "მილანის" ერთ-ერთ ფორუმზე მავანმა ტიფოზიმ მოსწრებულად შენიშნა, გუნდი კარგად კი თამაშობს, მაგრამ მგონი, გოლის გატანა არ სურსო. მეორე გოლის გაშვების შემდეგ **კარლო ანჩელოტიმ კახა კალაძე** შეცვალა, ეს მატჩის 69-ე წუთზე მოხდა, კახას მაგივრად თინეიჯერი **ლეანდრო გრიმი** შემოიყვანეს.

მატჩის შემდეგ კახა კალაძემ ისეთი კომენტარი გააკეთა "მილანის" ოფიციალური საიტისთვის, რომ საქართველოს ნაკრების გულშემატკივრები საფიქრალში ჩააგდო: *"მუხლი გასიებული მაქვს, მაგრამ მგონი, ტრავმა მძიმე არ არის. ამ სეზონში ტრავმები ჩემი თანამდევია. "რეჯინამ" ძალიან კარგად ითამაშა. ახლა სანაკრებო მატჩები მელის, შემდეგ კი თავისუფალი ვარ. რაც შეეხება ჭორებს ჩემი ტრანსფერის შესახებ, პატივს ვცემ ტიფოზებს, მაქვს მოქმედი კონტრაქტი 2011 წლამდე და ვიცავ ამ კონტრაქტს. უბრალოდ, რაღაც დეტალებზე მაქვს სასაუბრო გუნდის ხელმძღვანელობასთან"*.

### წაგებული ომები

**შოთა არველაძე** სანაკრებო ბატალიებს ცუდი განწყობით ხვდება, მისმა "ალკმაარმა" ბოლოს ყველაფრის წაგება მოახერხა, რისი წაგებაც კი შეიძლებოდა (ჩემპიონობა, თასი, ლიგის საგზური). გუშინ ფლეი ოფის ფინალის საპასუხო მატჩში "ალკმაარი" "აიაქსს" ესტუმრა და 0:3 წააგო. სამივე გოლი სტუმრებმა მეორე ტაიმში გაუშვეს. შოთას ერთი საგოლე მომენტი შეექმნა, თუმცა საჯარიმოს ცენტრიდან მისი თავური ასცდა კარს. ორი მატჩის ჯამში 2:4 წაგების შემდეგ კლუბმა ჩემპიონთა ლიგის საგზური დაკარგა და მხოლოდ უეფას თასის საგზურს დასჯერდა. ქართველმა ფორვარდმა შეუცვლელად ითამაშა.

ქართული ლეგიონის უქმეები

# ჯაკობიას თავური



დავით მუჯირი

### ჯაკობიამ გაასამა

გუშინ უკრაინის თასის ფინალში კიევის "დინამომ" 2:1 დაამარცხა "შახტარი" და ქვეყნის თასს დაეუფლა, სულ ერთი ქულა აშორებს "დინამოს" ჩემპიონობამდეც, თუმცა ამაში ქართველ ლეგიონერთა სამეულს დამსახურება არ მიუძღვის - ჩვენები დუბლებში თამაშით კმაყოფილდებიან. თასის ფინალის გამო, ჩემპიონატის რამდენიმე მატჩი ნაადრევად გაიმართა, მათ შესახებ ჩვენ უკვე მოგითხრეთ.

"ილიჩივეცს" უმაღლეს ლიგაში თამაშის გაგრძელების მხოლოდ თეორიული შანსიღა შერჩა, ასე რომ **გიორგი ციმაკურიძეს** ახალი კლუბის ძებნა მოუწევს. "ილიჩივეცი" 0:2 დამარცხდა დონეცკის "მეტალურგთან". ქართველებს არც ერთი მხრიდან არ უთამაშიათ. სტუმართა რიგებში არ ჩანდა **გიორგი დემეტრაძე**.

კიევში "არსენალს" ლაშა ჯაკობიამ გაამარჯვებინა "კარპატიზე". მატჩის ერთადერთი გოლი მან მერვე წუთზე გაიტანა. **ზაკარლიუკამ** მარჯვენა ფლანგიდან ჩააწოდა, ქართველმა ფორვარდმა კი თავურით შორეულ კუთხეში გაიტანა. ეს ლაშას მესამე გოლია სეზონში.

დნეპროპეტროვსკში "დნეპრი" 1:1 დაუზავდა "კრივბასს". მასპინძელთა რიგებში 59-ე წუთამდე ითამაშა **ჯაბა კანკავამ**, რომელიც **კრავჩენკომ** შეცვალა. რაც შეეხება "კრივბასს", ვერაფრით გაგახარებთ, **ვასილ გიგიაძემ** მთელი მატჩი კვლავ სათადარიგოთა სკამზე გაატარა, ხოლო ნაკრებში გამოძახებული **ლადო ბურდული** განაცხადშიც არ იყო.

ზაპოროჟიეს "მეტალურგმა" 1:0 მოუგო სტუმრად უკვე გავარდნილ "სტალს". სამწუხაროდ, არ უთამაშიათ არც **დავით კვირკველიას** და არც **ირაკლი მოდებაძეს**. საერთოდ, ამ ტურში ქართულმა ლეგიონმა ახალი ანტირეკორდი დაამყარა: 14 ჩვენებურიდან მხოლოდ სამმა ითამაშა.

### თასი ასათიანს დაუსწრებლად

**მალხაზ ასათიანი** რუსეთის თასის მფლობელია. გუშინ მისმა "ლოკომოტივმა" ფინალში "მოსკვა" დაამარცხა 1:0. სამწუხაროდ, ჩვენებურმა ვერც გუშინ ითამაშა, თუმცა მას თასის გათამაშების ამ სეზონში "ლოკომოტივის" მაისური მორგებული აქვს. ასე რომ, თასის სრულუფლებიანი მფლობელია.

პარალელურად რუსეთის ჩემპიონატის მეთერთმეტე ტურიც გაიმართა, ორი მატჩი გადაიდო. მათ შორის არ უთამაშია **გოგიტა გოგუას** "სატურნს". "რუბინმა" 3:0 გაანადგურა "ლუჩი", **ალექსანდრე ჩიხრაძის** კარში გოლები **გაბრიელმა** და **ბაირამოვმა** (ორი) გაიტანეს. "რუბინის" სასტარტოში დაბრუნდა **ლაშა სალუქვაძე**, რომელმაც 90 წუთი ითამაშა. **დავით მუჯირმა** მე-80 წუთამდე ითამაშა მოსკოვის "დინამოსთან" მატჩში, რომელიც 3:2 დასრულდა. ქართველი ნახევარმცველის გასვლის შემდეგ სამხრეთაფრიკელმა მცველმა **ბუტმა** გამარჯვების გოლი გაიტანა. ნალჩიკში "სპარტაკი" "როსტოვს" დაუზავდა - 0:0. მასპინძელთა გუნდის დაცვას კვლავ **ალეკო ამისულაშვილი** ამაგრებდა, ტრადიციულად, მეორე ტაიმში ვიხილეთ **ლევან გვაზავა**. ამისულაშვილი ერთადერთი ქართველი ლეგიონერია, რომელმაც ამ სეზონში ყველა მატჩი ითამაშა, **მალხაზ ასათიანი** კი ერთადერთია, რომელსაც ჯერ არ უთამაშია.

"კრილია სოვეტოვი" ამ გამარჯვებამ მეორე ადგილზე გადაიყვანა (19 ქულა). 16 ქულა და მატჩით ნაკლები აქვს გამართული მოსკოვის "ლოკომოტივს".

### დანიაც დაგვემშვიდობა

კიდევ ერთი ქართველი ლეგიონერისთვის დასრულდა სეზონი - **გიორგი ფოფხაძის** "ვიბორგმა" დანიურ სუპერლიგაში 29 ქულით მეცხრე ადგილი დაიკავა. ბოლო ტურში "ვიბორგი" შინ 1:2 დამარცხდა "ნორდსიელანდთან". ფოფხაძე მატჩის ბოლო წუთზე შეცვალეს. ახალგაზრდა ქართველმა მცველმა ამ სეზონში ათჯერ მოირგო "ვიბორგის" მწვანე მაისური.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| ფეხბურთელი | მატჩი | ანგ. | შენიშვნა | სეზ. სტატ. |
|---|---|---|---|---|
| **იტალია** | | | | |
| სერია A, XXXVIII ტური | | | | |
| კახა კალაძე | რეჯინა-მილანი | 2:0 | 69 წთ (შეცვალეს) | 18 თ, 1 გ. |
| **ჰოლანდია** | | | | |
| ერედივიზიე, თასი, ფლეი-ოფი | | | | |
| შოთა არველაძე | აიაქსი-ალკმაარი | 3:0 | 90 წუთი | 29 თ, 15 გ. |
| **უკრაინა** | | | | |
| ვიშა ლიგა, XXXVIII ტური | | | | |
| კახა ალადაშვილი | შახტარი-დინამო | 2:2 | არ უთამაშია, დუბლები | 6 თ, 0 გ. |
| ოთარ მარცვალაძე | შახტარი-დინამო | 2:2 | არ უთამაშია, დუბლები | 3 თ, 0 გ. |
| დავით იმედაშვილი | შახტარი-დინამო | 2:2 | არ უთამაშია, დუბლები | 16 თ, 4 გ. |
| ჯაბა კანკავა | დნიპრო-კრივბასი | 1:1 | 59 წთ (შეცვალეს) | 23 თ, 4 გ. |
| რევაზ ბარაბაძე | დნიპრო-კრივბასი | 1:1 | არ უთამაშია | 3 თ, 0 გ. |
| ილია კანდელაკი | ხარკივი-ჩერნომორეცი | 0:1 | არ უთამაშია | 17 თ, 0 გ. |
| გიორგი დემეტრაძე | ილიჩივეცი-მეტალურგი დ. | 0:2 | არ უთამაშია | 15 თ, 2 გ. |
| ლადო ბურდული | დნიპრო-კრივბასი | 1:1 | არ უთამაშია | 20 თ, 1 გ. |
| ვასილ გიგიაძე | დნიპრო-კრივბასი | 1:1 | არ უთამაშია, სათადარიგო | 26 თ, 11 გ. |
| გიორგი ციმაკურიძე | ილიჩივეცი-მეტალურგი დ. | 0:2 | არ უთამაშია | 13 თ, 0 გ. |
| დავით კვირკველია | სტალი-მეტალურგი ზ. | 0:1 | არ უთამაშია | 22 თ, 4 გ. |
| ირაკლი მოდებაძე | სტალი-მეტალურგი ზ. | 0:1 | არ უთამაშია | 20 თ, 3 გ. |
| გიორგი ქელიძე | ტავრია-ზარია | 1:2 | 88 წთ (შეცვალეს) | 10 თ, 1 გ. |
| ლაშა ჯაკობია | არსენალი-კარპატი | 1:0 | 90 წუთი, 1 გოლი | 13 თ, 3 გ. |
| **რუსეთი** | | | | |
| პრემიერლიგა, XI ტური | | | | |
| გოგიტა გოგუა | სატურნი | - | კლუბი ისვენებდა | 8 თ, 0 გ. |
| ნუკრი რევიშვილი | რუბინი-ლუჩი | 3:0 | არ უთამაშია | 2 თ, -2 გ. |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი-ლუჩი | 3:0 | 90 წუთი | 4 თ, 0 გ. |
| დავით მუჯირი | კრილია სოვეტოვი-დინამო | 3:2 | 80 წთ (შეცვალეს) | 10 თ, 2 გ. |
| მალხაზ ასათიანი | მოსკვა-ლოკომოტივი | 0:1 დ. | თასის ფინალი: არ უთამაშია | 0 თ, 0 გ. |
| ალეკო ამისულაშვილი | სპარტაკი ნ.-როსტოვი | 0:0 | 90 წუთი | 11 თ, 0 გ. |
| ლევან გვაზავა | სპარტაკი ნ.-როსტოვი | 0:0 | 33 წთ (შეცვლაზე) | 9 თ, 0 გ. |
| **დანია** | | | | |
| სუპერლიგა, XXX ტური | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | ვიბორგი-ნორდსიელანდი | 1:2 | 90 წთ (შეცვალეს) | 10 თ, 0 გ. |

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ინ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!



ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XXXVI ტური

# შუსტერმა რიიკაარდს ღვინო მოანყურა



რონალდინიო ამისთვის გააძევეს

35-ე ტურმა პრიმერა დივიზიონის ლიდერთა სამეულში ცვლილებები ვერ შეიტანა. სამეფო კლუბმა "სანტიაგო ბერნაბეუზე" დაგეგმილი სამი ქულა მოიპოვა და ჩემპიონობისკენ მიმავალ გზაზე კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა. "რეალის" კაპიტანმა გუნდის ღირსება 605-ე ორთაბრძოლაში დაიცვა. ამ მაჩვენებლით **რაული პაკო ხენტოს** გაუთანაბრდა. გონსალეს ბლანკოს ახლა მხოლოდ **კარლოს სანტილიანა** (643) და **მანოლო სანჩისი** (712) უსწრებენ. მადრიდელი გულშემატკივრებისთვის ალბათ, ორმაგად სასიხარულოა, რომ სახალხო გმირმა და კერპმა ამდენად მნიშვნელოვან თამაშში გოლი გაიტანა. სხვათა შორის, ამ გოლის წყალობით სამეფო კლუბმა "დეპორტივოსთან" მატჩში მეორედ დაწინაურება შეძლო. თამამად შეიძლება ითქვას, რაულმა საკუთარი გუნდის გამარჯვებაში ლომის წილი შეიტანა. მოკლედ, კაპიტნისა და **ფაბიო კაპელოს** სხვა შეგირდების მეცადინეობით, მადრიდულმა გრანდმა ზედიზედ მეექვსე დაპირისპირება მოიგო.

ბუნებრივია, მასპინძლები სამი ქულის მოპოვების გარდა არაფერზე ფიქრობდნენ. დიდი მოტივაციის მიუხედავად, თამაში "დეპორტივოს" შეტევებით დაიწყო. გალისიელები აშკარა უპირატესობას ფლობდნენ. **ხოაკინ კაპაროსის** შეგირდებმა დებიუტში რამდენიმე საგოლე მომენტი შექმნეს. მოგვიანებით მასპინძლები გონს მოეგნენ და მოვლენებმა მოედნის საპირისპირო მხარეს გადაინაცვლა. ამასობაში, შეხვედრის ყველაზე საკამათო ეპიზოდის დროც დადგა. 29-ე წუთზე **დევიდ ბექჰემმა** ფლანგიდან **რუუდ ვან ნისტელროის** მისამართით ჩინებული პასი ჩააწოდა. ჰოლანდიელი ფორვარდი ბურთს ხელით შეეხო, თუმცა მსაჯს ეს არ შეუნიშნავს. საბოლოოდ **სერხიო რამოსმა** ამ ყველაფრით კარგად ისარგებლა და ანგარიში გახსნა. ლაკორუნიელმა ფეხბურთელებმა მსაჯთან ბევრი იდავეს, მაგრამ შედეგს, რა თქმა უნდა, ვერ მიაღწიეს. **ფერნანდეს ბორბალანის** გადაწყვეტილება უცველი დარჩა. დაწინაურებით გახარებულმა "რეალმა" ინიციატივა მთლიანად ხელთ იგდო. კაპელოს ბიჭებმა ანგარიშის გაზრდა არაერთხელ სცადეს, თუმცა ფორვარდები უჩვეულოდ ბევრს სცოდავდნენ. მასპინძელთა რიგებში ყველაზე უკეთ ბექჰემი გამოიყურებოდა. ინგლისელი ვარსკვლავი მართლაც საუცხოო ფორმაშია. ვან ნისტელროიმ და რაულმა ბექსის რამდენიმე საუცხოო გადაცემა ვერ გამოიყენეს.

შესვენების შემდეგ გატანის შანსი თავად დევიდს მიეცა, მაგრამ მის მიერ შესრულებულ საჯარიმო დარტყმას მხოლოდ ძელის შეზანზარება მოჰყვა. რამდენიმე წუთში უკვე **იკერ კასილიასს** დაემუქრა საფრთხე. ურუგვაელი **ესტაიანოფის** ულამაზესი მაკრატელა ოდნავ აცდა მიზანს. "დეპორტივომ" მომდევნო წუთებიც შეტევაში გაატარა. გალისიელებმა ანგარიშის გათანაბრება შეძლეს. **კაპდევილამ** თანაგუნდელების მიერ ორგანიზებული ეფექტური კომბინაცია მიიყვანა ლოგიკურ დასასრულამდე. "რეალი" უკვე მერამდენედ გახდა იძულებული, რომ თამაში ხელახლა მისთვის სასიკეთოდ შემოეტრიალებინა. მასპინძლებს ძალიან გაუმართლათ, რადგან რაულმა სულ რაღაც ორ წუთში სტატუს კვო აღადგინა. ბუნებრივია, დედაქალაქელები ამითაც არ დაკმაყოფილდებოდნენ. თავის დასაზღვევად მათ კიდევ ერთი გოლი სჭირდებოდათ. სამეფო კლუბმა გახშირებული იერიშების შედეგი 74-ე წუთზე მოიმკო. "დეპორის" მცველების შეცდომის წყალობით ვან ნისტელროი ცარიელ კართან დარჩა და მიმდინარე სეზონში 23-ე გოლი შეაგდო. ამით ჰოლანდიელმა ფორვარდმა პრიმერა დივიზიონის საუკეთესო ბომბარდირის ტიტულის მოპოვების შანსი კიდევ უფრო გაიმყარა.

მასპინძლებისთვის ამ შეხვედრაში ერთადერთი სამწუხარო ფაქტი **რობერტო კარლოსის** ტრავმა გახლდათ. საფინალო სასტვენამდე ორი წუთით ადრე ბრაზილიელ მცველს **ფაბრიციო კოლოჩინი** შეეჯახა. ტრავმა იმდენად მტკივნეული აღმოჩნდა, რომ ვეტერანმა შეცვლა ითხოვა. მოგვიანებით გაირკვა, რომ რობერტო კარლოსს მარცხენა ტერფი დაუშავდა. ექიმებს ზუსტი პროგნოზის გაკეთება უჭირთ, თუმცა ვარაუდობენ, რეაბილიტაციას სულ მცირე ათი დღე დასჭირდება. შესაძლოა, მან "სარაგოსასთან" მატჩში ვერ იასპარეზოს.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებმა რუუდ ვან ნისტელროიზე ნადირობა გამოაცხადეს. მასმედიას აინტერესებდა, რას იტყოდა ჰოლანდიელი პირველ გოლთან დაკავშირებულ საკამათო ეპიზოდზე. ვან ნისტელროიმ ცოდვა არ უარჰყო: *"როცა ბექჰემის გადაცემა ჩემსკენ წამოვიდა, ვიფიქრე, რომ ბურთს დავამუშავებდი და გოლის გატანას შევეცდებოდი, თუმცა უმალ მივხვდი, ეს შეუძლებელი იყო. ინსტიქტურად ხელი დავიხმარე. გეფიცებით, ეს გააზრებულად არ გამიკეთებია. არ მინდოდა, მაგრამ ასე გამომივიდა. მსაჯმა არ ჩასტვინა. ჩემს ადგილზე ალბათ, არავინ ამოიღებდა ხმას. ფეხბურთი აზარტული თამაშია. ვფიქრობ, ამით ყველაფერია ნათქვამი."*

რაც შეეხება ფაბიო კაპელოს, თამაში მან ასე შეაფასა: *"ბედნიერი ვარ, რომ მორიგი გამარჯვება მოვიპოვეთ. სეზონის დასრულებამდე კიდევ უფრო ცოტა დრო დარჩა, რაც ჩვენს შანსებს ზრდის. სამწუხაროდ, სანაკრებო თამაშები ცუდ დროს დაემთხვა. ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, არც ერთ ფეხბურთელს არ გავათავისუფლებდი, მაგრამ მოგეხსენებათ, ეს შეუძლებელია. დევიდ ბექჰემმა ფანტასტიკური მატჩი ჩაატარა. ჩემი აზრით, ინგლისელი ასეთ ფორმაში არასოდეს ყოფილა."*

როცა "ბარსელონა" მოედანზე გავიდა, "რეალს" საკუთარი აქტივისთვის მორიგი სამი ქულა ჰქონდა შემატებული. ეს გარემოება კატალონიელებს, რა თქმა უნდა, სერიოზულ ფსიქოლოგიურ წნეხში აგდებდა. გარდა ამისა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ "ბარსას" იმ "ხეტაფესთან" უნდა ებრძოლა, რომელმაც რამდენიმე დღის წინათ ესპანეთის სამეფო თასის განმეორებით ნახევარფინალში გამანადგურებელი ანგარიშით 4:0 მოუგო. ერთი სიტყვით, **ფრანკ რიიკაარდის** შეგირდებს საკმაოდ რთული ამოცანა ჰქონდათ გადასაჭრელი. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ "ბარსელონამ" მატჩი საოცრად კარგად დაიწყო. თავად განსაჯეთ, **რონალდინიომ** ანგარიში უკვე მესამე წუთზე გახსნა. მასპინძლებს შეტევები ამის შემდეგაც არ შეუწყვიტავთ. იერიშს იერიში მოსდევდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ "ბარსა" "ხეტაფესგან" არაფერს დატოვებდა. მართლაც, რიიკაარდის ბიჭებმა უამრავი მომენტი გაუშვეს ხელიდან. **მესი**, რონალდინიოს, **დეკუ** და **ეტოო** ძალიან მწვავედ უტევდნენ. გულშემატკივრებს თითქოს სანერვიულო არაფერი ქონდათ, მაგრამ პირველი ტაიმის მიწურულს ისეთი რამ მოხდა, რამაც ინჩასები შოკში ჩააგდო. **ბელენგერმა** რონალდინიო წესების დარღვევით შეაჩერა. როგორც ჩანს, მადრიდელმა ბრაზილიელს ძალიან მტკივნეულად ჩაარტყა. გაუჩომ წონასწორობა დაკარგა და მეტოქეს წიხლი უთავაზა. არბიტრს ეს ეპიზოდი თვალთახედვის არედან არ გამოპარვია და მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავს წითელი ბარათი აუფრიალა. ამ საკითხს სადისციპლინო კომიტეტი გულდასმით განიხილავს. გამორიცხული არ არის, რონალდინიოს ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუტანონ. თუ მოვლენები სწორედ ამგვარად განვითარდება, შესაძლოა, გაუჩომ "ბარსას" ღირსება ველარასოდეს დაიცვას. მოგეხსენებათ, მის გადაბირებას "მილანი" ცდილობს. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ **სილვიო ბერლუსკონის** წარმატების სერიოზული შანსი აქვს...

შესვენების შემდეგ "ბარსელონა" დამშვიდებული და მოტივირებული გავიდა მოედანზე. ფატალური უიღბლობა რომ არა, კატალონიური გრანდი სულ მცირე ხუთ გოლს გაიტანდა. ჯერ მარტო სამუელ ეტოომ ორი 100-პროცენტიანი მომენტი გაუშვა ხელიდან, მომდევნო ეპიზოდებში კი **დეკუსა** და ლეო მესისაც მოეცარათ ხელი. რაც დრო გადიოდა, მოედანზე ვნებათა ღელვა იზრდებოდა. მსაჯი ყვითელი ბარათების ამოღებას ვერ აუდიოდა. "ბარსელონა" კი საგოლე მომენტების გამოყენებას კვლავ ვერ ახერხებდა. შეხვედრის დასრულებამდე 15 წუთით ადრე სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. ინიციატივას "ხეტაფე" დაეუფლა. რიცხობრივ უპირატესობაში მყოფმა მადრიდელებმა მასპინძლები საკუთარ კარს მიაჯაჭვეს. "ხეტაფემ" ორი 100-პროცენტიანი მომენტი გააფუჭა. "კამპ ნოუზე" მყოფი გულშემატკივრები აუტანელმა მღელვარებამ შეიპყრო. ისინი მსაჯის გადაწყვეტილებებითაც უკმაყოფილო იყვნენ. ბოლოს და ბოლოს, საფინალო სასტვენის ხმა გაისმა და ხალხმაც შვებით ამოისუნთქა.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტების წინაშე თავდაპირველად **ბერნდ შუსტერი** წარსდა. გერმანელმა სპეციალისტმა **პერეს ბურული** კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა: *"როგორც ყოველთვის, მსაჯი ამჯერადაც ძლიერებს მიემხრო. ძლიერში, რა თქმა უნდა, დიდი ფინანსური შესაძლებლობების მქონე გუნდს ვგულისხმობ, თორემ სათამაშო თვალსაზრისით, "ბარსელონა" არაფრით გვჯობდა. ჩემი აზრით, მასპინძლებმა, მხოლოდ და მხოლოდ, მსაჯის არაობიექტურობის წყალობით დაგვამარცხეს."*

ფრანკ რიიკაარდი კოლეგის შეფასებით, გაოგნებული დარჩა: *"10 ან სულაც 20 ქიქა ღვინო მჭირდება იმისთვის, რომ შუსტერს დავეთანხმო. ვფიქრობ, უდიდესი უსამართლობაა, მათი წარუმატებლობის სენიორ პერეს ბურულის ცუდი მუშაობით ახსნა. თუ ვინმეს სასაყვედურო აქვს, რა თქმა უნდა, პირველ რიგში "ბარსელონას", მაგრამ მოგეხსენებათ, მსაჯების გაკრიტიკება არ მახასიათებს. "ხეტაფემ" ღირსეული წინააღმდეგობა გაგვიწია. ჩემი აზრით, ბიჭებმა დიდი შემართება და ნებისყოფა გამოიჩინეს. ვისაც რა უნდა, ის იფიქროს, მაგრამ მიმაჩნა, რომ აბსოლუტურად დამსახურებულად მოვიგეთ."*

"ვილიარეალმა" ზედიზედ მეექვსე გამარჯვება მოიპოვა. ამ ფანტასტიკური სერიის წყალობით, "ყვითელმა სუბმარინმა" სატურნირო მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა. **მანუელ პელეგრინის** გუნდს ჩინებული შანსი აქვს იმისთვის, რომ მომავალი სეზონისთვის უეფას თასის საგზური გაინაღდოს. **დიეგო ფორლანის** დუბლმა და **იონ დალ ტომასონის** ეფექტურმა გოლმა "ვალენსია" საჩემპიონო მარათონს ჩამოაცილა. შაბათს "ღამურებმა" პირველობის მოპოვების თეორიული შანსიც დაკარგეს. მიუხედავად ამისა, **კეკე სანჩეს ფლორესი** საკუთარი გუნდით კმაყოფილია. მისი თქმით, ხელმძღვანელობას თავიდანვე მოეხსენებოდა, რომ ჩემპიონობა ძალიან რთული იქნებოდა და ამიტომ მიზნად ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა დაისახეს. ამ ამოცანის გადაჭრის შანსი კი მესტალიელებს ნამდვილად აქვთ.

### მომდევნო ტური

10 ივნისი. **ატლეტიკო-სელტა, ბარსელონა-ესპანიოლი, ბეტისი-ოსასუნა, დეპორტივო-რეკრეატივო, სოსიედადი-რასინგი, სარაგოსა-რეალი, ხეტაფე-ხიმნასტიკი, ლევანტე-ვალენსია, მალიორკა-სევილია, ვილიარეალი-ბილბაო.**

### ვალენსია-ვილიარეალი 2:3

**ვალენსია**: კანისარესი, მიგელი, ალბიოლი, აიალა, მორეტი, ხოაკინი, მარჩენა (56. ბარახა), ალბელდა, გავილანი (56. ხორხე ლოპესი), ანგულო, ვილია.

**ვილიარეალი**: ვიერა, ხავი ვენტა, გონსალო, ფუენტესი, ხოსე ენრიკე, კანი, ტაკინარდი (70. ხოსიკო), მარკოს სენა, პირესი (65. მატიას ფერნანდესი), ფრანკო (78. ტომასონი), ფორლანი.

**გოლები**: 1:0 ვილია (20-პენ), 1:1 ფორლანი (34), 1:2 ტომასონი (78), 1:3 ფორლანი (88), 2:3 მორეტი (90)

**გაფრთხილება**: 4-4; **დარტყმა**: 14(7)-12(5); **კუთხური**: 9-1; **თამაშგარე**: 3-3; **ჯარიმა**: 15-14; **ბურთის ფლობა**: 50%-50%

**მაყურებელი:** 45 000

### რეალი-დეპორტივო 3:1

**რეალი**: კასილიასი, მიგელ ტორესი, სერხიო რამოსი, კანავარო, რობერტო კარლოსი (89. სისინიო), ბექჰემი, გახო, დიარა, რობინიო (76. გუტი), რაული, ვან ნისტელროი (90. იგუაინი).

**დეპორტივო**: ავატე, კოლოჩინი, ჟორჟე ანდრადე, ლოპო, კაპდევილა, ესტოიანოფი (62. ბოდიპო), დე გუსმანი, სერხიო (78. ვერდუ), კრისტიანი, ხუან როდრიგესი, არისმენდი (86. ბარაგანი).

**გოლები**: 1:0 სერხიო რამოსი (29), 1:1 კაპდევილა (55), 2:1 რაული (57), 3:1 ვან ნისტელროი (74)

**გაფრთხილება**: 1-4; **დარტყმა**: 12(5)-20(8); **კუთხური**: 4-5; **თამაშგარე**: 0-2; **ჯარიმა**: 20-19; **ბურთის ფლობა**: 59%-41%

**მაყურებელი:** 45 000

### ბარსელონა-ხეტაფე 1:0

**ბარსელონა**: ვალდესი, ბელეტი (62. ოლეგერი), პუიოლი, ტიურამი, ვან ბრონკჰორსტი, ედმილსონი, ჩავი (90+3. ინიესტა), დეკუ, რონალდინიო, ეტო'ო, მესი (89. მოტა).

**ხეტაფე**: აბონდანსიერი, კონტრა, ბელენგერი, პულიდო, პარედესი, მარიო კოტელო, სელესტინი, კასკერო, ნაჩო (60. ალბანი), ვერპაკოვსკისი (60. პაჩონი), მანუ.

**გოლი**: 1:0 რონალდინიო (3)

**გაფრთხილება**: 4-5; **დარტყმა**: 13(6)-10(3); **კუთხური**: 4-3; **თამაშგარე**: 1-2; **ჯარიმა**: 13-23; **ბურთის ფლობა**: 53%-47%

**მაყურებელი:** 64 574

### ბილბაო-მალიორკა 1:0

**ბილბაო**: არნსუბია, უსტარიტსი, სარიეგი, ესპოზიტო, მურილიო, ირაოლა, ხავი მარტინესი, ეჩებერია, იესტე (72. ხავი გონსალესი), გაბილონდო (52. ურსაისი), ადურისი (82. ტიკო).

**მალიორკა**: მოია, ექტორი, ბალესტეროსი, ნუნიესი, ნავარო, ვარელა (68. იანკოვიჩი), პერეირა, იბაგსა, არანგო, ვიქტორი (68. მაქსი ლოპესი), იონას გუტიერესი (86. ტრეხო).

**გოლი**: 1:0 ურსაისი (63-პენ)

**გაფრთხილება**: 1-3; **დარტყმა**: 5(1)-7(1); **კუთხური**: 6-5; **თამაშგარე**: 2-2; **ჯარიმა**: 10-16; **ბურთის ფლობა**: 49%-51%

**მაყურებელი:** 35 000

### სელტა-ბეტისი 2:1

"ლიონი" "სოშოს" თავკაც **ალენ პერენს** დაუკავშირდა. საფრანგეთის ჩემპიონები მწვრთნელს ეძებენ. პარასკევს **ჟერარ ულიემ** თანამდებობა დატოვა. პრეზიდენტმა **ჟან მიშელ ოლამ** კი მოსიე პერენს დაადგა თვალი. წელს ამ სპეციალისტმა "სოშოს" საფრანგეთის თასი მოაგებინა – პირველად შორეული 1934 წლის შემდეგ. სხვადასხვა დროს მას "მარსელში", "ტრუასა" და "პორტსმუთშიც" უმუშავია, თუმცა განსაკუთრებული წარმატებების გარეშე. "ეკიპისათვის" მიცემულ ინტერვიუში პერენმა აღნიშნა, რომ პრეზიდენტ ოლას ტელეფონით ესაუბრა: *"მან ზოგადად ამიხსნა "ლიონში" მუშაობის სპეციფიკა და ჩემი მოსაზრებებით დაინტერესდა. ეს შესანიშნავი შანსია, თუმცა გაზეთებს ვკითხულობ და ვიცი, რომ ჩემს გარდა, ორი-სამი სხვა მწვრთნელის კანდიდატურაც განიხილება."* ულიეს წასვლის შემდეგ მოსიე ოლამ პირობა დადო, რომ მის შემცვლელს ერთ კვირაში დანიშნავს. სპეკულაციების თანახმად, "ლიონში" შეიძლება დაინიშნოს **დიდიე დეშამიც**, რომელმაც ეს-ესაა, "იუვენტუსი" სერია A-ში დააბრუნა და წავიდა. აქვე გეტყვით, რომ საფრანგეთის ჩემპიონები ჩელსელი მცველით, **პაულუ ფერეირათი** დაინტერესდნენ. "ლიონს" პორტუგალიელი ლეგიონერით სურს საფრანგეთის ნაკრების ახალგაზრდა ვარსკვლავ **ფრანსუა კლერის** შეცვლა. ეს უკანასკნელი იტალიაში გადაბარგებას აპირებს.

## ბელამის მსურველები არ აკლია

"ვესტ ჰემს" **კრეიგ ბელამის** შეძენა სურს. 12 მილიონ გირვანქად შეფასებულ თავდამსხმელს "ასტონ ვილა" და "ბლექბერნიც" ეპატიჟებიან. "ბლექბერნი" უელსელს იანვრის ტრანსფერების დროსაც დაუკავშირდა. იმავე პერიოდში კრეიგის ხელში ჩაგდება ბირმინგემელებმაც სცადეს, მაგრამ ფასის გამო უკან დაიხიეს, ახლა კი მოლაპარაკებების განახლებას აპირებენ. ბელამი "ბლექბერნის" ყოფილი თავდამსხმელია. ის "ლივერპულში" გასულ ზაფხულს გაიყიდა, მაგრამ დროის უმეტესი ნაწილი სათადარიგოთა სკამზე გაატარა. "ვესტ ჰემი", შეიძლება, **კარლოს ტევესის** გარეშე დარჩეს. ლონდონელთა თავკაცს **ალან კერბიშლის** კი არ სურს, ახალ სეზონში კვალიფიციური ფორვარდის გარეშე დარჩეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიის თასი. ფინალი

# ბრავო, ჰანს! ბუნდესთასი ნიურნბერგში გაემგზავრა

## შტუტგარტს ჩემპიონობაც ეყოფა...

**შტუტგარტი–ნიურნბერგი 2:3 დ.დ.**

ბერლინი. ოლიმპიაშტადიონი

**შტუტგარტი:** ჰილდებრანდი, ოსორიო (68. ბოკა), მეირა, დელპიერი, მანინი, პარდო, ხედირა (100. ტასკი), ჰიტცლშპერგერი, ჰილბერტი, და სილვა (46. გომესი), კაკაუ.

**ნიურნბერგი:** რ. შეფერი, დ. რაინჰარდტი, ა. ვოლფი, ნიკლი (73. სპირანოვიჩი), პინოლა (115. ბანოვიჩი), გალაშეკი, ენგელჰარდტი, კრისტიანსენი, მინტალი (35. პოლაკი), საენკო, შროთი.

**გოლები:** 1:0 კაკაუ (20), 1:1 მინტალი (27), 1:2 ენგელჰარდტი (47), 2:2 პარდო (80-პენ), 2:3 კრისტიანსენი (109).

**გაძევება:** კაკაუ (31. შტუტგარტი)

**გაფრთხილება:** 4-4.

**მაყურებელი:** 74 400

**ჰანს მაიერს** ძალიან მაგარი - მებრძოლი და შეუპოვარი გუნდი ჰყავს. ეს შაბათს, გერმანიის თასის ფინალში კიდევ ერთხელ დამტკიცდა. "ნიურნბერგმა" უმძიმეს და უაღრესად დრამატულ შეხვედრაში დამსახურებულად დაამარცხა ჩემპიონი "შტუტგარტი" და 39-წლიანი პაუზის შემდეგ, პირველად მოიგო ტიტული. ფრანკების წარმატება, პირველ რიგში, მაიერის დამსახურებაა და ის, რომ ეს სეზონი ერთ-ერთი საუკეთესო იყო "ნიურნბერგის" ბოლო 30-წლიან ისტორიაში, ესეც "რკინის ჰანსს" უნდა "დავაბრალოთ". თუნდაც იმ ფაქტის მოყვანა რად ღირს, რომ "ნიურნბერგი" ერთადერთი გუნდია მთელ ბუნდესლიგაში, რომელსაც "შტუტგარტმა" წლეულს ვერაფერი მოუხერხა. ჩემპიონატში ფრანკებმა შვაბები ორივე შეხვედრაში გაანადგურეს: სტუმრად 3:0, შინ 4:1, ახლა კი თასის ფინალშიც დაამწუხრეს გერმანიის ჩემპიონი და ზეიმის საბაბიც აქვთ. ნიურნბერგელები ამ გამარჯვებისთვის, პრემიის სახით 1 მილიონ ევროს მიიღებენ.

ბერლინის "ოლიმპიაშტადიონზე" 74 600-მა მაყურებელმა მოიყარა თავი - ანუ, დედაქალაქის არენა გადაჭედილი გახლდათ. ვინც არცერთ გუნდს არ ქომაგობდა, ცხადია, სტადიონზე სეირის სანახავად მივიდა და უნდა ითქვას, რომ სეირი შედგა. გაჩემპიონების შემდეგ "შტუტგარტს" სულ ვაქებდით და ვადიდებდით, მაგრამ ამჯერად შვაბებზე კარგს ვერაფერს დავწერთ. VFB-ს ცუდად არ უთამაშია, მაგრამ გუნდის ლიდერები, **კაკაუ** და კაპიტანი **ფერნანდო მეირა** ისე ცუდად მოიქცნენ, რომ **არმინ ფეეს** გუნდს ტრიუმფალური სეზონი სამარცხვინოდ დაასრულებინეს.

არადა, ანგარიში მე-20 წუთზე სწორედ კაკაუმ გახსნა, რომელსაც კარგი შანსი ჰქონდა, რომ მატჩის მთავარი თუ არა, ერთ-ერთი გმირი მაინც გამხდარიყო. ბრაზილიელმა "შტუტგარტის" კარის მომავალი დარაჯი **რაფაელ შეფერი** 6 მეტრიდან დაამწუხრა, საგოლე პასი კი **სამი ხედირამ** მიითვალა, რომელმაც, თავის მხრივ, "ნიურნბერგის" მცველის, **ნიკლის** შეცდომით ისარგებლა (ამ უკანასკნელმა ბურთი უაზროდ დაკარგა). მანამდე, კერძოდ კი მე-10 წუთზე, მატჩის მთავარ არბიტრს წესით ფრანკების კარში პენალტი უნდა დაენიშნა - ნიკლმა ხედირა საჯარიმოში დასცა, მაგრამ მსაჯმა თერთმეტმეტრიანის ნიშნულისკენ ხელის გაშვერა საჭიროდ არ ჩათვალა.

ფრანკებმა ანგარიში 27-ე წუთზე გაათანაბრეს და ვინ გაიტანა? **მარეკ მინტალმა!** სლოვაკმა ნახევარმცველმა **დომინიკ რაინჰარდტის** ჩაწოდება გამოიყენა და რაკი "შტუტგარტის" მცველებმა მას ხელი ვერ შეუშალეს, 4 მეტრიდან ძალიან თავისუფლად და იოლად დაამწუხრა **ჰილდებრანდი**. ამ გოლმა "შტუტგარტის" ფეხბურთელებს ხასიათი წაუხდინა და თანაც იმდენად, რომ შვაბებისგან უხეშობების კორიანტელი წამოვიდა. 31-ე წუთზე, ერთ-ერთი საჰაერო ორთაბრძოლისას, კაკაუმ **ვოლფს** მარჯვენა იდაყვი ჩასცხო, მსაჯმა ესეც ვერ შენიშნა, მაგრამ ლაინსმენთან კონსულტაციები გაიარა და კაკაუს წითელი ბარათი აუფრიალა. ზუსტად ერთ წუთში მსაჯს ფერნანდო მეირაც უნდა გაეძევებინა, მაგრამ ჩემპიონები, რატომღაც, დაინდო. პორტუგალიელმა გოლის ავტორ მინტალს წიხლი პირდაპირ მუხლში ჩაარტყა და არანაირი გამეორებები არ სჭირდებოდა იმას, რომ კაცი მიხვედრილიყო: მეირამ მინტალის მუხლს განგებ დაუმიზნა! სლოვაკი ნახევარმცველი მაშინვე შეცვალეს და საავადმყოფოში გააქანეს. ჩვენი გერმანელი კოლეგების მტკიცებით, უდიდესი სკანდალია ის, რომ მსაჯმა ჩემპიონების კაპიტანს ამ საქციელისთვის მხოლოდ გაფრთხილება აკმარა. არადა, მინტალი სულ ახლახან დაუბრუნდა მინდორს. ორი წლის წინათ სლოვაკი, ყველასთვის მოულოდნელად, ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა და მას მერე ფეხბურთი ხეირიანად აღარც უთამაშია - დაბრუნდებოდა ლაზარეთიდან, დაამტვრევდნენ, კიდევ დაბრუნდებოდა, კიდევ ამტვრევდნენ და ა.შ. ახლაც დაბრუნდა და ისევ ტრავმა! არცაა გასაკვირი, მინტალის მრჩეველმა **პეტერ ჰამერმა** მატჩის შემდეგ რომ თქვა, თუ მარეკის ტრავმა სერიოზული აღმოჩნდება, მეირას სასამართლოში ვუჩივლებთო.

47-ე წუთზე **პინოლას** კუთხურს **მარკო ენგელჰარდტი** გამოეხმაურა და რვა მეტრიდან ზუსტი თავური დარტყმით "ნიურნბერგი" დააწინაურა. მიუხედავად იმისა, რომ შვაბები კაცნაკლულები იყვნენ, ცდას არ აკლებდნენ, ჰანს მაიერმა კი გუნდი უკან დახია. შვაბებმა მიზანს მაინც მიაღწიეს: მე-80 წუთზე შეფერმა (შეგახსენებთ, რომ ეს უკანასკნელი "შტუტგარტში" გადადის) საკუთარ საჯარიმოში, პირველი ტაიმის შემდეგ შეცვლაზე შესული **მარიო გომესი** წააქცია - პენალტი კი შვაბთა მექსიკელმა საყრდენმა **პაველ პარდომ** გოლად აქცია და 2:2.

დამატებით დროში, როგორც მოსალოდნელი იყო, მაიერმა სათადარიგო მეკარე **კლევერს** გახურება უბრძანა, რადგან ეს უკანასკნელი პენალტების მოგერიების ოსტატია - როგორც იცით, ფრანკებმა მეოთხედფინალსა და ნახევარფინალში სწორედ თერთმეტმეტრიანების სერიით იმარჯვეს და იმ ორ შეხვედრაში კლევერმა ჯამში 6 პენალტის მოგერიება შეძლო. მაგრამ მაიერს ეს უკანასკნელი აღარ დასჭირდა, რადგან 109-ე წუთზე **იან კრისტიანსენმა** 20 მეტრიდან დააქუხა და ულამაზესი გოლით თასს მინიმუმ ერთი წლით "ნიურნბერგის" საწყობში დაუდო ბინა. მოკლედ, **არმინ ფეეს** გუნდმა დუბლი ვერ შეასრულა, მაგრამ "შტუტგარტს" ჩემპიონობაც ეყოფა...

**ჰანს მაიერი** (ნიურნბერგის მწვრთნელი): *"ეს გუნდი იმსახურებდა ამ უდიდეს გამარჯვებას. ერთი ეგაა, რომ მინტალის გამო ძალიან მწყდება გული. ძალიან გთხოვთ, არ მკითხოთ, რატომ არ ვუტევდით კაცნაკლულ "შტუტგარტს", გერმანიის ჩემპიონს. ალბათ არავინ იცის, რომ იან კრისტიანსენმა ორი წლის წინათ დანიის ჩემპიონატში 18 გოლი გაიტანა, მიუხედავად იმისა, რომ ნახევარმცველია. დღეს კრისტიანსენმა "ნიურნბერგის" მაისურით პირველი გოლი გაიტანა, თანაც რაოდენ დიდი მნიშვნელობის გოლი და ვისურვებდი, რომ ასე გააგრძელოს."*

**არმინ ფეე** ("შტუტგარტის" მწვრთნელი): *"ნიურნბერგს" გამარჯვებას ვულოცავ. ჩემი გუნდიც ქების ღირსია, რადგან ბიჭებმა შესანიშნავად იბრძოლეს. მე ვამაყობ ამ გუნდით."*

**თასის ყველა გამარჯვებული**

| | |
|---|---|
| 2007 | ნიურნბერგი |
| 2006 | ბაიერნი |
| 2005 | ბაიერნი |
| 2004 | ვერდერი |
| 2003 | ბაიერნი |
| 2002 | შალკე |
| 2001 | შალკე |
| 2000 | ბაიერნი |
| 1999 | ვერდერი |
| 1998 | ბაიერნი |
| 1997 | შტუტგარტი |
| 1996 | კაიზერსლაუტერნი |
| 1995 | ბორუსია (მ) |
| 1994 | ვერდერი |
| 1993 | ლევერკუზენი |
| 1992 | ჰანოვერი |
| 1991 | ვერდერი |
| 1990 | კაიზერსლაუტერნი |
| 1989 | ბორუსია (დ) |
| 1988 | აინტრახტი |
| 1987 | ჰამბურგი |
| 1986 | ბაიერნი |
| 1985 | იურდინგენი |
| 1984 | ბაიერნი |
| 1983 | კიოლნი |
| 1982 | ბაიერნი |
| 1981 | აინტრახტი |
| 1980 | ფორტუნა (დ) |
| 1979 | ფორტუნა (დ) |
| 1978 | კიოლნი |
| 1977 | კიოლნი |
| 1976 | ჰამბურგი |
| 1975 | აინტრახტი |
| 1974 | აინტრახტი |
| 1973 | ბორუსია (მ) |
| 1972 | შალკე |
| 1971 | ბაიერნი |
| 1970 | ოფენბახი |
| 1969 | ბაიერნი |
| 1968 | კიოლნი |
| 1967 | ბაიერნი |
| 1966 | ბაიერნი |
| 1965 | ბორუსია (დ) |
| 1964 | მიუნხენ 1860 |
| 1963 | ჰამბურგი |
| 1962 | ნიურნბერგი |
| 1961 | ვერდერი |
| 1960 | ბორუსია (მ) |
| 1959 | შვარც-ვაისი |
| 1958 | შტუტგარტი |
| 1957 | ბაიერნი |
| 1956 | კარლსრუე |
| 1955 | კარლსრუე |
| 1954 | შტუტგარტი |
| 1953 | როტ-ვაისი |
| 1943 | ვიენა |
| 1942 | მიუნხენ 1860 |
| 1941 | დრეზდენი |
| 1940 | დრეზდენი |
| 1939 | ნიურნბერგი |
| 1938 | რაპიდი |
| 1937 | შალკე |
| 1936 | ლაიპციგი |
| 1935 | ნიურნბერგი |

*P.S. 1949 წლიდან 1991 წლამდე გდრ-ის თასი ცალკე თამაშდებოდა.*

**გოტფრიდ ლენცი**



ნიურნბერგი გერმანიის თასის დაუფლებას ზეიმობს



რაფა ბენიტესი

ლივერპული

# რას ითხოვს ბენიტესი?

## ამერიკელ ინვესტორებს გუნდის განვითარება რამდენიმე წელიწადში სურთ, მწვრთნელს კი ეჩქარება...

**რაფა ბენიტესი** ტრანსფერებისთვის სოლიდური თანხის გამოყოფას ითხოვს. "ლივერპულის" ამერიკელი ბოსი **ჯორჯ ჯილეტი** კი ამბობს, რომ უმოკლეს დროში კლუბის გარდაქმნა შეუძლებელია: *"არ ვიცი, წელსვე მოვახერხებთ თუ არა ჩემპიონობისთვის ბრძოლას. ჩვენ "ლივერპულის" გაძლიერება გვსურს, მაგრამ ეს მრავალწლიანი პროგრამაა. გვინდა, რომ უძლეველი გუნდი გვყავდეს, მაგრამ სამწუხაროდ, ყველაფრის ერთ ღამეში გაკეთება შეუძლებელია. "მანჩესტერ იუნაიტედი" უძლიერესი მეტოქეა. "არსენალი" ჩვენზე წინაა, რადგან ბრწყინვალე ახალგაზრდა ფეხბურთელები ჰყავს, ხოლო "ჩელსი"... ის ალბათ, მსოფლიოს უდიადესი კლუბია."*

ბენიტესს კი მიაჩნია, რომ დროის დაკარგვა აღარ შეიძლება. მის აზრს იზიარებს ლივერპულელთა კაპიტანი **სტივ ჯერარდი**. ისინი ზაფხულის ტრანსფერებისას აუცილებლად მიიჩნევენ შედეგიანი თავდამსხმელის შეძენას. ბენიტესი: *"იუნაიტედმა" უკვე დაიწყო ფეხბურთელების ყიდვა. ისინი ჩემპიონები გახდნენ, მაგრამ საყრდენ ნახევარმცველში მაინც 20 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. წარმოიდგინეთ, რამდენს დახარჯავდნენ, თავდამსხმელი ან გარემარბი რომ დასჭირვებოდათ. გამოსავალი ერთია: დღესვე უნდა დავხარჯოთ ფული. თორემ გაისად შეიძლება ისევ ოთხეულში მოვხვდეთ და ისიც ჯოჯოხეთური შრომის ფასად. ლიდერებთან ჩამორჩენა კატასტროფულად გაიზრდება. შეიძლება, ისეც მოხდეს, რომ "ლივერპულმა" ველარასოდეს მოიგოს ჩემპიონატი. არ ვიცი, ესმით თუ არა ხელმძღვანელებს არსებული ვითარების სიმძიმე და იცნობენ თუ არა სატრანსფერო ბაზარს. მათ იციან, რა არის ამერიკული სპორტი, მაგრამ შესაძლოა, არ იცოდნენ, რომ ეს სხვა ბიზნესია. ისინი ყურადღებით მისმენენ ხოლმე, მერე კი ყოველთვის ამბობენ - "მაგრამ". მე ჩემს თავზე არ ვფიქრობ. მე ვფიქრობ ქომაგებსა და ჩვენს კლუბზე. მფლობელებს სურთ, მიაღწიონ მაქსიმალურ შედეგს. მათ ესმით, რომ "ლივერპული" უნდა გაძლიერდეს. ახლა მთავარია გაიგონ, რომ ეს უმოკლეს დროში უნდა მოხდეს. არ იფიქროთ, აქედან წასვლას ვაპირებდე. რამდენიმე სარფიანი შემოთავაზება მქონდა, მაგრამ ყველას უარი შევუთვალე, იმიტომ, რომ დღევანდელი სამსახურიც მაკმაყოფილებს. მხოლოდ ერთი რამ მაღელვებს: აგვისტომდე მოცდა არ შეიძლება. ხელმძღვანელებისთვის სწორედ ამის ახსნას ვცდილობ. "ლივერპულის" საუკეთესო ფეხბურთელებს აინტერესებთ, ვყიდულობთ თუ არა ძლიერ მოთამაშეებს. თუ ვყიდულობთ, ისინი დარწმუნდებიან, რომ წინ მივდივართ და აუცილებლად ირწმუნებენ თავიანთი კლუბის ძალას. მფლობელები ამბობენ, რომ მათ აქვთ დიდი ტრანსფერებისთვის საჭირო ფინანსები. ძალიან კარგი, მაშ ვიმოქმედოთ უფრო სწრაფად. ვიმოქმედოთ "მანჩესტერ იუნაიტედზე" სწრაფად..."*

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ლემპარდი მიდის?

## ნიუს ოფ ზე უორლდი მოლაპარაკებების ჩაშლის შესახებ გვაუწყებს

"ნიუს ოფ ზე უორლდის" ცნობით, **ფრენკ ლემპარდისა** და "ჩელსის" მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა. საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ, ინგლისელ ნახევარმცველს სხვა კლუბში გადასვლა მოუწევს. რიგში დგანან "ბარსელონა", "რეალი" და "იუვენტუსი". პოპულარული ტაბლოიდი ფრენკის ესპანეთში ტრანსფერს წინასწარმეტყველებს. შეიძლება თუ არა ვითარების შეცვლა? შეიძლება, თუ "ჩელსი" ლემპარდის ბანაკის მოთხოვნებს უსიტყვოდ შეასრულებს. კლუბთან დაახლოებული წყარო ამბობს, რომ ეს გამორიცხულია და რომ ფრენკისა და "ჩელსის" ურთიერთობები დასასრულისკენ მიდის. ივნისში ლემპარდის ლონდონურ კონტრაქტში ორი წელიწადი იქნება დარჩენილი. ფეხბურთელს მისი გამოსყიდვის საშუალება მიეცემა. ფრენკის საბაზრო ფასი 20 მილიონ გირვანქას აღემატება. თუმცა ახალი სატრანსფერო კანონმდებლობა დაინტერესებულ კლუბს საშუალებას აძლევს, ფეხბურთელი სულ რაღაც 8-9 მილიონად შეიძინოს.



ფრენკ ლემპარდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისის ნაკრები

# მაკლარენს სხვა გზა არ ჰქონდა...

## პირველად მუნდიალის შემდეგ: ბექჰემი და ოუენი ნაკრებში დაბრუნდნენ



სტივ მაკლარენი და დევიდ ბექჰემი

**დევიდ ბექჰემი** ინგლისის ნაკრებში დაბრუნდა. ის ბრაზილიასთან (1 ივნისი, ამხანაგური) და ესტონეთთან (6 ივნისი, საკვალიფიკაციო) მატჩებში ითამაშებს. ინგლისელთა ყოფილი კაპიტანი ეროვნულ გუნდში შარშანდელი მუნდიალის შემდეგ არ ყოფილა. **სტივ მაკლარენმა** თქვა, რომ ბექჰემი იდეალურ ფორმაშია და ნაკრებში ყოფნას იმსახურებს: *"ესტონეთთან აუცილებლად უნდა მოვიგოთ. გვჭირდება შემადგენლობა, რომელიც ამ ამოცანას გადაჭრის. ასევე გვჭირდება გამოცდილება, რომელიც დევიდს საკმარისზე მეტი აქვს."* ინგლისელთა 26-კაციან სიაში ბექჰემი ყველაზე გამორჩეული ფიგურაა. 32 წლის ფეხბურთელს ნაკრებში 94 მატჩი აქვს ჩატარებული. მაკლარენი ამბობს, რომ მისი გამოძახების მიუხედავად, კაპიტანი ისევ **ჯონ ტერი** იქნება.

ინგლისელთა მწვრთნელმა "ტოტენჰემის" მარჯვენა გარემარბს **აარონ ლენონსაც** უხმო, თუმცა ლენონის თამაში გამოირიცხა. პარასკევს, ინგლისის B ნაკრებისა და ალბანეთის ამხანაგურ მატჩში (3:1) მან მუხლი დაიზიანა. ტრავმებმა მაკლარენის გუნდი საგრძნობლად შეასუსტა. ვერ ითამაშებენ **ეშლი კოული, გარი ნევილი, ენდი ჯონსონი, მიკა რიჩარდსი, ოუენ ჰარგრივსი** და **ბენ ფოსტერი**. **უეინ რუნი** ესტონეთთან მატჩისთვის დისკვალიფიცირებული იყო. ამიტომ მწვრთნელმა არც ბრაზილიასთან შეხვედრისთვის გამოიძახა. სიაში ვერ მოხვდა პრესტონელი თავდამსხმელი **დევიდ ნაჯენტი**, რომელმაც ანდორასთან სადებიუტო მატჩში გოლი გაიტანა. მწყობრშია **ჯო კოული**. მაკლარენმა ორ ახალბედას უხმო: ბლექბერნელ **დევიდ ბენტლისა** და რედინგელ **ნიკი შორის**.

თითქმის ერთწლიანი შესვენების შემდეგ ნაკრებში დაბრუნდა **მაიკლ ოუენიც**. მან მუნდიალის ჯგუფურ ტურნირში შვედეთთან მატჩისას მუხლის მყესები გაიწყვიტა. დეკემბერში ოუენმა უშედეგოდ სცადა თამაშის განახლება, ისევ დაშავდა და საბოლოოდ აპრილის მიწურულს გამოჯანმრთელდა. მაიკლმა "ნიუკასლის" ბოლო სამი კალენდარული მატჩი ჩაატარა და როგორც იქნა, ნაკრებში დაბრუნების საშუალებაც მიეცა. ოუენმა ალბანეთთან შეუცვლელად ითამაშა და **სტიუარტ დაუნინგს** მესამე გოლი გაატანინა.

**მეკარეები** – პოლ რობინსონი (ტოტენჰემი), სკოტ კარსონი (ლივერპული), რობერტ გრინი (ვესტ ჰემი);

**მცველები** – ფილ ნევილი (ევერტონი), რიო ფერდინანდი (მანჩესტერ იუნაიტედი), ვესლი ბრაუნი (მანჩესტერ იუნაიტედი), ჯონ ტერი (ჩელსი), უეინ ბრიჯი (ჩელსი), ჯეიმი კარაგერი (ლივერპული), მაიკლ დოსონი (ტოტენჰემი), ლედლი კინგი (ტოტენჰემი), ნიკი შორი (რედინგი);

**ნახევარმცველები** – დევიდ ბექჰემი (რეალი), სტივ ჯერარდი (ლივერპული), ჯერმენ ჯენასი (ტოტენჰემი), აარონ ლენონი (ტოტენჰემი), ფრენკ ლემპარდი (ჩელსი), ჯო კოული (ჩელსი), დევიდ ბენტლი (ბლექბერნი), მაიკლ ქერიკი (მანჩესტერ იუნაიტედი), სტიუარტ დაუნინგი (მიდლსბრო), კირონ დაიერი (ნიუკასლი);

**თავდამსხმელები** – პიტერ კრაუჩი (ლივერპული), მაიკლ ოუენი (ნიუკასლი), ალან სმიტი (მანჩესტერ იუნაიტედი), ჯერმენ დეფო (ტოტენჰემი).

### ბექჰემი: მილანი კონტრაქტს მთავაზობდა

მაკლარენის პრესკონფერენციის შემდეგ "მირორი" **დევიდ ბექჰემს** შეეხმიანა. მადრიდელი გალაქტიკო მწვრთნელის გადაწყვეტილებით ნასიამოვნები იყო: *"ექვსი თვის წინ მეუბნებოდნენ, რომ MLS-ის არჩევით შეცდომა დავუშვი და რომ "რეალის" მოთხოვნებს ველარ ვაკმაყოფილებდი. მგონი, დავამტკიცე, რომ ასე არ არის... ამერიკაში გამგ ზავრება სანაკრებო კარიერის გაგრძელებაში დამეხმარება. იქ ერთ სეზონში 30 მატჩს ჩავატარებ და ენერგიის აღსადგენად მეტი დრო მექნება. მართალია, იქაური კლიმატი ევროპულისგან განსხვავდება, მაგრამ თუ ნაკრებში გამომიძახებენ, ყოველთვის სათანადო ფორმაში ვიქნები... საინტერესო შეთავაზებები მქონდა ორი დიდი იტალიური კლუბიდან და ინგლისიდან, მაგრამ ვიგრძენი, რომ წასვლის დრო იყო. "მანჩესტერისა" და "რეალის" შემდეგ სხვა თავგადასავალს ვეძებდი. ყველაზე დიდი გამოწვევა MLS-ში თამაში და ამერიკული ცხოვრების წესი აღმოჩნდა. ვიცი, რომ ამერიკული ფეხბურთი სხვა დონეზეა, მაგრამ ეს არ არის მთავარი. იქ მარტო ფეხბურთის სათამაშოდ არ მივდივარ. თუ ადამიანებს ფეხბურთზე მივიყვან და თუ მატჩები მათ სიამოვნებას მიანიჭებს, მეც კმაყოფილი ვიქნები... ერთ-ერთი იტალიური კლუბი, რომელიც კონტრაქტს მთავაზობდა, "მილანი" იყო. ამ შეთავაზებაზე უარის თქმა ძალიან გამიჭირდა. "მილანში" ყველაფერი მომწონდა - კლუბი, მწვრთნელი, პრეზიდენტი. ახალი წლის დღეებში გავიგე, რომ რონალდოც იქ აპირებდა წასვლას. ის ჩემი უახლოესი მეგობარია და უფრო მეტად დამწყდა გული...*

### ფაბიანსკი ლემანის ახალი კონკურენტი

"არსენალმა" 22 წლის პოლონელი მეკარე **ლუკაშ ფაბიანსკი** შეიძინა. ტრანსფერის ფინანსური დეტალები უცნობია. ფაბიანსკი ლონდონელ მწვრთნელსა და თანაგუნდელებს საზაფხულო არდადეგების შემდეგ გაიცნობს. ლუკაშმა პოლონეთის ნაკრებში ოთხი მატჩი ჩაატარა. ის ვარშავის "ლეგიაში" ირიცხებოდა და ბოლო ორ სეზონში პოლონეთის ჩემპიონატის საუკეთესო მეკარედ დაასახელეს. **არსენ ვენგერი** დარწმუნებულია, რომ ფაბიანსკი "არსენალის" ძირითადში მოსახვედრად პირველსავე სეზონში იბრძოლებს. მისი სახით, **იენს ლემანსა** და **მანუელ ალმუნიას** სერიოზულესი კონკურენტი გამოუჩნდათ.

### მაკელელე ვილიარეალს კატეგორიულად უარყოფს

**კლოდ მაკელელე** "ჩელსიში" რჩება. ლონდონელებმა კატეგორიულად უარყვეს ესპანური გაზეთების ინფორმაცია ნახევარმცველის "ვილიარეალში" შესაძლო ტრანსფერის თაობაზე. საგანგებო განცხადება გააკეთა თვითონ ფრანგმა ლეგიონერმაც: *"კონტრაქტში კიდევ ერთი წელიწადი მაქვს დარჩენილი და წასვლა სულაც არ მინდა. კომენტარები, რომელიც ჩემი სახელით დაიბეჭდა, ჩემს მოსაზრებებს არ გამოხატავს, ხოლო პიროვნება, რომელმაც აღნიშნული განცხადება გააკეთა, ჩემი აგენტი არ არის."*

ინტერვიუ ლარს რიკენთან

# ძალიან მაგარი ან კატასტროფულად ცუდი

## ლიგის ფინალიდან 10 წლის შემდეგ, საუკუნის ტალანტად შერაცხული ლარს რიკენი რეგიონლიგაში თამაშობს...




ლარს რიკენი

**ლარს რიკენის ხსენებაზე ყველას 1997 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალი ახსენდება. მიუხედავად იმისა, რომ მას მერე ზუსტად 10 წელიწადი გავიდა და რიკენი დღეს უკვე 30 წლისაა, მის კარიერაში მეტი არც არაფერია გასახსენებელი. არადა, "იუვენტუსის" კარში გატანილი იმ არაჩვეულებრივი გოლის შემდეგ, ყველას მისი გვარი ეკერა პირზე. გერმანელებმა რიკენი საუკუნის ტალანტადაც კი შერაცხეს და დარწმუნებულები იყვნენ, რომ ლარსი გერმანული ფეხბურთის კაშკაშა ვარსკვლავი გახდებოდა, დაახლოებით ფრანც ბეკენბაუერის, ან გიუნტერ ნეტცერის დონის ვარსკვლავი. ამ 10 წლის განმავლობაში რიკენს გუნდი არ გამოუცვლია - დორტმუნდის "ბორუსიაში" გამოჩნდა და დღესაც BVB-შია. ოღონდ, ძირითად გუნდში აღარაა - დორტმუნდელთა თავკაცმა თომას დოლმა ის მოყვარულებში გადაისროლა. 1997 წლის 28 მაისს რიკენმა "იუვენტუსს" ზღაპრული გოლი გაუტანა, 2007 წლის 28 მაისს კი "ბორუსიის" მოყვარულებშია, გუნდში, რომელიც რეგიონალლიგაში თამაშობს. მაგალითად, გუშინ "ბორუსია II"-ის შემადგენლობაში, "ვილჰელმსჰაფენთან" იასპარეზა. "ბილდ ამ ზონთაგისთვის" მიცემულ ინტერვიუში რიკენი დალმასვლის მიზეზებზე საუბრობს.**

**- ჰერ რიკენ, გულახდილად გვითხარით, რამდენად ხშირად უყურებთ ხოლმე 1997 წელს "იუვენტუსის" კარში გატანილ გოლს?**

- ამ ათი წლის განმავლობაში ის თამაში თავიდან ბოლომდე ერთხელაც არ მინახავს. გოლს ვნახულობ ხოლმე, მაგრამ ძალიან იშვიათად. ყოველ შემთხვევაში, ისე ნამდვილად არ ვარ, რომ ყოველი დაძინების წინ ის გოლი ვნახო.

**- ჰო, მაგრამ ის თქვენი კარიერის უმნიშვნელოვანესი მომენტი იყო, არ გვეთანხმებით?**

- რა თქმა უნდა, გეთანხმებით. ადამიანი ფეხბურთს იმიტომ თამაშობს, რომ რაღაც ისეთი გააკეთოს, რასაც კარიერის დასრულების შემდეგაც სიამოვნებით გაიხსენებს. საბედნიეროდ, გასახსენებელი მაქვს - ის გოლი ყველასა და ყველაფერს მირჩევნია.

**- მაშინ თქვენ საუკუნის ტალანტად მიიჩნეოდით, ახლა კი, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ვეტერანი არ ხართ, რეგიონალლიგაში თამაშობთ...**

- ჩემი გადასაწყვეტი იყო, სად ვიქნებოდი და მეც რეგიონალლიგა ავირჩიე, რადგან მირჩევნია, სათამაშო პრაქტიკა მქონდეს, ვიდრე ძირითად გუნდში ვიყო და სკამი ვხეხო. მწვრთნელზე გაბრაზებული ნამდვილად არ ვარ, რადგან თვითონაც ვხედავ, რომ კარგად ვერ ვთამაშობ.

**- მაგრამ ვერ დაგვარწმუნებთ იმაში, რომ გული არ გწყდებათ, დოლმა ძირითად შემადგენლობაში ერთხელაც რომ არ გათამაშათ...**

- თავიდან მოყვარულთა გუნდში იმიტომ გადამიყვანეს, რომ "არმინიასთან" ძალიან ცუდად ვითამაშე. დოლმა თამაშის დამთავრებამდე 20 წუთით ადრე მოედანზე შემიშვა და ვაღიარებ, რომ იმ შეხვედრაში კატასტროფულად ცუდად გამოვიყურებოდი. ეს ფაქტია, ჰოდა, ვერც ვერავის გავამტყუნებ.

**- ამბობენ, რომ თქვენსა და დოლს შორის შავმა კატამ გაირბინა...**

- სისულელეა! თომასთან საკმაოდ ნორმალური ურთიერთობა მაქვს. რაც მთავარია, გულახდილად ვისაუბრეთ და მან მითხრა, ჩემი გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილი ხარო. და აქვე კიდევ ერთი რამ უნდა ვთქვა: რომ არა დოლი, "ბორუსიას" ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდებოდა. ის, რომ ელიტაში დავრჩით, სწორედ თომასის დამსახურებაა.

**- რამდენიმე შეთავაზება გქონდათ, მაგრამ მაინც "დორტმუნდში" დარჩით. ნუთუ, ამ ყველაფრის შემდეგ მაინც არ გაგიჩნდათ სურვილი, რომ გუნდი გამოიცვალოთ?**

- რაც მოხდა, მოხდა. მოყვარულებში თამაში ჩემთვის მისაღები და სასიამოვნო სულაც არაა, მაგრამ მე პროფესიონალი ვარ. ჩემი შემთხვევა საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ რა სწრაფად შეიძლება შეიცვალოს ყველაფერი. ან გმირი და იმედისმომცემი ფეხბურთელი ვარ, ანაც საერთოდ არ ვვარგივარ. თუ დააკვირდებით, ყოველთვის პოლუსებზე ვიყავი - ან ძალიან მაგარი, ან ძალიან ცუდი.

**- "დორტმუნდის" ბოლო 4 მწვრთნელიდან არცერთი არ გენდობოდათ. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ თქვენი დრო წავიდა?**

- მოითმინეთ. მაგალითად, ბერტ ვან მარვიიკი დიდად არ მენდობოდა, მაგრამ მის დროს რამდენიმე მნიშვნელოვანი გოლის გატანა მოვახერხე. პირველ რიგში, მწვრთნელის ნდობა მჭირდება.

**- აღიარებთ თუ არა, რომ შეცდომები დაუშვით?**

- ცხადია, რომ ყოველთვის სწორად არ ვიქცეოდი - უშეცდომო არავინაა. რა თქმა უნდა, მუდმივად ისმის კითხვა: იქნებ უკეთესი იქნებოდა, რომ გუნდი გამომეცვალა? მაგრამ დორტმუნდის "ბორუსია" ჩემთვის ერთი რიგითი გუნდი არ არის! ეს ჩემი ქალაქია, ჩემი გუნდია. და სხვათა შორის, ამ ხნის განმავლობაში, "დორტმუნდის" არცერთ ფეხბურთელს არ მოუგია იმდენი ტიტული, რამდენიც მე მოვიგე. გამოდის, რომ რაღაც მაინც გავაკეთე სწორად და ჩემს მიერ გადადგმული ყველა ნაბიჯი მცდარი არ ყოფილა.

**- ყველაზე მეტ პატივს რომელ მწვრთნელს სცემთ?**

- ოტმარ ჰიტცფელდს! ეს კაცი მართლაც არაჩვეულებრივი ადამიანია. 17 წლის ვიყავი, როცა "ბორუსიამ" ანდრეას მიოლერის შეძენა გადაწყვიტა, ფეხბურთელისა, რომელიც იმ დროს კაშკაშა ვარსკვლავი იყო, თანაც ზუსტად იმ პოზიციაზე თამაშობდა, სადაც მე. ჰოდა, წარმოიდგინეთ, ჰიტცფელდმა რესტორანში დამპატიჟა და ორი საათის განმავლობაში მიხსნიდა, თუ რატომ გადაწყვიტა მიოლერის შეძენა. ამას რომელი მწვრთნელი გააკეთებდა?

**- ფეხი ვერც გერმანიის ნაკრებში მოიკიდეთ. რატომ?**

- როცა ახალგაზრდა ვიყავი და საუკუნის ტალანტად შემრაცხეს, მაშინ წესი იყო, რომ გერმანიის ეროვნულ ნაკრებში ბავშვს, რაც არ უნდა ნიჭიერი ყოფილიყო, არ გამოიძახებდნენ. ასეთებს თავი ჯერ ახალგაზრდულ ნაკრებში უნდა გამოეჩინათ. მაშინ ბუნდესგუნდს იურგენ კლინსმანი, ანდი მიოლერი, ოლივერ ბირჰოფი, ოლაფ ტონი და თომას ჰესლერი ჰყავდა - ცხადია, რომ მე საჭირო არ ვიყავი. გერმანიის ნაკრებში პირველი თამაში მაშინ ჩავატარე, როცა ბუნდესლიგა უკვე ორჯერ მქონდა მოგებული და უკვე ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულიც გახლდით. დღეს კი საქმე სხვანაირადაა: საკმარისია, ბუნდესლიგაში რამდენიმე თამაში კარგად ჩაატარო, რომ მაშინვე ნაკრებში გამოგიძახებენ.

**- "ბორუსიის" აქციებს ისევ ფლობთ?**

- დიახ და თანაც ძალიან ბევრს. "დორტმუნდის" აქციებს ყოველთვის ვყიდულობდი, მაშინაც კი, როცა ეს გუნდი გაკოტრების პირას იყო მისული. დღეს ამ გუნდის აქციები ძალიან იაფია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მოვა დრო, როცა მათ ფასი კვლავ დაედება.

**- დაბოლოს, რაზე ოცნებობს ლარს რიკენი, რომელიც რეგიონალლიგაში თამაშობს?**

- მინდა, რომ "ვესტფალენშტადიონზე" გოლი კიდევ გავიტანო და მინდა, რომ გერმანიის თასი მოვიგო. ბუნდესლიგაში 300 თამაში მაქვს ჩატარებული, ევროთასებზე 57, გერმანიის თასზე კი, მხოლოდ და მხოლოდ, 5. ეს უნდა შეიცვალოს.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჭადრაკი

მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი

# ბრძოლა მესამე ადგილისთვის



ნინო ხურციძე



ლელა ჯავახიშვილი

შესვენება კარგად წაადგათ ქართველ მოჭადრაკეებს. და მეექვსე ტურში პოლონეთის ნაკრებს იოლად მოუგეს - 3:1. თუმცა "იოლი" აქ არაზუსტი სიტყვაა - უბრძოლველად არავინ გნებდება, მით უფრო პოლონელები, რომლებიც საჭადრაკო ქვეყნის სახელს ატარებენ და ამბიციაც გვარიანი აქვთ.

პირველ დაფაზე **მაია ჩიბურდანიძე** შავებით ხვდებოდა **მონიკა სოცკოს**, რთულ ბრძოლაში საყაიმო ვითარება შეიქმნა და დაზავდნენ კიდეც. მეორე დაფაზე კვლავ ბრწყინვალედ ითამაშა **ლელა ჯავახიშვილმა** და გამოცდილი **ივეტა რაძევიჩი** თეთრებით დაამარცხა. მეგობარს კარგად აუბა მხარი **ნინო ხურციძემ**, რომელმაც ძლიერ დიდოსტატს **იოლანტა ზავადსკას** შავებით დააყრევინა ფარ-ხმალი. ამით საეთო გუნდური გამარჯვება დავიბევეთ, მეოთხე დაფაზე კი **სოფიო გვეტაძემ მარტა პჟეზდეცკაიასთან** ყაიმით ითამაშა.

ამ გამარჯვებით მესამე ადგილზე გადავედით და მეოთხეზე უკრაინელები ჩავანაცვლეთ. უკრაინის ნაკრებმა რუსებთან ითამაშეს ფრედ, რაც ჩვენთვის ყველაზე სასურველი იყო - ამით რუსებსაც მივუახლოვდით და ერთქულიანი ჩამორჩენალა დაგვრჩა ალმოსაფხვრელი. შევძლებდით თუ არა რუსთა დაწევას მეშვიდე ტურს უნდა გამოეჩინა, რომელიც გუშინ, კვირა დღეს გაიმართა, თუმცა იქამდე აღვნიშნავთ, რომ ჩინელებმა მეექვსეში კვლავ გამანადგურებელი ანგარიშით სძლიეს მეტოქეს - 3.5:0.5 - თან, არცთუ სუსტი გუნდი - სომხეთის ნაკრები დაამარცხა.

ჩინელებს რომ პირველობას ვერავინ შეეცილება, ისევე ნათელია, როგორც ის - ბოტსვანას ნაკრებს რომ ალარასოდეს დაპატიჟებენ ასეთ ტურნირში, - აფრიკელებმა ამჯერადაც მშრალზე დათმეს მატჩი და კვლავ ნული ქულა აქვთ - ორივე გრაფაში. მეექვსე ტურში ბოტსვანას ვიეტნამმა მოუგო, რომელსაც მეშვიდეში საქართველოს ნაკრები ხვდებოდა. შეგახსენებთ, მიუხედავად იმისა, რომ აზიელები საჭადრაკო ელიტას არ განეკუთვნებიან, ქართველთა ორჯერ გამწარება, თანაც მშრალი ანგარიშით - 3:0 საჭადრაკო ოლიმპიადებზე კი შეძლეს. იმედი გვქონდა, რომ ამჯერად ჩვენ ვიმარჯვებდით დიდი ანგარიშით, ხოლო ჩვენი უშუალო მეტოქეები ისევ წაიფორხილებდნენ.

სამწუხაროდ, ჩვენმა მეტოქეებმა ქულები არ დაკარგეს, თუმცა არც ჩვენ ჩამოვრჩით მათ და ვიეტნამელები 2.5:1.5 დავამარცხეთ. პირველ დაფაზე გაიმარჯვა მია ჩიბურდანიძემ, დანარჩენ დაფებზე კი ყაიმები დაფიქსირდა - მეორეზე ლელა ჯავახიშვილი იჯდა, მესამეზე ნინო ხურციძე, მეოთხეზე კი - სოფიო გვეტაძე. ცხადია, ქართველი მოჭადრაკეები ვიეტნამელებზე კვალიფიციურები არიან და მეტი სხვაობითაც შეეძლოთ მოგება, მაგრამ რაღაც შეთანხმებულს ჰგავს სამ დაფაზე ყაიმი, ეს კი, გუნდურ ჭადრაკში ჩვეული ამბავია - არ ვამტკიცებთ, მაგრამ შესალოა ქართველთა გუნდის კაპიტანმა **ნინო გურიელმა**, დაინახა რა, რომ ჩიბურდანიძე იგებდა, და არც დანარჩენ დაფებზე გვქონდა საქმე ცუდად, მეტოქის კაპიტანს სამ დაფაზე დაზავება შესთავაზა. ამით ქართველებმაც დაზოგეს ძალები და ვიეტნამელებსაც მეტი დრო დარჩათ უშუალო კონკურენტებთან თამაშისთვის რომ მომზადებულიყვნენ - დღეს ისინი გერმანელებს ხვდებიან და თუკი დაამარცხებენ, ხუთეულში ადგილს თითქმის დაიბევებენ...

ჩვენებისთვის უმაღლეს მიზნად მეორე ადგილის დაჭერაა, მაგრამ ობიექტურად ეს არ მოხდება, რადგანაც რუსები დღეს ჩეხებს ხვდებიან და ალბათ იოლად მოუგებენ, ბოლო ტურში კი, ოთხივე რუსს შეუძლია ყველა დაფაზე ზურგშექცევით ითამაშოს - მაინც მოუგებენ ბოტსვანას ნაკრებს, თანაც მშრალი ანგარიშით. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში კი უკრაინელები გვეცილებიან - მათ ჩვენსავით 10 ქულა აქვთ, თუმცა პარტიათა მიხედვით დაგროვებული ქულებით ვუსწრებთ - ქართველებს 17 ქულა გვაქვს, უკრაინელებს - 16,5.

დღეს სწორედ უკრაინელებს ვხვდებით და პირველ დაფაზე თეთრი ფერის უპირატესობა ჩვენს მხარესაა. თუმცა უკრაინელთა ლიდერი იოლი დასამარცხებელი არ არის - 2005 წლის ევროპის ჩემპიონი **კატერინა ლაჰნო** მიუძლვება სლავებს წინ.

მართალია, უკრაინელებთან ყაიმიც კარგი შედეგი იქნება და მესამე ადგილს შევინარჩუნებთ, მაგრამ არავინ იცის, ბოლო ტურში ვინ როგორ ითამაშბს - ჩვენ უხერხულ მეტოქეს - სომხეთს ვხვდებით, უკრაინელებზე კი უკვე გითხარით - საკმაოდ მოტივირებულ ვიეტნამთან გაარჩევენ საქმეს. ამის გამო დღეს მოგება გვჭირდება და ალბათ დავფუძნდებით კიდეც მესამე ადგილზე. ღმერთმა ქნას, ჩეხებმა სენსაცია შემოგვთავაზონ, მაგრამ ამის ნაკლებად გვჯერა... ჩინელები კი უკვე უნდა ზეიმობდნენ ჩემპიონობას - მეშვიდე ტურშიც დიდი ანგარიშით - 3,5:0,5 გაიმარჯვეს. ამჯერად ჩეხები დაამარცხეს.

**მეექვსე ტური:** ვიეტნამი-ბოტსვანა - 4:0; გერმანია-ჩეხეთი - 2:2; ჩიინეთი-სომხეთი - 3,5:0,5; რუსეთი-უკრაინა - 2:2; პოლონეთი-საქართველო - 1:3.

**მეშვიდე ტური:** საქართველო-ვიეტნამი - 2,5:1,5; უკრაინა-პოლონეთი - 2,5:1,5; სომხეთი-რუსეთი - 1,5:2,5; ჩეხეთი-ჩინეთი - 0,5:3,5; ბოტსვანა-გერმანია - 0:4.

**სატურნირო მდგომარეობა:**

| | |
|---|---|
| 1. ჩინეთი | 13 (24) |
| 2. რუსეთი | 11 (16,5) |
| 3. საქართველო | 10 (17) |
| 4. უკრაინა | 10 (16,5) |
| 5. გერმანია | 7 (14,5) |
| 6. ვიეტნამი | 7 (14) |
| 7. პოლონეთი | 5 (13) |
| 8. სომხეთი | 4 (14) |
| 9. ჩეხეთი | 3 (10,5) |
| 10. ბოტსვანა | 0 (0) |

**მერვე ტურში ხვდებიან:** ვიეტნამი-გერმანია; ჩინეთი-ბოტსვანა; რუსეთი-ჩეხეთი; პოლონეთი-სომხეთი; საქართველო-უკრაინა.

**მეცხრე ტურში:** უკრაინა-ვიეტნამი; სომხეთი-საქართველო; ჩეხეთი-პოლონეთი; ოტსვანა-რუსეთი; გერმანია-ჩინეთი.

**ზვიად შათირიშვილი**

## თარიღი

**გიორგი (გულო) რცხილაძე.** 27.05.1909, თბილისი - 02.09.1968, იქვე. სპორტული ტანვარჯიში. სსრკ სამგზის აბსოლუტური ჩემპიონი (1932, 33, 34), სსრკ ნაკრების ლიდერი 1930-იან წლებში. თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე (1953-68). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე. 1972 წელს მისი სახელი მიენიჭა თბილისის ტანვარჯიშის სპეციალიზებულ სპორტულ სკოლას. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

**ნუკრი კაკილაშვილი.** დაიბადა 28.05.1960, თბილისი. ფეხბურთი, ნახევარმცველი. თამაშობდა თბილისის "დინამოში" (1977-87), ლანჩხუთის "გურიაში" (1988), ბათუმის "დინამოსა" (1989) და თბილისის "შევარდენი 1906"-ში (1990). ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში გამარჯვებული (1981). სსრკ უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 198 მატჩი (21 გოლი), საქართველოს უმაღლეს ლიგაში - 12. სსრკ ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1981). სსკრ თასის მფლობელი (1979) და ფინალისტი (1980). ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის დირექტორი 1992-2004 წლებში.

**ბიძინა მიქიაშვილი.** დაიბადა 28.05.1968, საკეცი, ამბროლაური. ძალოსნობა (83, 85 კგ). ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (1996). ევროპის ჩემპიონატებში აკვრაში მოგებული აქვს მცირე ოქროს (1996) და მცირე ბრინჯაოს (1995) მედლები. 1996 წლის ატლანტის ოლიმპიური თამაშების მონაწილე (IX ადგილი).

გიორგი (გულო) რცხილაძე



## სუმო



იოკოძუნა ჰაკუჰო

# ანტირეკორდი 2

ქართველმა ფალავანმა ბაშო პირადი ანტირეკორდის გამეორებით დაასრულა - **კოკაიმ** 15-დღიან სუპერტურნირში მხოლოდ სამი ორთაბრძოლა მოიგო, რაც უარესი შედეგია იმათ შორის, ვინც მაისის ბაშო ბოლომდე ჩაამთავრა. კოკაი მეორე მაეგაშირას ტიტულს დაკარგავს და საგრძნობლად დაიხევს რეიტინგში. უქმეებზე კოკაიმ ბოლო ორი ორთაბრძოლაც წააგო, ჯერ ტოკიცუუმისთან, შემდეგ კი მძიმეწონოსან **მიაბიამასთან**.

ტურნირი ოძეკი ჰაკუჰომ მოიგო, მან 15-ივე ორთაბრძოლაში გაიმარჯვა და იოკოძუნას ტიტულსაც ღირსეულად შეწვდა. იოკოძუნა ასაშორიუმ კი ბაშო მხოლოდ 10 მოგებით დაასრულა. მეორე დივიზიონი (ძურიო) ესტონელმა **ბარუტომ** მოიგო, რომელიც იქ ტრავმის გამო გავარდა. მესამე დივიზიონ მაკუშიტაში მეხუთე ბრძოლა მოიგო 19 წლის **ლევან გორგაძემ** (ტოჩინოშინი) და ბაშო ბრწყინვალე ბალანსით (5-2) დაასრულა. ტოჩინოშინი მაკუშიტას 28-ე ნომერია, ძურიოში ამ მიღწევით ქართველი ვერ გადავა, თუმცა რეიტინგში საგრძნობლად წაიწევს წინ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**ნაცუ ბაშო**

(მაისის სუპერტურნირი) 13-27 მაისი, ტოკიო (იაპონია)

XIV დღე: კოკაი-ტოკიცუუმი 0:1 (სუკუინაგე), კოტოოშუ-ასაშორიუ 1:0, კოტომიცუკი-კაიო 1:0, ჰაკუჰო-ჩიოტაიკაი 1:0, ამა-ტაკეკაძე 1:0, კოტოშოგიკუ-კისენოსატო 1:0, ტოჩიოძანი-ტოიონოშიმა 1:0, ტოკიტენკუ-კაკურიუ 1:0, ვაკანოსატო-ჰომაშო 1:0, ტამანოშიმა-კასუგაო 1:0, ამინიშიკი-დეჯიმა 1:0, რიუო-ტაკამისაკარი 1:0, ასასეკირიუ-როჰო 1:0, ტოჩინონადა-მიაბიამა 1:0, ჰოკუტორიკი-ფუტენო 1:0.

XV დღე: კოკაი-მიაბიამა 0:1 (ოკურიდაში), ჰაკუჰო-ასაშორიუ 1:0, კაიო-კოტოოშუ 1:0, კოტომიცუკი-ჩიოტაიკაი 1:0, ამა-ასასეკირიუ 1:0, კასუგაო-ტოიონოშიმა 1:0, დეჯიმა-კოტოშოგიკუ 1:0, კისენოსატო-ჰომაშო 1:0, ვაკანოსატო-ტოკიტენკუ 1:0, ტამანოშიმა-ტოჩიოძანი 1:0, როჰო-ამინიშიკი 1:0, ტაკეკაძე-რიუო 1:0, ფუტენო-კაკურიუ 1:0, ტოჩინონადა-ტოკიცუუმი 1:0, ტაკამისაკარი-ჰოკუტორიკი 1:0.

საბოლოო მდგომარეობა: 15-0: ჰაკუჰო (ოძეკი); 12-3: კოტომიცუკი (სეკივაკე), ასასეკირიუ (მაეგაშირა 8), დეჯიმა (მ 10); 10-5: ასაშორიუ (იოკოძუნა), კაიო (ოძეკი), ჩიოტაიკაი (ოძეკი), ვაკანოსატო (მ 7), როჰო (მ 9), ფუტენო (მ 13), რიუო (მ 14).

იმპერატორის თასი: ჰაკუჰო (მესამედ)

ბრწყინვალე ასპარეზობა: ამინიშიკი (პირველად)

მებრძოლი სული: დეჯიმა (მეოთხედ)

ტექნიკური რიკიში: ასასეკირიუ (მეორედ)

ძურიოს ჩემპიონი: ბარუტო (მეორედ)

## ძიუდო

საქართველოს ჩემპიონატი. ახალგაზრდები

# ფავორიტთა უპირატესობით

ამ დღეებში ვერის ბაღში ახალგაზრდა, ოცწლამდელ ძიუდოისტთა საქართველოს ჩემპიონატი დამთავრდა. ეს ასაკი ეროვნული ნაკრების ხვალინდელი რეზერვია და ამიტომ ტურნირმა დიდი ინტერესი გამოიწვია როგორც მონაწილეებში, ასევე სპეციალისტებში. ჩემპიონატში 200-მდე ახალგაზრდა მონაწილეობდა, რომელთაგანც ბევრი ეროვნულის კანდიდატია. ბუნებრივია, იყო მოულოდნელი შედეგებიც, მაგრამ ფავორიტებმა ძირითადად მაინც გაამართლეს იმედები. მაგალითად, **ამირან პაპინაშვილი** (60) უფროსებში საქართველოს მესამე პრიზიორია და რამდენიმე მსოფლიო თასზეც საკმაო წარმატებით იჭიდავა. **ალექსანდრე იაკობაშვილი** (66) სულაც ქვეყნის ვიცე-ჩემპიონია, **ზვიად ბაზანდარაშვილს** (73) მედლამდე ცოტა დააკლდა, **ნიკო კუცია** (81) ძირითადად, სამბოში ყოჩაღობს, მაგრამ კარგა ხანია, ევროპა-მსოფლიო პირველობებიდან უმედლოდ არ ბრუნდება. სპეციალისტთა დიდ ინტერესს იწვევს **ვალერი ლიპარტელიანიც** (90).

ამათ გვერდით თავი იმ ბიჭებმაც გამოიჩინეს, რომლებიც აქამდე ჭაბუკთა შორის გვამახსოვრებდნენ თავს - **რობერტ მშვიდობაძე** და **პაატა მერებაშვილი** (60), **არსენ მაჭარაშვილი** (73), **იოსებ ჩილინდრიშვილი** (81), **ბექა ნავერიანი** (90), **ტატო მუკვანი** (100), **ლევან მუქერია** (+100)... ცხადია, ლიდერთა ასეთი მიზანმიმართული ზრდა სამომავლოდ ეროვნულ გუნდს წაადგება.

**ირაკლი თავაძე**

**60 კგ. 31 მონაწილე**
1. ამირან პაპინაშვილი (აჭარა)
2. რობერტ მშვიდობაძე (შიდა ქართლი)
3. პაატა მერებაშვილი (შიდა ქართლი)
3. იოსებ ჭოლაძე (იმერეთი)

**66 კგ. 32 მონაწილე**
1. ალექსანდრე იაკობაშვილი (ქვემო ქართლი)
2. ჯემალ ბერიაშვილი (რაჭა-ლეჩხუმი-ქვ. სვანეთი)
3. იოსებ ქოქაშვილი (სამაჩაბლო)
3. ლევან ნახუცრიშვილი (თბილისი)

**73 კგ. 32 მონაწილე**
1. ზვიად ბაზანდარაშვილი (შიდა ქართლი)
2. არსენ მაჭარაშვილი (იმერეთი)
3. გიორგი გელაშვილი (შიდა ქართლი)
3. მირიან ხოსრუაშვილი (შიდა ქართლი)

**81 კგ. 31 მონაწილე**
1. ნიკოლოზ კუცია (სამეგრელო-ზემო სვანეთი)
2. იოსებ ჩილინდრიშვილი (შიდა ქართლი)
3. ზაზა დავაძე (ქვემო ქართლი)
3. ოთარ ტვილდიანი (რაჭა-ლეჩხუმი - ქვ. სვანეთი)

**90 კგ. 27 მონაწილე**
1. ვალერი ლიპარტელიანი (თბილისი)
2. გიორგი ბოლოთაშვილი (შიდა ქართლი)
3. ბექა ნავერიანი (ქვემო ქართლი)
3. ბექა ბიძოშვილი (კახეთი)

**100 კგ. 21 მონაწილე**
1. ტატო მუკვანი (ქვემო ქართლი)
2. მირიან გონჯილაშვილი (კახეთი)
3. შოთა ჭიჭინაშვილი (კახეთი)
3. შალვა ბერუაშვილი (აჭარა)

**+ 100 კგ. 20 მონაწილე**
1. ლევან მუქერია (თბილისი)
2. იასონ პურიჭამიაშვილი (შიდა ქართლი)
3. ლევან ძინძლაძე (კახეთი)
3. გოდერძი მოსიაშვილი (შიდა ქართლი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

ოთარ ქორქიას სახელობის საქართველოს სუპერთასი

# აზოტის ოთხი ტიტული და სამი წერტილი...



**27 მაისი, თბილისი**

**ავიამშენი–აზოტი 67:80**

19:17, 18:24, 10:19, 20:20

| ავიამშენი | ქ | მ | პ | ჩ | დ | შ |
|---|---|---|---|---|---|---|
| დ. ბერიშვილი | 4 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ბაბიაშვილი | 19 | 8 | 10 | 0 | 0 | 1 |
| ნიკოლაძე | 12 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 |
| ნინიაშვილი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ბარბაქაძე | 17 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 |
| მოსეშვილი | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 |
| ხომტარია | 4 | 0 | 3 | 1 | 0 | 1 |
| კეიდია | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 |
| როდუმტა | 9 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 |
| სუხიშვილი | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 |
| კვიმსაძე | 0 | 2 | 1 | 2 | 0 | 2 |
| **აზოტი** | **ქ** | **მ** | **პ** | **ჩ** | **დ** | **შ** |
| ტულუში | 13 | 5 | 8 | 0 | 1 | 2 |
| ბოისა | 4 | 1 | 2 | 1 | 0 | 0 |
| ბეჟანიშვილი | 11 | 3 | 2 | 0 | 0 | 0 |
| მალეშევიჩი | 6 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 |
| უგრეხელიძე | 13 | 5 | 1 | 0 | 1 | 0 |
| დიდია | 8 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 |
| მარკოიშვილი | 7 | 2 | 0 | 2 | 0 | 2 |
| გოგოგერიშვილი | 12 | 1 | 1 | 0 | 1 | 1 |
| ტუჯანი | 4 | 4 | 0 | 0 | 0 | 1 |
| ჭოჭუა | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 |

მსაჯები: მ. კუპატაძე, მ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი

რუსმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ივან ედეშკომ** ოთარ ქორქიას სახელობის სუპერთასი მოკლედ შეაფასა: *"განსაკუთრებული არაფერი მინახავს, მაგრამ მაინც კმაყოფილი დავრჩი. საშუალო დონის თამაში იყო. მოედანზე მყოფთაგან "აზოტის" მე-10 ნომერს (კოტე ტულუშს) გამოვარჩევდი, რომელმაც სხვებზე მეტი იშრომა, იბრძოლა და აშკარაა, რომ მან იცის, რა არის კალათბურთი და იგი ძალიან უყვარს. ალბათ, შემთხვევითი არ არის, რომ ეს მოთამაშე ამ შეხვედრის საუკეთესოდაც დასახელდა და ჩემპიონატის MVP-სთვის განკუთვნილი ჯილდოც მიიღო".*

მატჩის შემდეგ პრიზების დასაჭერად კოტეს ხელები არ ჰყოფნიდა - ზემოთ ნახსენები ორი ჯილდოს გარდა მას ჩემპიონის ოქროს მედალი და სუპერთასიც ერგო...

როგორც მიხვდით, სუპერთასი "აზოტმა" მოიგო და მიმდინარე სეზონში თავის კოლექციას მეოთხე ტიტული შემატა. ჩამოვთვალოთ: ოქტომბერში რუსთაველებმა დუდუ დადიანის მემორიალი მოიგეს; იანვარში ქორქია-საკანდელიძის სახელობის თასს დაეუფლნენ; 18 მაისს ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვეს, ხოლო გუშინ "ავიამშენს" სუპერთასი არ დაუთმეს.

რა ანგარიშით მოიგო "აზოტმა", მატჩის ოქმში წაიკითხავდით. ოქმი კი ვერ გიპასუხებთ, როგორ მოახერხა "ავიამშენის" გატეხვა.

*"შეხვედრის დასაწყისში "ავიამ" სწრაფი თამაში შემოგვთავაზა. თავიდან თამაშის დალაგება ცოტა გაგვიჭირდა, მაგრამ პირველი ტაიმის ბოლოს შეცდომების რაოდენობა მინიმუმამდე შევაცირეთ და..."* - ასეთი იყო "აზოტის" მწვრთნელის **დავით უსტიაშვილის** მოკლე მოსაზრება პირველი ნახევრის შესახებ.

მისმა ვიზავიმ **ლევან მოსეშვილმა** სტუმრებს სიუპრიზი შესთავაზა - ძირითად ხუთეულში **პლასიდე როდუმტას** ნაცვლად ფორვარდი **თორნიკე ნინიაშვილი** დააყენა. ცენტრის გარეშე მოასპარეზე ავიატორები სწრაფი თამაშით იოლად პოულობდნენ გზას მეტოქის კალათისკენ და ჯერ 7:0 დაწინაურდნენ, შემდეგ, როცა დინჯი თამაშით "აზოტმა" ანგარიში გაათანაბრა (7:7), მასპინძლებმა კვლავ იფეთქეს - 15:7. "ავიამშენიდან" დაცვაში ჩასვლას ყველა კარგად ასწრებდა, ხოლო შეტევაში მთავარი იარალი **ზვიად ბაბიაშვილი** იყო, რომელმაც საბოლოოდ 19 ქულა, 10 პასი და 8 მოხსნა ჩაიწერა. ორიც რომ მოეხსნა, სეზონის მეორე სამმაგ დუბლს დააფიქსირებდა.

ერთადერთი ტრიპლ-დაბლი **კოტე ტულუშის** ანგარიშზეა, რომელმაც **ლაშა გამყრელიძის** არყოფნაში (ფინალებისას თვალი და ფეხი დაიზიანა) თითქმის შეუცვლელად ითამაშა. როცა მოედანზე **ბოიან მალეშევიჩი** იყო, კოტე მსროლელის ფუნქციებს ასრულებდა, სერბის არყოფნაში - გამთამაშებლობას კისრულობდა. ტულუშზე საუბრისას ივან ედეშკოს მხედველობაში უმთავრესად მეორე მეოთხედის ბოლო წუთები უნდა ჰქონოდა: "ავიამშენი" 35:26 რომ დაწინაურდა, დავით უსტიაშვილმა წუთშესვენება აიღო, რომლის შემდეგ "ავიატორთა" მეურვეობა უფრო გამკაცრდა და დაცვაში თამაშის გამოსწორებამ შეტევაშიც შედეგი გამოიღო. თანაგუნდელებს კარგად ხელმძღვანელობდა კოტე ტულუში. მართალია, იგი გუშინ სამქულიანებს იშვიათად ისროდა და ასევე იშვიაად ყრიდა, მაგრამ ფარქვეშ ბევრი რამ გამოსდიოდა.

სწორედ მისი 2+1-ის შემდეგ "აზოტმა" პირველად გადაასწრო "ავიას" - 37:35. ხოლო პირველი ტაიმი რუსთაველებმა 41:37 მოიგეს.

*"მეორე ტაიმი "აზოტმა" ჩვენზე უკეთესად ჩაატარა. მაშინ, როცა 5-5 შენიშვნის გამო ლიდერები რიგ-რიგობით გვაკლდებოდნენ (ჯერ დათო ბერიშვილი, შემდეგ ირაკლი ხომტარია, ბოლოს დავით ბარბაქაძე), რუსთაველები თამაშს აუმჯობესებდნენ. მათ ძლიერი შემადგენლობა ჰყავთ, სუპერთასიც დამსახურებულად მოიგეს და ჩემპიონატიც"*, - ეს სიტყვები "ავიას" თავკაც **ლევან მოსეშვილს** ეკუთვნის.

ოთხი ლიდერის (მეოთხე, **ირაკლი ბერიშვილი** მატჩს ფეხის ტრავმის გამო ტოვებდა) გარეშე დარჩენილ "ავიატორებს" ბოლო მეოთხედში თამაშის გადარჩენის შანსი მიეცათ - გუნდური მოქმედებით "აზოტის" პრესინგის გადალახვა რომ ვერ მოხერხდა, თამაში საკუთარ თავზე აიღო გამთამაშებელმა **გიორგი ნიკოლაძემ**, ერთმანეთს 5 ქულა მიაყოლა და სირენამდე 4 წუთით ადრე სამქულიანით ანგარიში 5 ქულამდე შეამცირა (63:68).

... მაგრამ მომდევნო სამი შეტევა "ავიატორებმა" ექვსი გაცუდებული საჯარიმოთი "აღნიშნეს" (ნიკოლაძემ, ბაბიაშვილმა და როდუმტამ 2-2 ტყორცნა ააცილეს), საპასუხოდ კი 4 ჯარიმა მიიღეს და შეხვედრის ბედიც სირენამდე 2 წუთით ადრე გადაწყდა, როცა "აზოტმა" 10-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა. საფინალო სხვაობამ კი 13 ქულა შეადგინა - 80:67.

დიდი შესვენებისას **დღის ფრაზაც** მოვისმინეთ: სამივე საპრიზო ადგილზე გასული გუნდი მოედანზე მედლების დასარიგებლად იხმეს. ერთ-ერთმა "აზოტელმა" ნახევრადხუმრობით თქვა - მედლები ბარემ სექტემბერში მოეცათ, რა ეჩქარებოდათო...

ბევრი კი გაკვირვებას ვერ მალავდა - სეზონის ბოლოს სუპერთასი რად ტარდებაო?! საქართველო ხომ ყველასგან გამორჩეულია. აქ გუნდი ერთ სეზონში შეიძლება ჩემპიონი გახდეს, შემდეგში - დაიშალოს. რადგან არავინ იცის, გაისად რომელ კლუბს რა შესაძლებლობები ექნება და რა შემადგენლობა ეყოლება, ამიტომ სუპერთასის მატჩის სეზონის ბოლოს გამართვა გამართლებულია.

თუმცა, გვერდს ვერც იმას ავუვლით, რომ "ავიამშენი" ბოლო სამი წელინადა სტაბილურობით გამოირჩევა, ხოლო "აზოტი" ნელ-ნელა ძლიერდება. თუ ასე გაგრძელდა, სუპერთასის მომდევნო სეზონი დასაწყისში გათამაშებაც შესაძლებელი გახდება.

ასე და ამგვარად, 2006-07 წლების სეზონს იმედიანად ვასრულებთ და წერტილის ნაცვლად სამ წერტილს დავსვამთ - გვინდა, ასე გაგრძელდეს...

**ვაჟა სიმონიშვილი**

ნუგზარ სუარიძის ფოტოები





ფედერაციის პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანი აზოტის კაპიტან რამაზ გოგოძერიშვილს სუპერთასს გადასცემს

# აქაც ტულუში

**გუშინ** კალათბურთის ფედერაციამ გამოაქვეყნა მე-16 ჩემპიონატის საუკეთესოთა გამოკითხვის შედეგები.

| საუკეთესო მოთამაშე | |
|---|---|
| 1. კოტე ტულუში (აზოტი) | 42 ქულა |
| 2. გიორგი გამყრელიძე (აზოტი | 35 |
| 3. ზვიად ბაბიაშვილი (თბილავიამშენი) | 31 |
| 4. ირაკლი ხომტარია (თბილავიამშენი ) | 13 |
| 5. ბესიკ ლეჟავა (თსუ) | 12 |
| 6. ირაკლი ბერიშვილი (თბილავიამშენი) | 12 |
| 7. დავით უგრეხელიძე (აზოტი) | 7 |
| 9. გიორგი შერმადინი (მაკაბი) | 4 |
| 10. შიო ხეცურიანი (თსუ) | 2 |
| 10. ვლადიმერ ბეჟანიშვილი (აზოტი) | 2 |
| 12. ნოდარ ბერაია (სტუ) | 1 |

| საუკეთესო უკანახაზელი | |
|---|---|
| 1. გიორგი გამყრელიძე (აზოტი) | 23 ქულა |
| 2. კოტე ტულუში (აზოტი) | 21 |
| 3. ბესიკ ლეჟავა (თსუ) | 9 |
| 4. ირაკლი ხომტარია (თბილავიამშენი) | 5 |
| 5. ირაკლი ბერიშვილი (თბილავიამშენი) | 5 |
| 6. ნოდარ ბერაია (სტუ) | 1 |

| საუკეთესო ფორვარდი | |
|---|---|
| 1. ზვიად ბაბიაშვილი (თბილავიამშენ) | 28 ქულა |
| 2. გიორგი მარკოიშვილი (აზოტი) | 16 |
| 3. ვლადიმერ ბეჟანიშვილი (აზოტი) | 13 |
| 4. დავით გვიმრაძე (დინამო) | 3 |
| 5. შიო ხეცურიანი (თსუ) | 2 |
| 5. დავით იმნაძე (თსუ) | 2 |
| 7. დავით ბარბაქაძე (თბილავიამშენი) | 1 |
| 8. მიხეილ ბერიშვილი (თსუ) | 1 |

| საუკეთესო ცენტრი | |
|---|---|
| 1. დავით უგრეხელიძე (აზოტი) | 27 ქულა |
| 2. გიორგი შერმადინი (მაკაბი) | 21 |
| 3. რიჩარდ მათიაშვილი (თსუ) | 16 |
| 4. პლასიდე როდუმტა (თბილავიამშენი) | 6 |
| 5. სოსო შერმადინი (მაკაბი) | 1 |

| საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშე | |
|---|---|
| 1. რევაზ დიდია (აზოტი) | 15 ქულა |
| 2. მიხეილ ბერიშვილი (თსუ) | 15 |
| 3. რიჩარდ მათიაშვილი (თსუ) | 14 |
| 4. გიორგი შერმადინი (მაკაბი) | 12 |
| 5. გიორგი ბარბაქაძე (სტუ) | 7 |
| 6. ლევან ცეკვავა (აზოტი) | 3 |
| 7. ლეძსო ლაფანაშვილი (დინამო) | 1 |

| საუკეთესო მწვრთნელი | |
|---|---|
| 1. დავით უსტიაშვილი (აზოტი) | 32 ქულა |
| 2. ლევან მოსეშვილი (თბილავიამშენი) | 14 |
| 3. ნუგზარ ჭეიშვილი (თსუ) | 12 |
| 4. ზაზა ცარაგეიშვილი (დინამო) | 7 |
| 5. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი (სტუ) | 4 |
| 6. ჰამლეტ ხუხაშვილი (მაკაბი) | 3 |

| საუკეთესო მსაჯი | |
|---|---|
| 1. მაკა კუპატაძე | 4 ქულა |
| 2. ზაზა მაჩალაძე | 20 |
| 3. დავით ბერეკაშვილი | 14 |
| 4. დავით არეშიძე | 7 |
| 5. ხათუნა გაგედავა | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

## რაგბი

საქართველოს ჩემპიონატი

## დებიუტანტის პირველი მოგება



**უნივერსიტეტი-არმაზი 19:30**

უნივერსიტეტი: (15-9) ფერაძე, კიკვაძე, ვეფხია ტუჩაშვილი (ნუცუბიძე 67), კაკოვინი, ვახტანგ ტუჩაშვილი სბ (კუპრეიშვილი 54), ბაირამაშვილი, ნადარეიშვილი (ნიკლაური 41); (1-8) მასხარაშვილი, დონაძე, ალადაშვილი, სურგულაძე, მჭედლიძე, ლადო კილასონია სბ, დათუნაშვილი, დარასელია - *3ლ (ბაირამაშვილი, კილასონია, საჯარიმო), 2გ (ბაირამაშვილი, ნუცუბიძე)*

არმაზი: (15-9) ჩხაიძე (ბადრი ურჯუკაშვილი 74), მინაშვილი სბ, ძნელაძე, კაიფაჯიანი, გეთიაშვილი სბ, ბექა ურჯუკაშვილი, მჟავანაძე; (1-8) მაჭარაძე, სოსელია, ჯიშკარიანი, მელიქიძე, ლიპარტელიანი (ლუკავა 60), კანდელაკი, პინაიშვილი, ცირეკიძე - *4ლ (სოსელია 2, ჯიშკარიანი, ბექა ურჯუკაშვილი) 2გ,2ს (ბექა ურჯუკაშვილი)*

მსაჯი: გ.ჯავახიშვილი

**უმაღლესი** ლიგის დებიუტანტმა "არმაზმა" საქართველოს ჩემპიონატში პირველი გამარჯვება მიითვალა. მეტოქე ასევე დებიუტანტი "უნივერსიტეტი" იყო, რომელთანაც პრინციპული მეტოქეობა არმაზელებს ჯერ კიდევ პირველ ლიგაში თამაშისას ჰქონდა.

"არმაზმა" მეტოქე ძირითადად შერკინებით, ძალისმიერი თამაშით დაჯაბნა. ანგარიში კვაჭმა **გიორგი სოსელიამ** მე-8 წუთზე გახსნა. დერეფნიდან აგორებულ მოლს ახალგაზრდა უნივერსიტეტელები ვერ გაუძალიანდნენ. **ბექა ურჯუკაშვილმა** გარდასახვა ზუსტად დაარტყა 7:0. მეორე ლელო ბურჯმა **ბექა ჯიშკარიანმა** გაიტანა, ურჯუკაშვილმა ამჯერად არაზუსტად დაარტყა 12:0.

"უნივერსიტეტი" მეტოქისგან განსხვავებით უფრო კომბინაციურად, უკანა ხაზით თამაშს ცდილობდა და დროდადრო კარგადაც გამოსდიოდა. სხვაობა 24-ე წუთზე 10-მა ნომერმა **ლაშა ბაირამაშვილმა** ლამაზად, ხელდახელ გათამაშებული კომბინაციის შემდეგ შეამცირა, გარდასახვა მანვე დაარტყა, მაგრამ არაზუსტად - 5:12.

ამას არმაზელთა დამრტყმელმა **ბექა ურჯუკაშვილმა**, რომელიც თითქმის ერთნაირად ხმარობს ორივე ფეხს, კიდევ ორი საჯარიმო მოაყოლა და თავისი გუნდის უპირატესობა 13 ქულამდე გაზარდა - 18:5.

მეორე ნახევარი "უნივერსიტეტმა" უფრო აქტიურად დაიწყო. მალევე, 46-ე წუთზე მესამე ხაზში გამწესებულმა **ლადო კილასონიამ**, თანაგუნდელების ძალისხმევა ლელოდ აქცია - 12:18.

"არმაზმა" იქვე უპასუხა ლელოთი. მეტოქის ოცდაორმეტრიან ზონაში ბურთი ხაზზე 10 ნომერს, **ბექა ურჯუკაშვილს** გაუტანეს, მან კი თავად შეუტია, ორ მეტოქეს ხელიდან გაუსხლტა და ლელო კიდესთან ახლოს გაატანა - 23:12.

თამაშის დამთავრებამდე 15 წუთი რჩებოდა. მატჩის გადარჩენა "უნივერსიტეტს" კიდევ შეეძლო, მაგრამ ერთ-ერთ ეპიზოდში უხეში შეცდომა დაუშვა, რაც მარცხის ფასად დაუჯდა. ლელოდან 10 მეტრში, დერეფანში ბურთი "არმაზმა" აგდო და მოლი შეკრა. ამ დროს უნივერსიტეტელები განზე გადგნენ, რათა მოწინააღმდეგე ბლოკირებაზე გამოეჭირათ. სიტუაცია **გიორგი სოსელიამ** უმალ შეაფასა, სწრაფად მოსწყდა მას და უნივერსიტეტელები სახტად დატოვა. ბექა ურჯუკაშვილმა გარდასახვა ზუსტად დაარტყა - 30:12.

"უნივერსიტეტმა" ბრძოლა გააგრძელა. ბევრს ეცადა, მაგრამ მაქსიმუმ, რასაც გამორჩა თამაშის ბოლო წუთზე საჯარიმო ლელო იყო, რომელიც **რატი ნუცუბიძემ** სწრაფად კი გარდასხა არეკნით, მაგრამ დრო მეტი აღარ დარჩენილიყო - 19:30.

## განსხვავებული ტაიმები

**დინამო-ყოჩები 11:19**

დინამო: (15-9) ოდიშარია, ჯეირანაშვილი (შიოშვილი 41), მაისურაძე, ციბაძე, გრუდკო (ლირსიაშვილი 33), ავლოხაშვილი (გრძელიშვილი 47), კრეპსი; 1-8: გაგნიძე, მურვანიძე, მირცხულავა, ჭიჭინაძე, მეიშვილი, რამიშვილი, ხვიჩია, აზალაძე - *ლ (აზალაძე), 2ს (ოდიშარია)*

ყოჩები: (15-9) დადაშიანი, მახარაშვილი, ინაშვილი, თოთაძე, კალმახელიძე, კობახიძე სბ, ხელაძე; (1-8) ასეიშვილი (მეტრეველი 44), კიკნაველიძე, შეყლაშვილი, ბელაშვილი (ჩოჩიშვილი 56), არჩუაშვილი, ბრეგვაძე, კუჭუხიძე, დგებუაძე (ნიკოლეიშვილი 54) - *3ლ (კუჭუხიძე, ბრეგვაძე, თოთაძე) 2გ (კობახიძე)*

მსაჯი: მ.ჩაჩუა



**ერთ-ერთი ლიდერისა და აუტსაიდერის შეხვედრა ლიდერის, "ყოჩების" გამარჯვებით დასრულდა 19:11. თამაში ორი, სრულიად განსხვავებული ტაიმისგან შედგებოდა. პირველ ნახევარში, ტემპიც საკმარისი იყო და ვაკეში მისულმა მცირერიცხვოვანმა ქომაგმა სამი ლელო მაინც იხილა, შესვენების შემდეგ ჯაჯგურისგან გატანჯული მაყურებელი თამაშის რაც შეიძლება მალე დამთავრებას ნატრობდა.**

მატჩის დებიუტი "ყოჩების" იყო. უკვე მე-4 წუთზე მათმა აქტიურობამ დინამოელებს შეცდომა დააშვებინა. ფულბეკი **დავით ოდიშარია** "ყოჩებმა" საკუთარ ლელოში ბურთიანად შეათრიეს, რის გამოც მარჯვენა ფრთაზე, ლელოდან ხუთ მეტრში მათ სასარგებლოდ შერკინება დაინიშნა. "ყოჩებმა" მძლავრი მიწოლით შეთრევა სცადეს, მაგრამ "დინამოს" შერკინება მედგრად დაუდგა. 9 ნომერმა **გოგა ხელაძემ** ბურთი **კახა კობახიძეს** გაუტანა. ამან პირდაპირ ლელოსკენ გასწია და თან მეტოქის ორი მოთამაშეც ჩაითრია, ბოლო მომენტში კი, შებოჭილმა გადააწოდა, ფლანკერ **ირაკლი კუჭუხიძეს**, რომელმაც ლელო კარის ძელებს შუა გაიტანა. კობახიძემ ზუსტად გარდასახა 7:0.

"დინამომ" თამაში ნელ-ნელა გაათანაბრა, თუმცა მოწინააღმდეგის დაცვის ხაზს ვერაფერი დააკლო. პირველ ნახევარში მათ ოთხჯერ ჰქონდათ ხუთმეტრიანი დერეფნიდან შეტევის საშუალება, მაგრამ ოთხჯერვე ბურთი უხეიროდ ააგდეს. სამაგიეროდ, იგივე მეთოდი უნაკლოდ გამოიყენეს "ყოჩებმა" 22-ე წუთზე. მათ, მარცხენა ფრთაზე ლელოდან ათ მეტრში დერეფანი სუფთად მოიგეს, მყისიერად შეკრულმა მოლმა მოწინააღმდეგის დაცვის ხაზი ლელოში სირბილით შეიყვანა. ბოლოს ბურთით მესამეხაზელი **ჯაბა ბრეგვაძე** იყო. კობახიძემ კიდიდან გარდასახა 14:0.

ანგარიშის შემცირება დინამოელებმა სამ წუთში მოახერხეს. 30 მეტრიდან საჯარიმო **დავით ოდიშარიამ** გაიტანა. მანვე ტაიმის ბოლო წუთზე კიდევ ერთი ზუსტი საჯარიმო მიითვალა, მაგრამ მანამდე "ყოჩებმა" კიდევ ერთი, თითქმის კურიოზული ლელო გაიტანეს.

31-ე წუთი მიმდინარეობდა. ორივე გუნდის მოთამაშეებმა რამდენჯერმე გადაიტანეს ფეხით ბურთი მოედნის მოგების მიზნით, ერთმანეთის ნახევარზე. ბოლოს "ყოჩების" ფულბეკმა **მიხეილ დადაშიანმა** საკმაოდ შორს, მარცხენა კიდის ალამთან დაარტყა. იქ "დინამოს" უკანახაზელები სიტუაციაში ვერ გაერკვნენ. რითაც ყოჩთა შუამარბმა **დავით თოთაძემ** კარგად ისარგებლა და უეცარი საჩუქარი შეირგო - 19:6.

მეორე ტაიმი როგორც უკვე აღვნიშნეთ ძალზედ უსახური და მოსაწყენი იყო. ანგარიში ერთხელ შეიცვალა და ისიც 79-ე წუთზე. "დინამოს" ბოლო თხუთმეტ წუთში გამოკვეთილი უპირატესობა ანგარიშში ამ გუნდის ერთ-ერთმა საუკეთესო მოთამაშემ, მესამეხაზელმა **ლაშა აზალაძემ** ასახა. ოდიშარიამ გარდასახვა ვერ გაიტანა და თამაშიც დასრულდა - 11:19.

**ბესიკ ჯანგავაძე**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ყოჩები | 3 | 3 | 0 | 0 | 70:45 | 6 |
| 2.ლოკომოტივი | 2 | 2 | 0 | 0 | 74:22 | 4 |
| 3.ლელო | 2 | 1 | 0 | 1 | 64:44 | 2 |
| 4.არმაზი | 3 | 1 | 0 | 2 | 65:77 | 2 |
| 5.უნივერსიტეტი | 3 | 1 | 0 | 2 | 43:73 | 2 |
| 6.დინამო | 3 | 0 | 0 | 3 | 31:66 | 0 |

შვიდკაცა. მსოფლიო სერია

## ხუთივე წააგეს

მსოფლიოს სერიის ლონდონურ ეტაპზე საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრებმა სრული ფიასკო განიცადა. ბორჯღალოსნებმა ხუთივე შეხვედრაში მარცხი იწვნიეს და ბოლო, მე-15-16 ადგილები გაიყვეს.

ჯგუფურ ტურნირში ქართველმა მეშვიდკაცეებმა სამ შეხვედრაში სულ ორი ლელოს გატანა მოახერხეს. პირველ მატჩში ავსტრალიასთან დამარცხდნენ მშრალი ანგარიშით 0:36. მერე კი სამოასთან 5:43 და კანადასთან 5:26.

ფიალის მეოთხედფინალში ჩვენი მეტოქე საფრანგეთის ნაკრები იყო, რომელთანაც ბოლო ორი კვირის განმავლობაში სამჯერ მოგვიწია თამაში. გამარჯვება ლონდონშიც ფრანგებს დარჩათ - 31:0. ლელოს გატანა საქართველოს ნაკრებმა ბოლო მატჩში მოახერხა და კენიის ნაკრებთან 0:19 დამარცხდა.

მომდევნო უქმეებზე საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრები ედინბურგში, მსოფლიო სერიის მორიგ ეტაპზე იასპარეზებს. აქ D ჯგუფში ჩვენი მეტოქეები ზელანდიის, არგენტინისა და ინგლისის ნაკრებები იქნებიან.

**ბესიკ ჯანგავაძე**

## ფრენბურთი

მსოფლიო ტური

## მეშვიდე ადგილზე



იტალიაში, მსოფლიოს ტურის როსეტოს ეტაპზე, ქართულმა წყვილმა **გეორ-გიამ** მე-7 ადგილი დაიკავა. შეჯიბრის მესამე დღეს ჩვენი ფრენბურთელები მსოფლიოს პირველ ნომრებთან, ბრაზილიურ **დუეტ რიკარდოსთან** და **ემანუელთან** დამარცხდნენ 0:2 (13:21, 16:21).

გეორ-გიამ რეიტინგში 300 ქულა მიითვალა და 8 ათასი ამერიკული დოლარი პრემიალური თანხაც ირგუნა.

**ბესიკ ჯანგავაძე**

## ბატუტზე ხტომა

## მსოფლიო თასის ეტაპის წინ...

ბატუტზე ხტომა არ ითვლება სპორტის მასობრივ სახეობად და ეს იმიტომაც, რომ რეგიონებში მისი დანერგვის ხელსაყრელი პირობები არ არის . ყოველ შემთხვევაში ასე იყო აქამდე. ახლა, როგორც საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ზაურ სულაშვილმა** გვითხრა, ვითარება უმჯობესდება და მალე ნიჭიერი სპორტსმენები სპორტის ამ სახეობის ტრადიციული ცენტრების გარდა, საქართველოს სხვა ქალაქებში და რაიონებშიც გამოჩნდებიან.

მანამდე კი სარბიელზე კვლავ თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის წარმომადგენლები ეცილებიან ერთმანეთს პირველობას და... ადგილს ნაკრებში. 27 მაისს, თბილისში, სანაპიროზე მდებარე ტანვარჯიშულ სპორტულ დარბაზში დედაქალაქის სამი, ბათუმისა და ქუთაისის გუნდები ჩაებნენ საქართველოს თასის გათამაშებაში.

ნაკრების უცვლელი წევრები, ახალგაზრდებში მსოფლიო ჩემპიონი **ლუბა გოლოვინა** და ევროპის მეორე პრიზიორი **ნანა ღუჭაშვილი** მწვრთნელებმა დაასვენეს, სარბიელზე არ გამოიყვანეს. გოგონებში ნაკრების მესამე წევრია მსოფლიოს პირველობის მეორე პრიზიორი ახალგაზრდებში **სოფო გულიაშვილი**, რომელმაც ოსტატობის პროგრამით იასპარეზა და მოიგო კიდეც საქართველოს თასი. მეორე და მესამე ადგილზე შესაბამისად, გავიდნენ ასევე თბილისელი გოგონები **თეონა ტყებუჩავა** და **ლიკა სამხარაძე**. ვაჟებში ოსტატობის პროგრამით ადგილები ასე განაწილდა: 1. **თეიმურაზ კოშკაძე**, 2. **გიორგი ფუტკარაძე**, 3. **როსტო კალოევი** (სამივე - თბილისი). კოშკაძისა (მსოფლიო თასის ფინალისტი) და კალოევის (ევროპის თასის ფინალისტი) გარდა, ნაკრებში შეყვანილია ასევე მსოფლიო თასის ფინალისტი **ზურაბ ჭყონია**.

გოგონებში სპორტის ოსტატების კანდიდატთა პროგრამით მხოლოდ ორი მონაწილე გამოვიდა საასპარეზოდ. პირველი იყო **ნანა გოგაშვილი**, მეორე - **თინათინ ჩადუნელი** (ორივე - თბილისი). ვაჟებშიც ოსტატების პროგრამით მხოლოდ ორმა თბილისელმა გაითამაშა პირველობა. გაიმარჯვა **მათე სოზიაშვილმა**, მეორე იყო **ელგუჯა შერმაზანაშვილი**.

მწვრთნელებმა და შეჯიბრების ორგანიზატორებმა თავის გამოჩენის საშუალება მისცეს უმცროსი ასაკის გოგონებსაც. გაგაცნობთ გამარჯვებულებსა და პრიზიორებს.

III თანრიგის პროგრამით: 1. **ანა ცერცვაძე**, 2. **ნინო შეყილაძე**, 3. **თეა ბოჭორიშვილი** (სამივე - ქუთაისი); II თანრიგის პროგრამით: 1. **ანა ლლონტი**, 2. **თამილა ლურწკაია**, 3. **ნინო ლლონტი**.

საქართველოს გოგონათა და ვაჟთა ნაკრები 20125 ივნისს, სოფიაში, მსოფლიო თასის ეტაპის ტურნირში იასპარეზებს.

**თორნიკე გაჩეჩილაძე**

## ხელბურთი

## მამული იტალიაში

წარუმატებელი სეზონის შემდეგ, ხელბურთის კლუბი "მამული" ცოტა ხანს შეისვენებს და საგაისო ბატალიებისთვის შეუდგება სამზადისს. წლეულს, ერთ დროს ჩემპიონობისთვის მებრძოლმა გუნდმა პირადი ანტირეკორდი დაამყარა - საქართველოს ჩემპიონატში ყველა თამაში წააგო. თუმცა, როგორც გუნდის მთავარი მწვრთნელი **რევაზ ჭანტურია** ამბობს, გაისად სულ სხვა "მამულს" ვიხილავთ.

- მოლაპარაკებას ვაწარმოებთ რამდენიმე სპონსორთან და თუ ყველაფერი კარგად იქნება, წესით, მალე ფინანსური პრობლემები მოგვეხსნება. ეს კი იმის წინაპირობა იქნება, რომ გაისად წლევანდელზე გაცილებით ამბიციური გუნდი გვეყოლება.

5-10 ივლისს, იტალიის ქალაქ ტერამოში გასამართ "ინტერამნის თასზე" ვაპირებთ გამოსვლას, რომელშიც 21-წლამდელთა გუნდები ასპარეზობენ. ეს ტურნირი ტრადიციული და საკმაოდ ძლიერი შეჯიბრებაა. როგორც გავიგეთ, წლეულს იქ ხუთივე კონტინენტის 21-წლამდელთა კლუბი ჩამოვა. სხვათა შორის, შარშანწინ, ტერამოში მეორე ადგილი დავიკავეთ და შევეცდებით, წლეულსაც წარმატებით გამოვიდეთ. მართალია, "მამულის" უფროსთა გუნდში მთელი წელი გვარიანი საკადრო პრობლემები მქონდა, მაგრამ ახალგაზრდებში კარგი გუნდი მყავს. ამას გარდა, საიტალიოდ, "იმედიდან" ვიმატებთ აკაკი ყაველაშვილსა და უჩა მაისურაძეს.

**კობა ხატისაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურნირების მიმოხილვა

# არგენტინული კვირა

საფრანგეთის ღია პირველობის წინ, ჩოგბურთელებმა ბოლო რეპეტიციები გაიარეს და "როლან გაროსისთვის" თავიანთი სპორტული ფორმის შესახებ გარკვეული წარმოდგენა შეგვიქმნეს.

კერძოდ გაირკვა, რომ არც ისე მომზადებული ხვდებიან "დიდი სლემის" მეორე ჩემპიონატს - რუსი **მარია შარაპოვა** და ფრანგი **ამელი მორესმო**. ორივე მათგანი, ტრავმებით გამოწვეული დიდხნიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდნენ კორტს და აშკარად არ არიან მზად მომავალი დიდი ბატალიებისთვის. ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე ასე ჩანს.

შარაპოვამ დიდი გაჭირვებით მიაღწია სტამბოლის თასის ნახევარფინალს, სადაც მსოფლიოს 59-ე ჩოგანთან, წარმოშობით ირანელ ფრანგთან **არავან რეზაისთან** სამარცხვინოდ წააგო - მსოფლიოს მეორე ნომერმა სეტიც ვერ აუღო მეტოქეს და რეზაიმაც თავის კარიერაში პირველად მოიპოვა WTA-ს ტურნირის ფინალში თამაშის უფლება. სხვათა შორის, ფრანგმა შარაპოვამდე მსოფლიოს კიდევ ერთი ყოფილი პირველი ჩოგანი - **ვენუს უილიამსი** გამოთიშა ბრძოლას.

თუმცა, რეზაის ფინალში არ გაუმართლა. კიდევ ერთ რუსთან - **ელენა დემენტიევასთან** მატჩში, მეტოქეები საშინლად თამაშობდნენ საკუთარ მოწოდებაზე. პირველ პარტიაში რეზაიმ და დემენტიევამ სამ-სამი ბრეიკი გააკეთეს. საბოლოოდ, ყველაფერი ტაი-ბრეიკზე გადაწყდა, სადაც უფრო ზუსტი რუსი ჩოგბურთელი აღმოჩნდა - 7:5.

მეორე სეტის სტარტზე, დემენტიევამ კიდევ ორჯერ აიღო მეტოქის მოწოდება და 3:0 დაწინაურდა, აქ კი, რეზაიმ ბრძოლა შეწყვიტა და მატჩის შემდეგ განაცხადა - მთელი შეხვედრა მუხლი მტკიოდა და "როლან გაროსის" წინ გარისკვა არ ღირდაო.

დემენტიევამ წლეულს, პირველი ტიტული მოიგო და 28 ათასი დოლარი მიიღო. რუსისთვის ეს იყო კარიერაში მე-18 ფინალი და მეშვიდე მოგებული ტურნირი.

ფეხბედნიერია სტრასბურის ტურნირი ესპანელი **ანაბელ მედინა გარიგესისთვის**. ამ ჩოგბურთელს კარიერაში შვიდი ტიტული აქვს მოპოვებული და აქედან ორი - სწორედ ამ ქალაქში. პირველად მან ეს 2005 წელს შეძლო და ახლა, ორი წლის წინანდელი მიღწევა **ამელი მორესმოს** დამარცხების შემდეგ გაიმეორა.

აქამდე, გარიგესი და მორესმო ოთხჯერ იყვნენ შეხვედრილნი და ყველა მატჩი ამელის ჰქონდა მოგებული. ასე რომ, ესპანელმა ნავსი გატეხა და "როლან გაროსის" სტარტს კარგი განწყობით შეხვდა.

■ ■ ■

გასული კვირა, არგენტინელი მამაკაცების ტრიუმფით აღინიშნა. ამ ქვეყნის ნაკრებმა, დიუსელდორფში ATP-ის გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო, ხოლო **ხუან მონაკომ** ავსტრიის პორტშახის საკმაოდ წარმომადგენლობით ტურნირში იმარჯვა.

დიუსელდორფის ფინალის გმირი **აგუსტინ კალერი** აღმოჩნდა. მას შემდეგ, რაც ფინალის პირველი მატჩი **ხუან იგნასიო ჩელამ ტომას ბერდიჩთან** წააგო, კალერიმ ზედიზედ ორი ქულა მოუტანა თავის გუნდს - ჯერ ერთეულებში **იან ჰაიეკი** გაანადგურა, შემდეგ კი, **ხოსე აკასუსოსთან** წყვილში გადამწყვეტი ქულაც აილო და არგენტინა ამ ტურნირზე მესამედ გაჩემპიონა. ეს გუნდი მსოფლიო ჩემპიონი 1980 და 2002 წლებში გახდა.

ჩეხებს კი, ამჯერადაც არ გაუმართლათ. ისინი 2003 წელსაც იყვნენ ფინალში, მაგრამ ჩილესთან წააგეს. მათთვის მეორე ცდაც წარუმატებელი გამოდგა.

რაც შეეხება ხუან მონაკოს, ის ამ სეზონში **რაფაელ ნადალის** შემდეგ ერთადერთი ჩოგბურთელია, ვისაც თიხნარზე ერთზე მეტი ტურნირი აქვს მოგებული. პორტშახამდე მან მშობლიურ ბუენოს აირესში გაიმარჯვა.

პირველ სეტში მოგებული ტაი-ბრეიკის შემდეგ, მონაკომ 6:0 გაანადგურა ახალგაზრდა ფრანგი - **გაელ მონფილსი**. ამ უკანასკნელმა, ფინალამდე მეტოქეზე რთული გზა განვლო - ზედიზედ მოუგო **ენდი როდიკსა** და **ლეიტონ ჰიუიტს** და როგორც ჩანს, გადამწყვეტ მატჩში ენერგია აღარ ეყო.

### ATP

**მსოფლიო ჩემპიონატი. გუნდური**

დიუსელდორფი (გერმანია). თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 1 500 000 ევრო

**ლურჯი ჯგუფი**

**ჩეხეთი-გერმანია 3:0**

1:0 **ტომას ბერდიჩი**-ფილიპ კოშრიაბერი 6:3, 6:2; 2:0 **იან ჰაიეკი**-ფლორიან მაიერი 7:6(4), 6:2; 3:0 **ბერდიჩი/დამი**-კოლმანი/ბეკერი 6:4, 6:4.

**ესპანეთი-ბელგია 3:0**

1:0 **დავიდ ფერერი**-ოლივიე როხუსი 6:3, 6:4; 2:0 **ნიკოლას ალმაგრო**-კრისტოფ ვლიეგენი 6:2, 6:1; 3:0 **ფერერი/სალვა ვიდალი**-დარცისი/ო. როხუსი 6:3, 3:6, 10:8.

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. **ჩეხეთი** - 3 მოგება/0 წაგება; 2. **ესპანეთი** - 2/1; 3. **გერმანია** - 1/2; 4. **ბელგია** - 0/3.

**ფინალი**

**არგენტინა-ჩეხეთი 2:1**

0:1 ხუან იგნასიო ჩელა-**ტომას ბერდიჩი** 6:3, 3:6, 6:7(5); 1:1 **აგუსტინ კალერი**-იან ჰაიეკი 6:3, 6:1; 2:1 **აკასუსო/კალერი**-ბერდიჩი/დამი 2:6, 6:4, 10:4.

**The Hypo Group Tennis 07**

პორტშახი (ავსტრია). თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 353 450 ევრო

**1/2 ფინალი**

**გაელ მონფილი (საფ)**-ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა, 4) 6:4, 7:5; **ხუან მონაკო (არგ)**-ლუის ორნა (პერ) 6:4, 6:4.

**ფინალი**

**ხუან მონაკო (არგ)**-გაელ მონფილი (საფ) 7:6 (3), 6:0.

### WTA

**სტამბოლის თასი**

სტამბოლი (თურქეთი). თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 200 000 დოლარი

**1/2 ფინალი**

**არავან რეზაი (საფ)**-მარია შარაპოვა (რუს, 1) 6:2, 6:4; **ელენა დემენტიევა (რუს, 2)**-ალიონა ბონდარენკო (უკრ, 5) 7:6 (5), 6:2.

**ფინალი**

**ელენა დემენტიევა (რუს, 2)**-არავან რეზაი (საფ) 7:6 (5), 3:0 რეზაი უარი.

**Internationaux de Strasbourg**

სტრასბური (საფრანგეთი). თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 175 000 დოლარი

**1/2 ფინალი**

**ამელი მორესმო (საფ, 1)**-მარიონ ბარტოლი (საფ, 5) 6:3, 6:7 (1), 6:3; **ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ, 6)**-ელენა იანკოვიჩი (სერ, 2) იანკოვიჩის უარი.

**ფინალი**

**ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ, 6)**-ამელი მორესმო (საფ, 1) 6:4, 4:6, 6:4.



ხუან მონაკო




საფრანგეთის ღია პირველობა

# წვიმამ ყველაფერი არია

საფრანგეთის ღია პირველობაზე ორი წელია, რაც ტრადიციად დამკვიდრდა ტურნირის კვირას დაწყება.

გუშინ, "როლან გაროსის" კორტებზე, ქალთა და მამაკაცთა ერთეულთა თანრიგში 12-12 შეხვედრით უნდა დაწყებულიყო "დიდი სლემის" რიგით მეორე ჩემპიონატი, მაგრამ თითქმის გადაუღებელმა წვიმამ ორგანიზატორებს დიდი თავსატეხი გაუჩინა.

24 შეხვედრიდან მხოლოდ 7 დასრულდა. პირველმა მორიგი წრის საგზურის მოპოვება, რუსმა **მარატ საფინმა** მოასწრო. ესპანელ **ფერნანდო ვისენტესთან** მატჩში, ერთ დროს მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა სამ სეტში მხოლოდ ხუთი გეიმი დაუთმო მეტოქეს - 6:1, 6:3, 6:1.

მატჩის შემდეგ, საფინმა განაცხადა - ასეთი იოლი გამარჯვებისგან შორსმიმავალ დასკვნებს ნუ გამოიტანთო. საფინის თქმით, მას "როლან გაროსზე" გამარჯვების მინიმალური შანსები აქვს.

ამის შემდეგ, პარიზში გადაუღებელი წვიმა დაიწყო და ისეთი პირი უჩანდა, რომ დარჩენილი შეხვედრები აღარ ჩატარდებოდა. მაგრამ, საღამოს გამოიდარა და შესაძლებელი გახდა დაწყებული მატჩების დასრულება.

ძალიან საინტერესო მომენტში იყო შეწყვეტილი ამერიკელი **სერენა უილიამსისა** და ბულგარელი **ცვეტანა პირონკოვას** შეხვედრა. ევროპელი პირველ სეტს - 6:5 იგებდა. საღამოს, მეტოქეებმა მატჩი განაახლეს და პირველი პარტია პირონკოვამ 7:5 მოიგო. ამ სეტში, ბულგარელმა ოთხჯერ (!) აიღო სერენას მოწოდება. დაიწყო მეორე სეტი და ცვეტანამ კიდევ ერთი ბრეიკი გააკეთა. მხოლოდ ამის შემდეგ გამოცოცხლდა "დიდი სლემის" ტურნირების რვაგზის ჩემპიონი. ზედიზედ მოგებული ექვსი გეიმის შემდეგ, უმცროსმა უილიამსმა ანგარიში გაათანაბრა. მორალურად გატეხილმა პირონკოვამ ვერც მესამე სეტში შეძლო მეტოქისთვის წინააღმდეგობის გაწევა და ისევე როგორც მეორე პარტიაში, მხოლოდ ერთი გეიმის აღება შეძლო.

იმედი ვიქონიოთ, რომ დღეს კლიმატური პირობები გაუმჯობესდება და "როლან გაროსის" კორტები დაგეგმილი განრიგის მიხედვით დაიტვირთება.

**I წრე**

**მამაკაცები**

**მარატ საფინი (რუს, 22)**-ფერნანდო ვისენტე (ესპ) 6:1, 6:3, 6:1; **იანკო ტიპსარევიჩი (სერ)**-დუშან ვემიჩი (სერ) 7:6 (3), 6:4, 4:6, 6:3; **პოტიტო სტარაჩე (იტა)**-ივო მინარი (ჩეხ) 4:6, 6:1, 6:4, 7:6 (5).

**ქალები**

**ჟუსტინ ანენი (ბელ, 1)**-ელენა ვესნინა (რუს) 6:4, 6:3; **სერენა უილიამსი (აშშ, 8)**-ცვეტანა პირონკოვა (ბულ) 5:7, 6:1, 6:1; **დინარა საფინა (რუს, 10)**-იულიანა ფედაკი (უკრ) 7:5, 6:4; **ტამირა პაჩეკი (ავსტრია)**-აკიკო მორიგამი (იაპ) 6:4, 6:0.

## ველოსპორტი

ჯირო დ'იტალია

# დი ლუკა აღარ ხუმრობს




დანილო დი ლუკა

მიმდინარე ჯიროზე ყველაზე რთული ალბათ გუშინდელი, მე-15 ეტაპი იყო, რომელზეც ველომრბოლებს პირველი კატეგორიის სამი სამთო მონაკვეთის გავლა მოუხდათ.

სტარტამდე, რბოლის იტალიელი ლიდერი **დანილო დი ლუკა** ირწმუნებოდა, გუშინდელ ეტაპზე ჩემმა მეტოქეებმა იმდენი ენერგია დახარჯეს, რომ დღეს ძალიან გაუჭირდებათო. უპირველესად, ის თავის მთავარ მეტოქეს, იტალიელ **ჯილბერტო სიმონის** გულისხმობდა, რომელმაც მე-14 ეტაპი მეორე ადგილზე დაასრულა და დანილოსთან ჩამორჩენა შეამცირა.

დი ლუკას პროგნოზი გამართლდა. გუშინ სიმონიც და ჯიროს კიდევ ერთი ყოფილი ჩემპიონი, იტალიელი **დამიანო კუნეგოც** კარგა ხანს მალია როსას (ვარდისფერი მაისურის) ჯგუფში იმყოფებოდნენ, მაგრამ როცა ლიდერმა ფინიშამდე ორიოდე კილომეტრით ადრე, მათი ჩამოტოვება მოინდომა, უპრობლემოდ მიაღწია მიზანს.

რბოლა სიმონის იტალიელმა თანაგუნდელმა **რიკარდო რიკომ** მოიგო, მაგრამ ამით სიმონიმ ვერაფერი იხეირა. ის დი ლუკას ზუსტად იმდენით ჩამორჩა, რამდენიც წინა ეტაპზე მოუგო და ამგვარად, საერთო კლასიფიკაციაში სტატუს კვო აღდგა.

დი ლუკამ გუშინ ფინიშის ხაზი მეექვსემ გადაკვეთა და რაც მთავარია, ლიდერობა შეინარჩუნა. მეორე ადგილზე კი იტალიელმა **ედი მაცოლენიმ** გადაინაცვლა, ვინც გუშინ მეხუთე ადგილს დასჯერდა.

*"მგონი, ამ ეტაპზე ბევრი რამ გადაწყდა. ვიცოდი, რომ დისტანციის ბოლო სამკილომეტრიანი მონაკვეთი გადამწყვეტი იქნებოდა. ჰოდა, ძალებიც სწორედ ამ მონაკვეთისთვის შემოვინახე, რაშიც თანაგუნდელები ძალიან დამეხმარნენ"*, - განაცხადა დი ლუკამ.

დღეს ჯიროს ქარათანს დასვენების დღე აქვს, მერე კი კვლავ მთიან გზას შეუდგება. ოღონდ, მომდევნო ეტაპზე მხოლოდ ერთი, პირველი კატეგორიის აღმართი იქნება გასავლელი, ფინიში კი ავსტრიაშია.

**P.S.** გრძელდება გერმანულ T-მობილთან დაკავშირებული დოპინგ-სკანდალი. ტურის ყოფილი ჩემპიონის, დანიელი **ბიარნე რიისის** მიერ დოპინგის გამოყენების აღიარებას მოჰყვა ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტ **პეტ მაკქუეიდის** განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ რიისმა უნდა დააბრუნოს ტურზე მოპოვებული ყვითელი მაისურა. დანიელი ამაზე თანახმაა. მაგრამ ვის დარჩება 1996 წლის ტურის ჩემპიონის ტიტული, ამაზე ჯერ მხოლოდ მარჩიელობა თუ შეიძლება. არაა გამორიცხული, რომ ის რბოლა გამარჯვებულის გარეშე დარჩეს...

**მერაბ ლორთქიფანიძე**

**მე-12 ეტაპი. სკალენგედან ბრიანსონამდე (საფრანგეთი, 163 კმ)**

1. დანილო დი ლუკა (იტალია, ლიკიგაზი) 4:46.39 (34.118 კმ/სთ); 2. ჯილბერტო სიმონი (იტალია, სონიე დიუვალ-პროდირი) იგივე დროში; 3. ენდი შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) 0.07; 4. ედი მაცოლენი (იტალია, ასტანა) 0.15; 5. დამიანო კუნეგო (იტალია, ლამპრე-ფონდიტალი) 0.19...

**მე-13 ეტაპი. ბიელადან სანტუარიო დი ოროპამდე (დროზე რბოლა 12.6 კმ)**

1. მარციო ბრუსეგინი (იტალია, ლამპრე-ფონდიტალი) 28.55; 2. ლეონარდო პიეპოლი (იტალია, სონიე დიუვალ-პროდირი) 0.01; 3. დანილო დი ლუკა (იტალია, ლიკიგაზი) 0.08; 4. დევიდ ზაბრისკი (აშშ, CSC) 0.19; 5. ფრანკო პელიცოტი (იტალია, ლიკიგაზი) 0.22...

**მე-14 ეტაპი. კანტუდან ბერგამომდე (192 კმ)**

1. სტეფანო გარძელი (იტალია, აკვა ე საპონე) 4:58.34; 2. ჯილბერტო სიმონი (იტალია, სონიე დიუვალ-პროდირი); 3. პაოლო ბეტინი (იტალია, ქვიკსტეპ-ინერგეტიკი); 4. ფორტუნატო ბალიანი (იტალია, კაერამიკა პანარია-ნავიგარე); 5. ედი მაცოლენი (იტალია, ასტანა) ყველა იგივე დროში; 8. დანილო დი ლუკა (იტალია, ლიკიგაზი) 0.38...

**მე-15 ეტაპი. ტრენტოდან ტრე ჩიმე დი ლავარედომდე (198 კმ)**

1. რიკარდო რიკო (იტალია, სონიე დიუვალ-პროდირი) 5:47.22; 2. ლეონარდო პიეპოლი (იტალია, სონიე დიუვალ-პროდირი) იგივე დროში; 3. ივან რამირო პარა (კოლუმბია, კოფიდისი) 0.10; 4. ხულიო ალბერტო პერეს კუაპიო (მექსიკა, კერამიკა პანარია-ნავიგარე) 0.32; 5. ედი მაცოლენი (იტალია, ასტანა) 1.29; 6. დანილო დი ლუკა (იტალია, ლიკიგაზი) 2.53...

**კლასიფიკაცია 11 ეტაპის შემდეგ**

1. დანილო დი ლუკა (იტალია, ლიკიგაზი) 68.00.55; 2. ედი მაცოლენი (იტალია, ასტანა) 1.51; 3. ენდი შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) 2.56; 4. ჯილბერტო სიმონი (იტალია, სონიე დიუვალ-პროდირი) 3.19; 5. დამიანო კუნეგო (იტალია, ლამპრე-ფონდიტალი) 3.23; 6. რიკარდო რიკო (იტალია, სონიე დიუვალ-პროდირი) 3.39...

ფორმულა 1. მონაკოს დიდი პრიზი

# მაკლარენის მეორე დუბლი

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, ესპანელი **ფერნანდო ალონსოს** გამარჯვებით დასრულდა ფორმულა ერთის მსოფლიო ჩემპიონატის მეხუთე, ყველაზე პრესტიჟული ეტაპი - მონაკოს დიდი პრიზი. მისმა გუნდმა "მაკლარენმა" კი, სეზონში მეორე დუბლი შეასრულა - ფინიშთან მეორე მივიდა ბრიტანელი ახალბედა **ლუის ჰემილტონი**.

როგორც მოსალოდნელი იყო (მონაკოს ვიწრო ქუჩებში გასწრება თითქმის შეუძლებელია), კვალიფიკაციის შედეგებმა განსაზღვრა კიდეც რბოლის შედეგები. იმ ოთხმა პილოტმა, რომლებსაც სასტარტო რიგში პირველი ოთხი ადგილი ეკავათ, ფინიშის ხაზიც იმავე თანმიმდევრობით გადაკვეთეს. ოღონდ, ესპანეთის დიდი პრიზისგან განსხვავებით, ამჯერად რბოლას ინტრიგა იმ ფაქტმა შესძინა, რომ სტარტიდან ფინიშამდე, პირველ ორ პილოტს შორის სხვაობა დროის მცირე დიაპაზონში იცვლებოდა.

მეორე პიტ-სტოპის შემდეგ, იყო მომენტი, როცა ჰემილტონმა თანაგუნდელთან ჩამორჩენა წამამდე შეამცირა, ამაზე მეტი ველარ მოახერხა და ისევე, როგორც წინა სამ ეტაპზე, ამჯერადაც მეორე ადგილს დასჯერდა. მან გამარჯვებულთან ოთხი წამი წააგო, როცა მესამე ადგილზე გასული ბრაზილიელი **ფელიპე მასა** (ფერარი) ალონსოს თითქმის წრეზე ჩამორჩა.

ალონსომ მონაკოს რბოლა ზედიზედ მეორედ მოიგო. ამასთან, ამ სეზონში ეს მისი მეორე, კარიერაში კი მე-17 გამარჯვებაა. რაც მთავარია, ამ მოგების წყალობით, პირად კლასიფიკაციაში მას 38 ქულა დაუგროვდა, რითაც ჰემილტონს ლიდერობაში ჩაეზიარა.

*"ფანტასტიკური უიქენდი იყო. ჩემს კარიერაში ეს პირველი შემთხვევაა, რომ მესამე ადგილზე გასულს წუთზე მეტი მოვუგე. ეს ალბათ ყველაზე იოლი და სასიამოვნო გამარჯვებაა, რომელიც კი ოდესმე მომიპოვებია. საერთოდ, აქაურ ვიწრო ქუჩებში რბოლა ძალიან ძნელია, მაგრამ ჩემი მანქანის წყალობით, საქმე მნიშვნელოვნად გამიადვილდა"*, - განაცხადა ალონსომ, ვინც სტარტიდან ფინიშამდე ლიდერობდა და უსწრაფესი წრეც დააფიქსირა.

რბოლის შედეგით კმაყოფილი დარჩა ჰემილტონიც, ვისაც, მართალია, რბოლა ჯერ არ მოუგია, მაგრამ თავისი კარიერის პირველივე ხუთი რბოლა მოწინავე სამეულში დაასრულა და რაც მთავარია, უკვე სამი ეტაპია, ჩემპიონატის ლიდერთა შორისაა (მონაკოს წინ, ერთპიროვნული ლიდერი იყო). თანაც, როგორც მოგვიანებით განაცხადა, იღბალმაც გაუმართლა, რადგან რამდენჯერმე ჰქონია კონტაქტი დამცავ ბარიერთან.

*"ბარიერს რამდენჯერმე შევეხე, მაგრამ გამიმართლა და ფინიშამდე მივაღწიე. მანქანა შესანიშნავად მუშაობდა. ბოლო წრეებზე კი ბოქსებიდან მირჩიეს, ტემპი დამეგდო, რადგან მდევრები შორს იყვნენ"*, - განაცხადა ჰემილტონმა, ვინც ფორმულა ერთის ისტორიაში, მსოფლიო ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა ლიდერია.

სხვათა შორის, რბოლის შემდეგ, "მაკლარენის" შეფმა **რონ დენისმა** განაცხადა - რბოლის დასაწყისში მომხდარი ავარიის გამო, ტრასაზე პეისკარი რომ გამოსულიყო, ფინიშთან პირველი ჰემილტონი მივიდოდა, რაშიც მას ხელს ვერავინ შეუშლიდაო.

საქმე ისაა, რომ ბრიტანელი სტარტზე უფრო მეტი საწვავით გავიდა. შესაბამისად, გაცილებით გვიან პიტსტოპსაც გეგმავდა. მაგრამ ალონსომ დაგეგმილზე ორი წრით გვიან მიაკითხა ბოქსებს - საწვავს განსაზღვრულზე ეკონომიურად ვხარჯავდიო. თანაც, დენისმაც ჰემილტონს პირველი პიტსტოპისთვის დაგეგმილზე ადრე უხმო ბოქსებში, რაც მოგვიანებით თავის შეცდომად აღიარა - ამით არასასურველი მოულოდნელობა გამოვრიცხეთო. ჰემილტონმა კი თავი ასე ინუგეშა: ჩემს მანქანას ნომერი ორი აწერია და რბოლაც მეორე ადგილზე დავასრულე და ამაში გასაკვირი არაფერიაო.

მეოთხე ადგილი დაიკავა "რენოს" იტალიელმა ლიდერმა **ჯანკარლო ფიზიკელამ**, ვისი ეს შედეგიც ფრანგული გუნდისთვის, რომელმაც წინა ორი ჩემპიონატი მოიგო, ამ სეზონში საუკეთესო შედეგია. მასამ თავისი მესამე ადგილით ჩემპიონატში მესამე პოზიცია შეინარჩუნა. მონაკოს შემდეგ, ლიდერებს ის 5 ქულით ჩამორჩება.

*"დღეს "მაკლარენი" შეუდარებელი იყო და გარწმუნებთ, ჩემი მანქანის შესაძლებლობა 150 პროცენტითაც რომ გამომეყენებინა, მაინც ფინიშთან მესამე მივიდოდი. მოკლედ, იმითაც ბედნიერი ვარ, რომ კვარცხლბეკზე ასვლა შევძელი"*, - განაცხადა ბრაზილიელმა.

რაც შეეხება მის ფინელ თანაგუნდელ **კიმი რაიკონენს**, მას კვალიფიკაციაზე ხელი მოეცარა - მეორე სესიის დროს, საცურაო აუზის მახლობელ მოსახვევში, დამცავ ბარიერს მარჯვენა ბორბლით შეეხო, რამაც საჭის მექანიზმი დაუზიანა. ფინელმა კვალიფიკაცია ველარ გააგრძელა და შესაბამისად, მეორე სესიაზე ბოლო ადგილი ერგო. რბოლაში მან სტარტი მე-16 პოზიციიდან აიღო, ფინიშს კი მერვემ უწია, რითაც ერთადერთი ქულა დაიმსახურა. ამგვარად, ჩემპიონატში ის მეოთხე ადგილზე კი დარჩა, მაგრამ ახლა ლიდერებს 15 ქულით ჩამორჩება.

მონაკოს ეტაპის წინ, ფინელ პილოტს იტალიურმა პრესამ კრიტიკის ქარ-ცეცხლი დაატეხა თავს. ჟურნალისტები და ბევრი სპეციალისტი კიმის არასაკმარის მონდომებაში ადანაშაულებს. კერძოდ, მათ ვერაფრით მოუნელებიათ ის ფაქტი, რომ ესპანეთის დიდი პრიზიდან გამოთიშვისთანავე, ისე, რომ რბოლის დასრულებას არ დალოდებია, მან სასტუმროს მიაშურა, სადაც ჰოკეის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალს (კანადა-ფინეთი) უყურა.

კონსტრუქტორთა პირველობაზე, ლიდერობა შეინარჩუნა "მაკლარენ-მერსედესმა", რომელიც "ფერარის" უკვე ოც ქულას უგებს. სხვათა შორის, რბოლის წინ ესპანურ და ბრიტანულ ყვითელ პრესაში გავრცელდა ხმები იმის შესახებ, თითქოს "მაკლარენის" პილოტებს შორის ურთიერთობა დაიძაბა, რაც მათ შედეგებზე უარყოფითად აისახებოდა. მაგრამ ეს ხმები მონაკოში რონ დენისმა უარჰყო.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

### მონაკოს დიდი პრიზი

მონტე კარლო (260.520 კმ, 3.340 კმ, 78 წრე)

| | |
|---|---|
| 1. ფერნანდო ალონსო (ესპანეთი, მაკლარენ-მერსედესი) | 1:40:29.329 |
| 2. ლუის ჰემილტონი (ბრიტანეთი, მაკლარენ-მერსედესი) | +0:04.095 |
| 3. ფელიპე მასა (ბრაზილია, ფერარი) | 01:09.114 |
| 4. ჯანკარლო ფიზიკელა (იტალია, რენო) | 01:14.000 |
| 5. რობერტ კუბიცა (პოლონეთი, ბეემვე ზაუბერი) | 1 წრე |
| 6. ნიკ ჰაიდფელდი (გერმანია, ბეემვე-ზაუბერი) | 1 წრე |
| 7. ალექსანდერ ვურცი (ავსტრია, უილიამს-ტოიოტა) | 1 წრე |
| 8. კიმი რაიკონენი (ფინეთი, ფერარი) | 1 წრე |
| 9. სკოტ სპიდი (აშშ, ტორო როსო-ფერარი) | 1 წრე |
| 10. რუბენს ბარიკელო (ბრაზილია, ჰონდა) | 1 წრე |
| 11. ჯენსონ ბატონი (ბრიტანეთი, ჰონდა) | 1 წრე |
| 12. ნიკო როსბერგი (გერმანია, უილიამს-ტოიოტა) | 1 წრე |
| 13. ჰეიკი კოვალაინენი (ფინეთი, რენო) | 2 წრე |
| 14. დევიდ კულტჰარდი (ბრიტანეთი, რედ ბულ-რენო) | 2 წრე |
| 15. იარნო ტრული (იტალია, ტოიოტა) | 2 წრე |
| 16. რალფ შუმახერი (გერმანია, ტოიოტა) | 2 წრე |
| 17. ტაკუმა სატო (იაპონია, სუპერ აგური-ჰონდა) | 2 წრე |
| 18. ენტონი დევიდსონი (ბრიტანეთი, სუპერ აგური-ჰონდა) | 2 წრე |
| გ. კრისტიან ალბერსი (ჰოლანდია, სპაიკერ-ფერარი) | 6 წრე |
| გ. ადრიან სუტილი (გერმანია, სპაიკერ-ფერარი) | 25 წრე |
| გ. მარკ უებერი (ავსტრალია, რედ ბულ-რენო) | 61 წრე |
| გ. ვიტანტონიო ლიუცი (იტალია, ტორო როსო-ფერარი) | 77 წრე |

(შენიშვნა: გ - გამოეთიშა)
უსწრაფესი წრე: ფერნანდო ალონსო - 1:15.284, 44-ე წრე

პირადი კლასიფიკაცია

1. ფერნანდო ალონსო 38 ქულა; 2. ლუის ჰემილტონი 38; 3. ფელიპე მასა 33; 4. კიმი რაიკონენი 23; 5. ნიკ ჰაიდფელდი 18; 6. ჯანკარლო ფიზიკელა 13; 7. რობერტ კუბიცა 12; 8. ნიკო როსბერგი 5; 9. დევიდ კულტჰარდი 4; 10. იარნო ტრული 4; 11. ჰეიკი კოვალაინენი 3; 12. ალექსანდერ ვურცი (ავსტრია, უილიამს-ტოიოტა) 2; 13. ტაკუმა სატო 1; 14. რალფ შუმახერი 1

კონსტრუქტორთა პირველობა

1. მაკლარენ-მერსედესი 76 ქულა; 2. ფერარი 56; 3. BMW ზაუბერი 30; 4. რენო 16; 5. უილიამს-ტოიოტა 7; 6. ტოიოტა 5; 7. რედ ბულ-რენო 4; 8. სუპერ აგური-ჰონდა 1




დუბლის ავტორები: ლუის ჰემილტონი (მარცხნივ) და ფერნანდო ალონსო

## TV სპორტი

### 28 მაისი. ორშაბათი

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** იტალიის ჩემპიონატი. სიენა-ლაციო.
**14:10** ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-სარაგოსა.
**16:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:15** საფრანგეთის ჩემპიონატი. ტრუა-ლანსი.
**18:00** არგენტინის ჩემპიონატი. სან ლორენსო-რასინგი.
**19:50** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:10** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**20:50** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**21:50** ჰოლანდიის ჩემპიონატი. ფლეი ოფი. ფინალი. II მატჩი. აიაქსი-ალკმაარი.
**23:35** იტალიის ჩემპიონატი. კატანია-კიევო.

**SPORT 1 (უკრაინა)**

**08:05** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**09:00** სპორტინფორმი.
**09:10** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**09:35** ჰოკეი. სტენლის თასი. დღის მიმოხილვა.
**10:10** სპორტინფორმი.
**10:25** მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. სტოკჰოლმი. შვედეთი.
**12:45** ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი.
**14:30** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ატ. პარანაენსე-ინტერნასიონალი.
**16:15** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
**16:45** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი.
**18:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**19:30** სპორტინფორმი.
**19:45** ჰოკეი. სტენლის თასი. დღის მიმოხილვა.
**21:40** სპორტინფორმი.
**22:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**23:00** სპორტინფორმი.
**23:15** რეტრო-ფეხბურთი. ინგლისის თასი. 1981 წ. ფინალი. ტოტენჰემი-მანჩესტერ სიტი.
**01:00** სპორტინფორმი.
**01:10** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი.
**02:55** მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. სტოკჰოლმი. შვედეთი.
**05:15** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ატ. პარანაენსე-ინტერნასიონალი.

**EUROSPORT**

**10:30** ჩოგბურთი. გზა როლან გაროსისკენ.
**10:45** ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მიმოხილვა.
**11:00** სუპერსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ბრიტანეთი.
**12:00** ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. I დღე.
**12:45** ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მიმოხილვა.
**13:00** ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. II დღე (LIVE).
**22:30** ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მიმოხილვა.
**22:45** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**23:15** მულტისპორტი.
**00:00** ბრძოლა წესების გარეშე.
**01:00** ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მიმოხილვა.
**01:45** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**02:15** მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
**02:45** ჩოგბურთი. გზა როლან გაროსისკენ.

**EUROSPORT-2**

**09:30** ახალი ამბები.
**12:00** პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამაკაცები. ფინალი. სინგაპური.
**13:00** ავტოსპორტი. GP2-ის სერია. I რბოლა. მონაკო.
**14:00** ახალი ამბები.
**16:00** ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. პოლონეთი.
**17:00** სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. I ცდა. ბრიტანეთი.
**18:00** სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II ცდა. ბრიტანეთი.
**19:00** მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. იაპონია.
**20:00** ახალი ამბები.
**20:30** მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
**21:00** ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
**21:30** ახალი ამბები.
**22:00** კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ფლეი ოფი. 1/4 ფინალი. III მატჩი.
**23:30** ავსტრალიური ფეხბურთი.
**01:00** ახალი ამბები.
**01:15** ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. ბულგარეთი-არგენტინა. პოლონეთი.
**02:25** ახალი ამბები.
**04:00** ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ ორლეანი-ნიუ იორკი (LIVE).

ველოსპორტი

## რასმუსენი მთის ველოსიპედზე გადაჯდება

"ტურ დე ფრანსზე" "მთის მეფედ" ორგზის აღიარებული დანიელი ველომრბოლი - **მიკაელ რასმუსენი** მაუნტინბაიკში (მთის ველოსიპედი) დაბრუნებას აპირებს. რასმუსენს ამ სახეობაში პეკინის ოლიმპიადაზე გამოსვლა აქვს განზრახული.

2002 წელს, საგზატკეცილო ველორბოლაში გადასვლამდე, რასმუსენი სნორედ მაუნტინბაიკის მრბოლელი იყო და 1999 წელს, მსოფლიო ჩემპიონიც გახდა.

ჰოკეი

## ვანკუვერს ტიმონენი მოუნდა

"ვანკუვერ კენაქსი" მომავალი სეზონისთვის შემადგენლობის გაძლიერებას ფინელი მცველის - **კიმო ტიმონენის** დამატებით აპირებს. კლუბი "ნეშვილის" ლეგიონერს, წელიწადში 5-მილიონიან კონტრაქტს სთავაზობს. ხელშეკრულების გაფორმების შანსს ზრდის ის ფაქტი, რომ ტიმონენს იგივე აგენტი ჰყავს, რაც მის თანამემამულე **სამი სალოს**, რომელიც უკვე დიდი ხანია "ვანკუვერში" თამაშობს.

თუ "კენაქსმა" ტიმონენი გაიფორმა, მაშინ კანადური კლუბის ხელმძღვანელობა შვედი მცველის - **მატიას ოლუნდის** გაცვლასა და მის ნაცვლად რომელიმე შედეგიანი თავდამსხმელის აყვანას შეეცდება.

## პალფის ჰოკეი მოენატრა

წელიწადნახევრიანი პაუზის შემდეგ, ცნობილმა სლოვაკმა ფორვარდმა - **ზიგმუნდ პალფიმ** კარიერის გაგრძელება გადაწყვიტა. 35 წლის თავდამსხმელმა მხარის ტრავმა მოირჩინა და ახლა სლოვაკურ კლუბ "სკალიცასთან" ერთად გადაწყვიტა მომდევნო სეზონში თამაში.

*"ჰოკეის გარეშე ცხოვრება მოსაწყენი ყოფილა. თუ მომდევნო სეზონს კარგ დონეზე ჩავატარებ, გაისად კანადაში, მსოფლიო ჩემპიონატზე მელოდეთ"*, - აცხადებს 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონი და NHL-ის ყოფილი ვარსკვლავი.

## ტოკეტი პირობითად დაისაჯა

დასრულდა NHL-ის ყოფილი ვარსკვლავისა და "ფინიქსის" ექს-მწვრთნელის - **რიკ ტოკეტის** სასამართლო პროცესი.

ტოკეტი იატაკქვეშა ტოტალიზატორის ორგანიზებაში იყო დადანაშაულებული. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ჰოკეისტი პატიმრობას გადაურჩა. მოსამართლეებმა გაითვალისწინეს ტოკეტის "სუფთა" წარსული და მას პირობითი სასჯელი აკმარეს. გარდა ამისა, გამოძიების დროს გაირკვა, რომ რიკი და მისი თანამზრახველები ჰოკეის მატჩებზე არ იდებდნენ ფსონებს.

შეგახსენებთ, რომ "ფინიქსის" მთავარი მწვრთნელის - **უეინ გრეცკის** ასისტენტს ბრალი 2006 წლის თებერვალში წაუყენეს. ახლა, ტოკეტს შეუძლია "კოიოტზის" საწვრთნელ შტაბს დაუბრუნდეს.

## რობიტაილი პრეზიდენტი გახდა

ჰოკეის ეროვნული ლიგის ისტორიაში ყველაზე შედეგიანი მარცხენა ფორვარდი - **ლუკ რობიტაილი** "ლოს ანჯელეს კინგზის" ბიზნეს-ოპერაციების პრეზიდენტად დაინიშნა. "კინგზი" ის კლუბია, რომლის ღირსებასაც რობიტაილი 14 სეზონი იცავდა.

კარიერის დასრულების შემდეგ, ლუკი "ლოს ანჯელესში" გუნდის აღმასრულებელი დირექტორის თანაშემწის ფუნქციებს ასრულებდა.

## ცხელი ხაზი

**კალათბურთი**

**საბერძნეთი**

**ფლეი ოფი. 1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| არისი-ოლიმპიაკოსი | 81:71 |
| პანათინაიკოსი-პანიონიოსი | 85:67 |

**ესპანეთი**

**ფლეი ოფი. 1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| ვალენსია-რეალი | 80:83 |
| გრან კანარია-ხუვენტუდი | 74:71 (ო) |
| ხირონა-ბარსელონა | 75:90 |

**იტალია**

**ფლეი ოფი. 1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| ვირტუსი-ბიელა | 89:72 |

**საფრანგეთი**

**ფლეი ოფი. 1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| რუანი-შალონი | 89:80 |

## მუტომბო დარჩენას აპირებს

"ჰიუსტონ როკეტსის" ცენტრალური თავდამსხმელი - **დიკემბე მუტომბო** აცხადებს, რომ ის არ აპირებს დიდი სპორტიდან წასვლას და NBA-ში კიდევ ერთ სეზონს ითამაშებს.

თუ 40 წლის აფრიკელმა თავისი სიტყვები უკან არ წაიღო, მომავალი სეზონი ასოციაციაში მისთვის მე-17 იქნება.

შეგახსენებთ, რომ წლევანდელ რეგულარულში, მუტომბომ 75 მატჩი გამართა და საშუალოდ 3.1 ქულა და 6.5 მოხსნა დააგროვა.

## ნიუ ჯერსის რთული არჩევანი

როგორც უკვე ვწერდით, "ნიუ ჯერსი ნეტსის" ერთ-ერთმა ლიდერმა - **ჯეისონ კიდმა** ულტიმატუმი წაუყენა კლუბის ხელმძღვანელობას. იმ შემთხვევაში, თუ "ნეტსი" კონტრაქტს არ გაუგრძელებს **ვინს კარტერს**, მაშინ კიდი გუნდს გამოიცვლის.

თუ "ნიუ ჯერსის" შეფობამ კიდის ულტიმატუმი დააკმაყოფილა, მაშინ გუნდის მესამე ლიდერს - **რიჩარდ ჯეფერსონს** მოუწევს ახალი სამუშაოს ძებნა. ამ კალათბურთელის ყოფნა-არყოფნას კიდისთვის მნიშვნელობა არ აქვს.

სხვათა შორის, "ნეტსი" ძლიერ ცენტრალურ თავდამსხმელს ეძებს და ამ მხრივ, ჯეფერსონი სატრეიდოდ კარგი მასალაა.

## რაილი ვეტერანებს აჩქარებს

"მაიამი ჰიტის" მთავარი მწვრთნელი - **პატ რაილი** უახლოეს დღეებში შეხვდება თავისი გუნდის სამ ვეტერანს - **ალონზო მურნინგს, გერი პეიტონსა** და **ედი ჯონსონს**, რათა მათი მომავალი კარიერის დეტალები განიხილოს. კერძოდ, ამ მოთამაშეებთან მიმართებაში საუბარია მათი კალათბურთიდან წასვლის შესახებ.

მურნინგიც, პეიტონიცა და ჯონსონიც, გასულ სეზონში ხშირად აცხადებდნენ, რომ დიდ სპორტში ეს წელიწადი მათთვის უკანასკნელი იქნებოდა.

"ჰიტის" ხელმძღვანელობა ითხოვს, რომ ამ მოთამაშეებმა რაც შეიძლება სწრაფად მიიღონ გადაწყვეტილებები, რათა კლუბმა მომავალ დრაფტზე მოქმედების სტრატეგია განსაზღვროს.

## ლუისს სიეტლში არ უნდა

"სიეტლ სუპერსონიქსის" ლიდერმა - **რაშარდ ლუისმა** ოფიციალურად თქვა უარი კლუბთან კონტრაქტის გახანგრძლივებაზე. ამ ინფორმაციას კალათბურთელის აგენტი - **ტონი დატი** ავრცელებს.

ლუისი 1 ივლისიდან გახდება თავისუფალი აგენტი და მომავალი სეზონისთვის ახალ კლუბს მონახავს.

## პორტლენდი რენდოლფს იშორებს

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ვებ-გვერდზე გავრცელებული ინფორმაციით, "პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი" ფორვარდ **ზაკ რენდოლფის** სხვა გუნდში გაცვლას აპირებს. კლუბის ხელმძღვანელობამ ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც დრაფტის ლატარიაში პირველი ნომრის არჩევის უფლება მოიპოვა.

"პორტლენდი" დრაფტზე ახალგაზრდა ფორვარდის აყვანას აპირებს და დიდი კონტრაქტის მქონე რენდოლფს, სათადარიგოთა სკამზე გაცილებით მეტი დროის გატარება მოუწევს.

იტყობინებიან, რომ სავარაუდოდ, რენდოლფი "ვაშინგტონში" **ანტუან ჯეიმისონზე** გაიცვლება.

## ბობკეტსს მწვრთნელი დაუმტკიცეს

გუშინ, დადასტურდა ცნობა იმის შესახებ, რომ მომავალ სეზონში "შარტოლ ბობკეტსის" მთავარი მწვრთნელი - **სემ ვინსენტი** იქნებოდა. ეს უკანასკნელი გასულ წელს, "დალას მავერიქსის" დამრიგებლის - **ეივერი ჯონსონის** ასისტენტი იყო.

ვინსენტი ოფიციალურად დანიშნეს ახალ თანამდებობაზე და მას პირველად მიეცემა NBA-ის კლუბის გაწვრთნის საშუალება.

*"სემი, NBA-ის ახალგაზრდა მწვრთნელთა შორის, ერთ-ერთი საუკეთესოა. მისი კანდიდატურა ზუსტად მიესადაგება ჩვენს გუნდს"*, - აცხადებს "ბობკეტსის" ერთ-ერთი მფლობელი - **ბობ ჯექსონი**.

## არგენტინას ნოჩიონიც გამოაკლდა

არგენტინის ნაკრების კიდევ ერთმა ვარსკვლავმა - **ანდრეს ნოჩიონიმ** თქვა უარი ამერიკის ჩემპიონატში თამაშზე, სადაც პეკინის ოლიმპიადის საგზურების მფლობელები უნდა გამოვლინდნენ. "ჩიკაგო ბულსის" ლეგიონერს სურს, ზაფხულის პერიოდი მიკროტრავმების მკურნალობას მოახმაროს.

*"ნაკრებში ჩემი დებიუტის დღიდან მოყოლებული, მის შემადგენლობაში თამაშზე უარი არასოდეს მითქვამს. მაგრამ ახლა მეტი ყურადღება უნდა დავუთმო ჩემს ჯანმრთელობას და მხოლოდ შემდეგ გავაგრძელო კალათბურთის თამაში"*, - ამბობს ნოჩიონი.

მოქმედი ოლიმპიური ჩემპიონი - არგენტინის ნაკრები, ამერიკის ჩემპიონატს მნიშვნელოვნად შესუსტებული შემადგენლობით შეხვდება - ნოჩიონამდე, ამ გუნდში თამაშზე უარი თქვეს **მანუ ჯინობილიმ, ვალტერ ერმანმა** და **კარლოს დელფინომ**. ისინი ყველანი NBA-ის ლეგიონერები არიან.

## სპანულისი NBA-ს ვერ მოერგო

"ჰიუსტონი როკეტსის" ბერძენი მცველი - **ვასილის სპანულისი** სამშობლოში, კერძოდ კი, "პანათინაიკოსში" აპირებს დაბრუნებას.

გასულ წელს, სპანულისმა NBA-ში სადებიუტო სეზონი ჩაატარა, მაგრამ ძირითადი დრო სათადარიგოთა სკამზე იჯდა. ბერძენმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ათენში პირადი და ოჯახური მიზეზების გამო ბრუნდება.

## ბასტონი მაკაბიში ბრუნდება

თელ-ავივის "მაკაბის" ყოფილ ნევრ, **მასეო ბასტონს** ისრაელის ჩემპიონის რიგებში დაბრუნება აქვს განზრახული. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ფორვარდმა ვერ შეძლო "ინდიანა პეისერსში" ფეხის მოკიდება.

ბასტონმა გასულ რეგულარულში 47 მატჩი ჩაატარა, მაგრამ სასტარტო ხუთეულში მხოლოდ ორჯერ გამოჩნდა.

შეგახსენებთ, რომ ამ კალათბურთელმა "მაკაბიში" 3 სეზონი გაატარა და სამივეჯერ ევროლიგის ფინალში ითამაშა. აქედან ორი ფინალი მისი კლუბის გამარჯვებით დასრულდა.



ბუზერმა (შუაში) და უილიამსმა (მარჯვნივ) მელოუნი და სტოკტონი გაგვახსენეს

NBA. ფლეი ოფი. 1/2 ფინალი

# არც მასეა საქმე!

**დასავლეთი**

**იუტა-სან ანტონიო 109:83**

15:23, 28:24, 32:20, 34:16

**იუტა:** დ. უილიამსი (31 ქ. 8 პ. 5 ჩ), ბუზერი (27 ქ. 12 მ), ფიშერი (11 ქ), გირიჩეკი (11 ქ. 6 პ).

**სან ანტონიო:** ტ. პარკერი (25 ქ. 7 პ), დანკანი (16 ქ. 8 მ. 2 დ), ჯინობილი (14 ქ. 4 პ).

**სერია: 1:2**

სერიის პირველ ორ მატჩში "სან ანტონიოს" ორი უიოლესი გამარჯვების (17 და 18 ქულით) შემდეგ, ბევრმა "იუტა ჯაზს" ხაზი გადაუსვა და "სპურსი" ნაადრევად გაიყვანა ფინალში.

მაგრამ სკეპტიკოსებს რამდენიმე მომენტი გამორჩათ მხედველობიდან. პირველი ის, რომ ფლეი ოფში ამ გუნდების წინა დაპირისპირებებისას, "სან ანტონიოს" არასოდეს მოუგია "ჯაზმენებისთვის" სტუმრად (8-დან 8 წაგება); წლევანდელ რეგულარულში, "იუტამ" ორივე საშინაო შეხვედრა მოუგო **ტიმ დანკანის** გუნდს; გარდა ამისა, მიმდინარე ფლეი ოფში, "ჯაზს" საკუთარ მოედანზე ასპროცენტიანი მაჩვენებელი აქვს (7-დან 7 გამარჯვება); და კიდევ ერთი ფაქტორი ის იყო, პირველ წრეში, "იუტამ" ასევე ორი საწყისი მატჩი წააგო "ჰიუსტონთან", მაგრამ შინ ორი მოგებით, სერიაში ანგარიშის გათანაბრება შეძლო. ასე რომ, ამ გუნდის ფსიქოლოგიურად გატეხვა არც ისე იოლია.

ყველაფერი ამის გათვალისწინებით, "ჯაზმენების" ნაადრევად ჩამოწერა არ იყო მართებული პროგნოზი. თუმცა, სასტარტო მეოთხედში, სტუმრებმა პირველ ორ მატჩში დაწყებული საქმე გააგრძელეს და 8-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს.

ალსანიშნავია, რომ სერიის პირველი მატჩის მე-7 წუთიდან მოყოლებული, "სან ანტონიოს" დარჩენილ დროსა და მთლიანად მეორე შეხვედრაში, მეტოქისთვის წინ გასვლის საშუალება არ მიუცია. ასე გრძელდებოდა გუშინდელი თამაშის მესამე მეოთხედამდე. მართალია, "ჯაზი" მეტოქეს მნიშვნელოვანი უპირატესობის მოპოვების საშუალებას არ აძლევდა და დიდ შესვენებაზე 4-ქულიანი ჩამორჩენით გავიდა, მაგრამ ცოტა ვინმეს თუ სჯეროდა, რომ მასპინძლები მოახერხებდნენ თამაშის სცენარის შეცვლას.

მეორე ნახევარში "იუტამ" დიდი კალათბურთი ითამაშა. **დერეკ ფიშერმა** სამქულიანი ჩააგდო და თავისი გუნდი პირველად გაიყვანა წინ - 62:60. თუ "იუტას" მოთამაშეების სტატისტიკას გადავხედავთ, **დერონ უილიამსისა** და **კარლოს ბუზერის** გარდა, ვინმეს გამოყოფა ძნელია, მაგრამ მესამე მეოთხედში განხორციელებული 12:3 გაქცევის მთავარი შემოქმედნი ფიშერი, **კირილენკო, კოლინზი** და **გირიჩეკი** იყვნენ. ამას უნდა დავუმატოთ, მეოთხე მეოთხედში **პოლ მილსეპის** ზედიზედ ორი უმნიშვნელოვანესი ზუსტი ტყორცნა, რომლის შემდეგ "იუტა" 12 ქულით დაწინაურდა. დარჩენილ დროში, "სან ანტონიო" 11 ქულამდე ახლოს ველარ მიუახლოვდა მეტოქეს.

არ უნდა დაგვავიწყდეს თურქი **მეჰმეთ ოქურიც**, რომელმაც ამჯერად უქულოდ დატოვა მოედანი, მაგრამ სწორედ მისი დამსახურებაა ის, რომ დანკანმა შეწყვიტა 11-მატჩიანი სერია, რომლის დროსაც ის მინიმუმ 20 ქულასა და 10 მოხსნას აგროვებდა. ტიმის მონაგარი 16 ქულა და 8 მოხსნა იყო, რასაც 8 შეცდომაც დაერთო თან. გარდა ამისა, "სპურსის" ლიდერმა ოქურთან ბრძოლაში 5 პერსონალური მიიღო და ამიტომაც, ნახევარი დრო სათადარიგოთა სკამზე გაატარა.

და მაინც, "იუტას" ამ გამარჯვების მთავარი შემოქმედნი - **კარლოს ბუზერი** და **დერონ უილიამსი** იყვნენ. პირველი მათგანი ქულების მოხვეჭასაც ასწრებდა და მოხსნების დაგროვებასაც, ხოლო უილიამსი ბრწყინვალედ აწყობდა თავისიანების შეტევებს. სხვათა შორის, ამ მატჩამდე ორი დღით ადრე, ეს ორი მოთამაშე აშშ-ის ნაკრებში მიიწვიეს.

ამ წყვილის შემხედვარე, "იუტას" გულშემატკივრებს ძველი, კეთილი დრო გაახსენდათ, როცა გუნდში **ჯონ სტოქტონისა** და **კარლ მელოუნის** დუეტი მოქმედებდა.

სტუმრებმა ბოლო 4 წუთში, მხოლოდ 2 (!) ქულას მოუყარეს თავი და საბოლოოდ, "იუტას" უპირატესობამ 26 ქულა შეადგინა. ასეთი დიდი ანგარიშით "სან ანტონიოს" წლეულს არ წაუგია.

ბევრ კითხვას გასცემს პასუხს სერიის მეოთხე მატჩი, რომელიც კვლავ სოლტ-ლეიკ სიტიში გაიმართება. ისე კი, 1999 წლიდან მოყოლებული, "სან ანტონიოს" ფლეი ოფში 16 სერია აქვს მოგებული, მაგრამ მხოლოდ ერთხელ "მშრალი" ანგარიშით - 4:0.

დანკანმა ფლეი ოფში 132-ე შეხვედრა ჩაატარა და ამ მაჩვენებლით, ყველა დროის სიაში მეექვსე ადგილზე გადაინაცვლა. ტიმმას "ლეიკერსის" ლიდერი - **კობი ბრაიანტი** ჩამოიტოვა უკან.

საიტერესო იყო, მატჩის შემდეგ რა შეფასებას მისცემდა თავისი შეგირდების თამაშს "სან ანტონიოს" მთავარი მწვრთნელი **გრეგ პოპოვიჩი**.

*"სიმართლე გითხრათ, "იუტას" დონეზე მხოლოდ პირველ მეოთხედში ვითამაშეთ. ამის შემდეგ, მეტოქემ მოუმატა, ჩვენ ეს ვერ შევძელით. დიდი ანგარიში ნაკლებად მანაღვლებს, მთავარი - თამაშის ხარისხია, ჩვენ კი, ძალიან ცუდად გავისარჯეთ. "იუტამ" ბევრ კომპონენტში აჯობა ჩემს გუნდს"*, - განაცხადა "სპურსის" დამრიგებელმა, რომელმაც იქვე დაუმატა, რომ მომდევნო მატჩში "სან ანტონიო" სხვა კალათბურთს აჩვენებს.

ეროვნული სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდგერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიმშარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეგანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა